პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეცხრე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის კომიტეტების და სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან ღამის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—26
) მდივნის 10—58
) ღამის მორიგის 18—80.

მთავარი კანტორა
თბილისი რუსთაველის პროსპ., № 24, ტელეფონი № 8—81.

ხელისმომწერის ფასი:
მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების, წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან. და 30 კაპ.

განცხადებები:
საქართველოს ფარგლებში—ტექსტის უკან—80 კ. ნონპარელის სტრიქონი, ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კ.; საქართველოს გარეთ—ტექსტის უკან—1 მ. 50 კ., ტექსტში—3 მ.; განმცხადებელი გარდა განცხადების ფასისა იხდის 10% საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად-შეღავათი შეთანხმებით. მთ. კანტორაში განცხადებები მიიღება 9—3½ ს., 3½ ს. შემდეგ განცხადება ღირდება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15 და 20 მ.

დღიური

- ინგლის-საფრანგეთ-იტალია-ესპანეთის შეთანხმება ტანჟერის შესახებ.
- რეფორმისტებმა ჩაშალეს საქსონიის მელიოროფეთა გაფიცვა.
- ბელორუსთა გრომადის პროცესზე განაჩენი [illegible] მაისს იქნება გამოტანილი.
- ინგლის-სპარსეთის სავაჭრო ხელშეკრულება.
- ვარშავაში დახურეს თეთრგვარდიელ ახალგაზრდობის კავშირი.
- პლეჰკაიტისის მომხრეების დაპატიმრება ლიტვაში.
- თურქეთის ესკადრა სევასტოპოლში.

შაბათი, 19 მაისი 1928 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 114 (2157)

კლასიური პროცესი

დღეს საბჭოთა კავშირის უზენაეს სასამართლოს წინაშე წარსდგება შახტის საქმის „გმირთა“ პლეადა, საბჭოთა საზოგადოების გარეწართა, მსოფლიო კაპიტალიზმის ჯაშუშ-ქვემძრომთა პლეადა. ეხლა ისინი ნამდვილი გმირები არიან საერთაშორისო ბურჟუაზიის თვალში, და მთელი მსოფლიო მათ უყურებს ისე, როგორც საერთაშორისო კლასიური საქმისათვის მებრძოლთ, ვინაიდან საერთაშორისო კაპიტალის კლასიური საქმე უპირველეს ყოვლისა მდგომარეობს იმაში, რომ ძირი გამოუთხარონ სოციალისტურ მშენებლობას პირველ ქვეყანაში, სადაც მშრომელნი მთელი მსოფლიოს პროლეტარიატს უჩვენებენ ცხოვრების, მუშაობის შემოქმედების მაგალითს მემამულეებისა და კაპიტალისტების განდევნის შემდეგ.

თუ მათთვის, შახტის „გმირთათვის“ წინასწარ არის უზრუნველყოფილი თანაგრძნობა და სიმპატიები ყოველგვარი ჯურის რეაქციონერთა, შავრაზმელთა, ფაშისტთა და მყვლეფელთა მხრივ მთელ მსოფლიოში, სამაგიეროდ არა ნაკლებ მტკიცედ არის უზრუნველყოფილი სხვა რამეც, სახელდობრ,—მთელი მსოფლიოს მუშათა და მშრომელთა უაღრესი კლასიური მძულვარება მათ მიმართ.

განსაკუთრებით საბჭოთა კავშირის პროლეტარიატს არ შეეძლო და არც შეუძლია გულგრილად მოეპყრას იმ ნაძირალებს, რომლებიც სცდილობდნენ ზიანი მიეყენებინათ სოციალისტური მეურნეობისათვის, ჩაეშალათ მუშათა ქვეყნის თავდაცვის საქმე და რომლებიც ეწეოდნენ საბოტაჟს და შეგნებულად უწყობდნენ ხელს კონტრ-რევოლუციის მომზადებას. თუ როგორ უყურებს ჩვენი პროლეტარიატი საერთაშორისო კაპიტალის აგენტებს, ამას ნათლად მოწმობს მრავალი ათასი რეზოლუცია, რომლებიც მიღებულ იქნა შახტის საქმის გამო. შახტის „გმირების“ მკაცრად დასჯას ტექნიკურ ინტელიგენციის ფართო ფენებმა, რომლებიც არა შიშით, არამედ სინდისით მუშაობენ პროლეტარიატთან ერთად სოციალისტური მშენებლობის ამოცანების გადასაწყვეტად. სასამართლოს დარბაზში პირისპირ შეხვდება ერთმანეთს ორი კლასი—პროლეტარიატი რევოლუციონური სასამართლოს სახით და ბურჟუაზია თავისი დაქირავებული აგენტების და იმ ყოფილ მესაკუთრეთა სახით, რომლებიც დაზარალდნენ ოქტომბრის რევოლუციისაგან. შახტის „გმირთა“ ბოროტმოქმედება მუშათა კლასის წინააღმდეგ მით უფრო საძაგელია, რომ ეს ბოროტმოქმედება ჩადენილ იქნა არა სამოქალაქო ომის პირობებში, არამედ პირიქით, მშვიდობიანი მშენებლობის დროს, როცა საბჭოთა რესპუბლიკები გაბედულად მიდიან წინ მსოფლიო კაპიტალიზმთან სამეურნეო ურთიერთობის განვითარების გზაზე.

შახტის საქმიდან ჩვენ მშვენივრად ვხედავთ, თუ როგორ არ ძალუძს ჩვენს უბოროტეს კლასიურ მტერს შეურიგდეს მშვიდობიანი სამეურნეო მეტოქეობის პირობებს (გამოტოვებულია).

ამაზე პროლეტარიატი უპასუხებს იმით, რომ გადამჭრელ, დაუნდობელ ბრძოლას გააჩაღებს იმ ელემენტების წინააღმდეგ, რომლებსაც ბურჟუაზია გამოგზავნის ჩვენი მეურნეობის დასანგრევად, სოციალიზმის მშენებლობისათვის ძირის გამოსათხრელად.

უეჭველია, რომ შახტის „გმირების“ მოქმედებამ დიდი ზიანი მიაყენა საბჭოთა მეურნეობას და კიდევ უფრო მეტ ზიანს მიაყენებდა, რომ ეს მოქმედება არ აღმოეჩინა მუშებს და სახელმწიფო გაერთიანებული პოლიტსამმართველოს ორგანოებს. გამოძიების პროცესში გამოირკვა, რომ ეს კონტრ-რევოლუციონური ორგანიზაცია თავისი მასშტაბით იყო საკავშირო და მას ხელმძღვანელობას უწევდნენ საზღვარგარეთიდან. ამ „მუშაობის“ ფორმები და მეთოდები უაღრესად დამახასიათებელია სოციალიზმსა და კაპიტალიზმს შორის არსებული კლასიური ბრძოლის თანამედროვე პერიოდისათვის. ამიტომ შახტის საქმის მნიშვნელობა სცილდება იმ კონკრეტული მოქმედებისა და იმ კონკრეტული ზიანის ფარგლებს, რომელიც საბჭოთა რესპუბლიკას მიაყენეს საბრალდებლო სკამზე მჯდომმა პირებმა.

შახტის საქმეს უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს როგორც საშინაო, ისე საერთაშორისო თვალსაზრისით. ჩვენმა პარტიამ, საბჭოთა ხელისუფლებამ, ჩვენმა პრესამ და მუშებმა შახტის საქმის აღმოჩენისთანავე შეაფასეს მისი უდიდესი მნიშვნელობა და საბჭოთა კავშირის მთელმა პროლეტარულმა საზოგადოებრიობამ უკვე გამოიყვანა მთელი რიგი მნიშვნელოვანი პოლიტიკური დასკვნები. ეს დასკვნები ეკუთვნის არა მარტო სამეურნეო კონტრ-რევოლუციისათვის დამახასიათებელი ბრძოლის მეთოდების გამოაშკარავებას, არამედ თვით პროლეტარული ორგანიზაციების ეხლანდელ მდგომარეობას. ამიტომ ეს პროცესი არა მარტო გამოარკვევს ყველა ბრალდებულთა ნამდვილ დანაშაულს, არამედ ამასთან ერთად გვიჩვენებს ყველა იმ კონკრეტულ მეთოდებს, რომლებსაც კონტრ-რევოლუცია მიმართავდა მაღაროებში.

გარდა ამისა, პროცესის მსვლელობიდან ჩვენ კიდევ უფრო ნათლად და კონკრეტულად გავითვალისწინებთ ჩვენი მასიური მუშაობის სუსტ მხარეებს და ნაკლულოვანებებს, რომლებმაც კონტრ-რევოლუციონერებს მისცა საშუალება დიდხანს და დაუსჯელად ეთარეშნათ შახტის რაიონში, და რომლებიც ჩვენ გადაჭრით უნდა ვსძლიოთ ყველგან ჩვენი ორგანიზაციების მთელ ხაზზე.

შახტის პროცესს უდიდესი ყურადღებით მოეკიდებიან მშრომელთა ფართო მასები და ყველა ისინი, ვისაც აწუხებს ჩვენი მშენებლობის ნაკლულოვანებანი, ვინც განმსჭვალულია სურვილით თავისი ძალ-ღონე შესწიროს სოციალიზმის შენების საქმეს. ამ პროცესისაკენ იქნება მიპყრობილი ყველა იმ ელემენტების ყურადღება, რომლებიც აღგზნებული არიან მძულვარებით ბურჟუაზიული მსოფლიოს, მისი ლაქიების მიმართ, მათი ინტრიგების და ბოროტმოქმედებათა წინააღმდეგ. ამ მოქმედების საპასუხოდ, რომელშიაც გამოაშკარავდა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ კაპიტალის კლასიური ბრძოლის უდიდესი ფაქტები, ჩვენი პროლეტარიატი კიდევ უფრო მეტად შეამჭიდროებს და დარაზმავს თავისი კლასიური ბრძოლის ფრონტს, რაშიაც მას მორალურად და პოლიტიკურად სავსებით დაუჭერენ მხარს მთელი მსოფლიოს მუშები.

ჩვენი მუშათა კლასი, რომელიც გადაუხრელად მიდის წინ თვითკრიტიკის და პროლეტარული დემოკრატიის ფართოდ განვითარების გზაზე, განამტკიცებს და გააჯანსაღებს ყველა თავის ორგანიზაციებს, მჭიდრო კავშირს დაამყარებს ამ ორგანიზაციებსა და მთელ მუშათა მასებს შორის. მშრომელი მასები, რომლებიც მონაწილეობას იღებენ ამ მშენებლობის ხელმძღვანელობაში, კიდევ უფრო სწრაფი ნაბიჯით წავლენ წინ სოციალიზმის გზაზე. ჩვენ, გაძლიერებული ენერგიით შევუდგებით რა კულტურული რევოლუციის გატარებას და სოციალისტური რევოლუციის მშენებელთა ახალი, ერთგული კულტურული კადრების შექმნას, მშენებლობის ფრონტის ყოველ ნაწილში გამოვსჭედავთ ჩვენთვის აუცილებლად საჭირო სოციალისტურ კულტურას, რომელიც შეურყეველ კედლად უნდა აღიმართოს ჩვენი პარტიის, საბჭოების, პროფკავშირების და მუშათა კლასის დასაცავად ბურჟუაზიული გახრწნის, წვრილბურჟუაზიული მერყეობის გავლენისაგან და უფრო კონტრ-რევოლუციური კლასიური მტერის მიმართ რევოლუციონური სიფხიზლის მოდუნებისაგან.

ძველი მსოფლიო, კაპიტალისტური [illegible], რომელიც ისე ძალიან ყოყოჩობდა თავისი ცივილიზაციით და კულტურით, მორალურად უკვე ქედს იხრის ჩვენს წინაშე, ვინაიდან მასში შიშს იწვევს სოციალიზმთან ხანგრძლივი მშვიდობიანი მეტოქეობის, შეჯიბრების პერსპექტივა, და სურს, რათაც არ უნდა დაუჯდეს შეამციროს ეს მშვიდობიანი პერიოდი; მან უკვე მშვიდობიან დროშივე მიმართა არსებითად საომარ, სამხედრო საშუალებებს, ძალადობით მავნებლობის მიყენებას, ბოროტმოქმედებებს, ეკონომიურ საბოტაჟს და საბჭოთა წარმოებების გადაწვას.

ჩვენთვის ეს ახალი არ არის. ჩვენ ჯერ კიდევ ლენინი არა ერთხელ გვეუბნებოდა, რომ ჩვენ მიერ დაწყებული მშვიდობიანი მშენებლობის ეპოქა არის პროლეტარიატისა და ბურჟუაზიის შორის გამწვავებული კლასიური ბრძოლის ეპოქა. მაგრამ ჩვენ, რომლებიც დარწმუნებული ვართ საბოლოო გამარჯვებაში და რომლებმაც ვიცით, რომ ისტორია ჩვენსკენ არის, შეუპოვრად, მკაცრი პროლეტარული ხელით აღმოვფხვრით ყოველგვარ მტრულ, საზიანო მოქმედებას, და ავაშენებთ სოციალიზმის სამეურნეო და კულტურულ შენობას, სოციალიზმის, რომელიც საუკეთესო აგიტატორია ჩვენთვის მთელ მსოფლიოში და რომლის ჯავშანი არა ნაკლებს იწონის მსოფლიო სასწორზე, ვიდრე ჩვენი სოციალისტური მშენებლობის სადარაჯოზე მდგომი წითელი არმიის ჯავშანი.

საბჭოთა კავშირის მუშები და გლეხები არავის მისცემენ საშუალებას დაუსჯელად ჩაშალონ მშვიდობიანი შრომა. შახტის ამფეთქებელთა საპასუხოდ ჩვენი მუშები და გლეხები კიდევ უფრო მჭიდროთ დაირაზმებიან ბრძოლის ფრონტზე და მზად იქნებიან მძლავრი პასუხი გასცენ ყოველგვარ ახალ თავდასხმას საბჭოთა ქვეყანაზე და მის მეურნეობაზე.

„პრავდა“, 18 მაისი

საგლეხო სესხის კამპანიის შედეგები

საგლეხო მეურნეობის განმტკიცების სესხის განაღდებისათვის დაწესებული ვადა მიწურულშია. ამჟამად უკვე შესაძლებელია გაუკეთდეს ჯამი როგორც მის ფინანსიურ შედეგს, ისე იმ მეთოდებს, რომლებიც ადგილობრივმა ხელისუფლებამ გამოიყენა სესხის გასავრცელებლად. ფინორგანოების მიერ წარმოდგენილ უკანასკნელი ცნობების მიხედვით, ა. წ. პირველ მაისისათვის საქართველოს ყველა მაზრებში და ავტონომიურ რესპუბლიკებში გაყიდულია სულ 962.587 მან. 50 კაპ. ობლიგაცია, აქედან მარტო სოფლებში, ე. ი. გლეხებ შორის გაყიდულია 780.370 მანეთის.

ავტონომიურ რესპუბლიკებისა და ცალკე მაზრების მიხედვით შედეგი ასეთია: განაღდებულია: აჭარისტანში—49.887 მან. 50 კაპ. ობლიგაცია, აფხაზეთში—125.165 მან., სამ. ოსეთში—22.400 მან., ახალქალაქში—51.650 მ., ახალციხეში—49.495 მან., ბორჩალოში—31.885 მან., დუშეთში—19.917 მ., 50 კაპ., გორში 62.955 მან., სიღნაღში—74.500, თელავში—85.305 მან., ქუთაისში—114.480 მან., შორაპანში—45.092 მან. 50 კაპ., ლეჩხუმში—16.755 მან., რაჭაში—17.317 მან., 50 კ. ოზურგეთში—21.765 მან., ზუგდიდში—15.000 მან. სენაკში 20.287 მან 50 კ., თბილისში—136.590 მან., ფოთში—2.140 მან.

საქართველოში განაღდებულ ობლიგაციების ღირებულებას თუ შევადარებთ იმ თანხას, რომელიც ცალკე ერთეულებს დავალებული ჰქონდათ გაეყიდათ, გამოდის, რომ პირველ მაისამდე შესრულებულია დავალების 106 პროცენტი. ზოგიერთ მაზრას ყველა თემების შესახებ არა აქვს წარმოდგენილი ცნობები და უნდა ვიფიქროთ, რომ განაღდებულია გაცილებით მეტი თანხა, რაც მხოლოდ კამპანიის დასრულებისას გამოირკვევა. ადგილების თხოვნით სესხის განაღდების ვადა გაგრძელებულია პირველ ივლისამდე, რაც საშუალებას მისცემს ადგილებს ამოსწურონ მთელი შესაძლებლობა და სესხი გაავრცელონ იმ რაიონებში, სადაც სხვადასხვა ობიექტიურ მიზეზებისა გამო დღემდე კამპანიის დამთავრება არ მოხერხდა. მიცემული დამატებითი ვადა იმდენად დიდია, რომ, ეჭვს გარეშე, დარჩენილი დროის განმავლობაში საკონტროლო თანხა განაღდებული იქნება საგრძნობი გადაჭარბებით.

სესხის განაღდებაში გამოყენებულ მეთოდების შესახებ უნდა აღინიშნოს, რომ თითქმის ყველგან, ავტონომიურ რესპუბლიკებშიც და მაზრებშიც, საგლეხო სესხის გავრცელება კონტრაგენტების ფართო ქსელის დახმარებით წარმოებდა. კონტრაგენტებათ არიან უმთავრესად კოოპერატიული ორგანიზაციები, შემნახველი სალაროები, ფოსტის დაწესებულებანი, მასწავლებლები, სხვა კულტურული მუშაკები და თვით გლეხები. სესხის განაღდების წინ უსწრებდა ფართო საგიტაციო-საინფორმაციო კამპანია სესხის მნიშვნელობის შესახებ, რომელმაც, წარმატებითი ფინანსიური შედეგების გარდა, კიდევ ის სარგებლობაც მოგვცა, რომ გლეხობა გაეცნო სახელმწიფო კრედიტის იდეას და ჩვენი მთავრობის საფინანსო-სამეურნეო პოლიტიკას.

მაგრამ არ შეიძლება აქვე არ აღინიშნოს პარტიისა და საბჭ. ხელისუფლების პოლიტიკის დამახინჯების ცალკე შემთხვევებიც. ცენტრალური ორგანოების მიერ მიცემული დირექტივები სესხის სრული ნებაყოფლობის საფუძველზე განაღდების შესახებ ზოგიერთ ადგილობრივ მუშაკმა სისწორით ვერ გაიგო და აქა-იქ ადგილი ჰქონდა ძალდატანებას ობლიგაციების გავრცელებაში. ეს შემჩნეული იყო ცენტრის მიერ და დროზე მიღებულ ზომების წყალობით ძალდატანების ფაქტები არსად არ განმეორებულა.

საერთოდ, საგლეხო სესხის განაღდებაში მიღებული შედეგი, უნდა ითქვას, დამაკმაყოფილებელია. ცენტრიდან გაგზავნილი ობლიგაციები მთლიანად გაყიდულია.

ამჟამად მორიგ ამოცანას შეადგენს მიღწეულ ფინანსიურ შედეგების განმტკიცება. ობლიგაციების გაყიდვა არაა საკმარისი იმისათვის, რომ ამოცანა შესრულებულად ჩაითვალოს. საჭიროა გაყიდული ობლიგაციები ხანგრძლივად დარჩეს მყიდველთა ხელში. გლეხმა უნდა იცოდეს, რომ რამდენად ხანგრძლივად გაიჩერებს ხელში შეძენილ ობლიგაციას, იმდენათ უფრო მეტ სარგებლობას აძლევს იგი სახელმწიფოსაც და თავის თავსაც. მოგებათა გათამაშება საგლეხო სესხით წელიწადში ორჯერ ხდება და მოგება თვითეულ ტირაჟში იმ ანგარიშით არის გათვალისწინებული, რომ ყოველი შემდგომი გათამაშებისას მოგების შესაძლებლობა თან და თან იზრდება. განსაზღვრული ვადის გასვლის შემდეგ სახელმწიფო იწყებს ობლიგაციების უკან დაბრუნებას (გამოყიდვას) და, მაშასადამე, მოგებათა გათამაშებაში თან და თან უფრო ცოტა ობლიგაცია მიიღებს მონაწილეობას, რაც კი მოგების შესაძლებლობას საგრძნობლად ადიდებს.

ამას გარდა ობლიგაცია გლეხს უნახავს ფულს და აძლევს პროცენტულ სარგებელს. ჩვენი გლეხი დღემდე ნაკლებად იცნობდა საბჭოთა მთავრობის მიერ გამოშვებულ სესხების მნიშვნელობას და მზად იყო სხვა სესხების ადრე შეძენილი ობლიგაციები ნაკლებ ფასშიც გაეყიდა. ამ ობლიგაციებით ხშირად ჩარჩები სარგებლობდენ. გლეხი ყიდდა და უკან აბრუნებდა ისეთ ობლიგაციასაც, რომელზეც თურმე მოგებაც კი იყო ამოსული. ამის გაგება ზოგიერთ გლეხს არ ჰქონდა და, ცხადია, ისინი ვერავითარ სარგებლობას სესხისაგან ვერ ღებულობდენ.

ამჟამად მიღებულია ზომები, რომ მოგებათა გათამაშების ცხრილი მისწვდეს ყოველ სოფელს, ყოველ გლეხს და მით შესაძლებლობა ექნეს გლეხს ადევნოს თვალყური მოგებებს. მოგებათა რაოდენობა საგლეხო სესხით იმდენად დიდია, რომ პირველი ტირაჟის შემდეგ უკვე ცხადად დაინახავს თვითეული გლეხი, თუ რამდენად ხელსაყრელ პირობებში გამოუშვა მთავრობამ სოფლის მშრომელთა შორის მოთავსებული სესხი.

პირველი ტირაჟი საქართველოს ფარგლებში გაყიდულ სერიისა დანიშნულია 14 ივნისისათვის ქ. ქუთაისში.

ამ რიცხვისათვის ობლიგაციების მიუღებლათ არ უნდა დარჩეს არც ერთი ხელისმომწერი და გლეხობაც უნდა ეცადოს ობლიგაციის ნაცვლად ადრე მიღებული დროებითი მოწმობა გადასცვალოს ნამდვილ ობლიგაციაზე პირველი ტირაჟის დღემდე, ე. ი. 14 ივნისამდე.

ა. მ.

პეკინის დაცემის წინ

შანსის ჯარები 45 კილომეტრის მანძილზე მიუახლოვდნენ პეკინს

იაპონიამ გადასწყვიტა ხელი შეუშალოს სამხრეთლების ჯარების შეჭრას მანჯურიაში

გერმანელი მენშევიკები მოელიან კომპარტიის გამარჯვებას რეიხსტაგის არჩევნებში

სამხრეთელების ჯარები პეკინთან

მუკდენელები ემზადებიან შანდუნის ევაკუაციისათვის

პეკინი, 17 მაისი. გოვენის სააგენტოს ცნობით, პეკინში ჩავიდნენ ჩჟან-სუე-ლიანი (ჩან-ძო-ლინის შვილი) და ანგოცზიუნის შტაბის უფროსი იან-იუ-ტინი, რომელთა მონაწილეობით შესდგა სამხედრო პოლიტიკური კონფერენცია, რომელზედაც, სააგენტოს სიტყვით, ირჩეოდა მუკდენის ჯარების მანჯურიაში გაწვევის საკითხი.

სამხედრო სპეციალისტების აზრით, ჩინეთის ტერიტორიაზე იმყოფება 400.000-მდე მუკდენელი და შანდუნელი ჯარისკაცი. ეს ჯარი გაწვეულ იქნება მანჯურიაში. (ადს).

შანსიის ჯარებმა დაიკავეს ჩაიუ-ჩჟოუ

შანხაი, 17 მაისი. ნანკინის სააგენტო გომინის ცნობით, შანსიის ჯარებმა დაიკავეს ჩაიუჩჟოუ (პეკინ-ხანკოუს რკ. გზის სადგური 45 კილომეტრის მანძილზე პეკინიდან სამხრეთ-დასავლეთით), შანსიის ჯარების მოწინავე ნაწილები ჩავიდნენ ჩჟანსინტიანში. (პეკინის მახლობელი ქალაქი). აქედან ისინი აპირებენ ზარბაზნების დაშენას პეკინის სიმაგრეებისათვის და რკინის გზისათვის იმ მიზნით, რომ მუკდენის ჯარებს მოუსპონ უკან დახევის საშუალება. (ადს).

ჩან-ძო-ლინის პოლიტიკური კარიერის აღსასრული

ტოკიო, 17 მაისი. „ხოჩი“ მოწინავე წერილში სწერს, რომ „ჩან-ძო-ლინის პოლიტიკურ კარიერას ბოლო ედება. გაზეთი ფიქრობს, რომ ჩან-ძო-ლინმა პეკინი უბრძოლველად უნდა დასცალოს.

გაზეთის აზრით, იაპონიამხელი არ გაზეთის აზრით, იაპონიამ ხელი არ უნდა შეუშალოს ფინ-იუ-სიანის მიერ პეკინის დაკავებას და მხოლოდ უნდა დაკმაყოფილდეს იაპონიის მოქალაქეთა დაცვით, რისთვისაც უნდა ითანამშრომლოს დანარჩენ სახელმწიფოებთან. (ადს).

ჩჟან-სუე-ლიანი მოკლულია

შანხაი, 18 მაისი. შანხაის გაზეთები იუწყებიან, რომ თითქოს ჩჟან-ძო-ლინის შვილი ჩჟან-სიუ-ლიანი, რომელიც პეკინში ჩავიდა სამხედრო თათბირში მონაწილეობის მისაღებათ, იპოვეს მოკლული დიპლომატიური უბნის ალაყაფის კარებთან პეკინში.

გაზეთების სიტყვით, ჩჟან-სიუ-ლიანს ამოაჩნდა ტყვიით მიყენებული სამი ჭრილობა. (ადს).

შეერთებული შტატები და ნანკინი

ვაშინგტონი, 17 მაისი. „ნიუ-იორკ ტელეგრამ“, ეყრდნობა რა სარწმუნო წყაროებს, წინასწარმეტყველებს, რომ შეერთებული შტატების მთავრობა პეკინის აღების შემდეგ იცნობს ნანკინის მთავრობას იმ პირობით, თუ ამჟამად არსებული ხელშეკრულებები ძალაში დარჩება მათი გადათვალიერების მთელი პროცესის განმავლობაში.

კომუნისტებმა ალყა შემოარტყეს ბაოხიანს

შანხაი, 17 მაისი. „ჩაინა დეილი ნიუსი“-ის ცნობით, 4.000 შეიარაღებულმა ჯარისკაცმა, რომლებსაც ხელმძღვანელობენ კომუნისტები, ალყა შემოარტყეს ქალაქ ბაოხიანს ჰონკონგის მახლობლად. (ადს).

ბრძოლა ბაოდინთან

პეკინი, 17 მაისი. ჰოვენის სააგენტოს ცნობით, შეტაკებები ანგოცზიუნისა და ფინ-იუ-სიანის ჯარებს შორის ვანჭუაჩიოსთან, 30 კილომეტრის მანძილზე ბაოდინის სამხრეთით, სერიოზულ ბრძოლად გადაიქცა. პეკინში მოუთმენლად მოელიან ამ ბრძოლის შედეგებს.

იუწყებიან, რომ ანგოცზიუნის ლიდერების თათბირმა გადასწყვიტა, რომ პეკინი და ტიანძინი არ იქნეს დაცლილი გადამწყვეტი ბრძოლის გარეშე.

ტოხოს სააგენტოს ცნობით, მუკდენელები აკეთებენ ხანგრძლივი დროისათვის გამოსადეგ სანგრებს 40 კილომეტრის მანძილზე ტიანძინის სამხრეთით. (ადს).

იაპონელების გეგმები

ტოკიო, 17 მაისი. იაპონიის მთავრობა უკანასკნელ სხდომაზე იხილავდა ტიანძინისა და პეკინის სამხედრო მდგომარეობის საკითხს. მთავრობამ დაადგინა ხელი არ შეუშალოს ჩან-ძო-ლინის მშვიდობიან უკან დახევას მანჯურიისაკენ. მაგრამ თუ სამხრეთის ჯარები დაედევნენ მუკდენელებს, მათი მოძრაობა შეჩერებული იქნება, ჩან-ძო-ლინის ჯარებს კი განაიარაღებენ.

ანტი-იაპონური მოძრაობა

პეკინი, 17 მაისი. ჩინეთის სავაჭრო პალატების ნაციონალურმა საბჭომ დაადგინა, ეკონომიური ბოიკოტი გამოუცხადოს იაპონიას, თუ ის უარს იტყვის ცზინანის ინციდენტის მშვიდობიანი გზით მოგვარებაზე. საბჭომ გადასწყვიტა წინადადება მისცეს ჩრდილოელებს და სამხრეთელებს შესწყვიტონ სამხედრო მოქმედება და შექმნან ძლიერი მთლიანი ფრონტი იაპონიის წინააღმდეგ.

პეკინის მთავრობის ნოტა იაპონიას

პეკინი, 17 მაისი. პეკინის მთავრობის გარეშე საქმეთა მინისტრმა ლოძენ-პანმა იაპონიის მთავრობას, მიმართა ახალი ნოტით, რომელშიაც განმეორებით მოითხოვს იაპონიის ჯარების დაუყოვნებლივ გაყვანას შანდუნის პროვინციიდან. გარეშე საქმეთა სამინისტროში შესდგა საიდუმლო თათბირი იმასთან დაკავშირებით, რომ პეკინის მთავრობა შეუერთდა ნანკინის მთავრობის მიმართვას ერთა ლიგისადმი.

ანტი-იაპონურ მოძრაობის შედეგები

ტოკიო, 17 მაისი. იაპონიის გაზეთების ცნობით, ანტი-იაპონური მოძრაობა ჩინეთში გავლენას ახდენს იაპონიის სავაჭრო ინტერესებზე. განსაკუთრებით დიდი ზარალი მოსდის იაპონიის სანაოსნო კომპანიებს, ვინაიდან ტვირთების გადატანის საქმე გადადის ინგლისელ გემის მეპატრონეების ხელში. (ადს).

დაწვრილებითი ცნობები ცაო-კუნის მოკვლის შესახებ

შანხაი, 17 მაისი. მიღებულია დაწვრილებითი ცნობები ნანკინის საგარეო საქმეთა რწმუნებულის—ცაო კუ-ნოის მოკვლის შესახებ (ცზინანის ამბების დროს). იაპონიის რაზმმა, რომელმაც რწმუნებულის კანცელარიის შენობას გვერდით გაიარა, შენობის წინ დაინახა ორი მოკლული იაპონელი ჯარისკაცი. იაპონიის ჯარისკაცები შეიჭრნენ რწმუნებულის კანცელარიის შენობაში და დაპატიმრეს ცაო კუ-ნოი და მისი 19 თანამშრომელი. იაპონიის ჯარისკაცებმა მოსთხოვეს ცაო კუ-ნოის დაედასტურებია, რომ ეს ჯარისკაცები მოკლულია ნანკინის ჯარების მიერ. ცაო კუ-ნოიმ უარყო ამ მოთხოვნილების შესრულება და იაპონიის ჯარისკაცებმა მხეცურად მოჰკლეს ყველა დაპატიმრებული.

იაპონელთა დამხმარე ძალები ტიანძინში

ტოკიო, 17 მაისი. სიმბუნ რენგოს სააგენტო იუწყება:

„იაპონიის მთავრობამ დაადგინა ტიანძინში გადაიყვანოს საჭირო რაზმი, ქვეითა პოლკი და არტილერიის ბატალიონი“. (ადს).

საარჩევნო ბრძოლა გერმანიაში

როგორ მიმდინარეობს ბრძოლა

ბერლინი, 17 მაისი. საარჩევნო ბრძოლას გერმანიაში ახასიათებს „სამოქალაქო ზავი“ საშუალო პარტიებსა და სოციალ-დემოკრატებს შორის. ნაციონალისტებს გათვალისწინებული აქვთ ხმების დაკარგვის შესაძლებლობა და ცდილობენ ეს დაკარგვა დაიყვანონ მინიმუმამდე, რათა ხელი შეუშალონ ბურჟუაზიულ კოალიციის შექმნას სოციალ-დემოკრატიის მონაწილეობით. ცენტრის პარტია თავს იკავებს ყოველგვარ განცხადებისაგან იმის შესახებ, თუ მომავალი კოალიციის როგორი შემადგენლობა მიაჩნია მას სასურველად. კომპარტია თავის საარჩევნო კამპანიას უკავშირებს მასების მობილიზაციას. კომუნისტების აგიტაციის სიმძიმის ცენტრი გადატანილია წარმოებებში, რაც, ეჭვს გარეშე, გავლენას მოახდენს არჩევნების შედეგებზე.

რეფორმისტების პირვანდელი გეგმა,—ხელი შეეშალათ კომუნისტების საარჩევნო კამპანიისათვის ეგრედწოდებულ „ლენინბუნდის“ საშუალებით, ჩაიშალა მასლოვის, რუტ ფიშერის, ურბანსის და შელომის ჯგუფების საბოლოოდ დარღვევის გამო. სოციალ-დემოკრატები წინდაწინვე აფრთხილებენ თავიანთ მომხრეებს, რომ შეიძლება არჩევნებს კომუნისტებისათვის ხელსაყრელი შედეგები მოჰყვეს.

საჭიროა აგრეთვე აღინიშნოს, რომ სოციალ-დემოკრატების საგიტაციო მეთოდებს სარგებლობა მოაქვს კომუნისტებისათვის. საინტერესო ცვლილება მოხდა ეგრედწოდებულ მემარცხენე სოციალ-დემოკრატების ბელადების და მათი გაზეთების ტაქტიკაში. პარტიულ ხელმძღვანელობის ტაქტიკის მაგიერ, რომელსაც ისინი ატარებდენ საარჩევნო კამპანიის დაწყებამდე, ისინი ეხლა თავგამოდებით იცავენ პარტიის ოფიციალურ ხაზს და ამტკიცებენ, თითქოს სოციალ-დემოკრატია საარჩევნო ბრძოლას აწარმოებს „კლასობრივი ბრძოლის ნიშნის ქვეშ. სოციალ-დემოკრატიასთან შედარებით, კომპარტიის ტაქტიკა შეტევითია და კომუნისტებს შეუძლია დარწმუნებული იყვნენ, რომ ბრძოლა მათი გამარჯვებით დამთავრდება. (ადს).

გერმანიის კომპარტიის საარჩევნო კამპანია

ბერლინი, 17 მაისი. გერმანიის კომპარტიამ კელნში გამართა საარჩევნო კრება, რომელიც დიდის წარმატებით ჩატარდა. კრების დარბაზი სავსე იყო. კრებაზე გამოვიდა რეიხსტაგის კომუნისტი დეპუტატი შტეკერი, რომელიც პასუხისგებაშია მიცემული გერმანიის კომპარტიის ცეკას პროცესის გამო და ემალება პოლიციას. შტეკერის გამოჩენამ ტრიბუნაზე მქუხარე ტაში და მისალმებები გამოიწვია. მიუხედავათ იმისა, რომ დარბაზში იყვნენ პოლიციელები, შტეკერმა მოახერხა ლაპარაკი 15 წუთს. ორატორმა აღნიშნა, რომ წინააღმდეგ ბურჟუაზიულ და სოციალ-დემოკრატიულ პრესის ცნობებისა, გერმანიის კომპარტიის ცეკას პროცესის გამო პასუხისგებაში მიცემულთ არ დაუტოვებიათ გერმანიის ტერიტორია და მონაწილეობას იღებენ გერმანიის კომპარტიის საარჩევნო კამპანიაში. პოლიციელების მიერ მიღებულ ზომების მიუხედავათ, შტეკერი გამოსვლის შემდეგ მუშების დახმარებით მიიმალა.

შტუტგარტში ჩამოვიდა ტელმანი—კომპარტიის მიერ მოწყობილ საარჩევნო კრებაზე გამოსვლის მიზნით. სადგურზე ტელმანს შეეგება რამოდენიმე ათასი მუშა. ტელმანის გამოსვლას კრებაზე ოვაციებით შეხვდნენ. (ადს).

სოციალ-დემოკრატების საარჩევნო „სტრატეგია“.

ბერლინი, 17 მაისი. გერმანიის სოციალ-დემოკრატიის საარჩევნო „სტრატეგია“, რომლის მიზანი იყო ლენინბუნდის გამოყენება კომპარტიის საარჩევნო კამპანიისათვის ხელის შესაშლელად, ლენინბუნდის დაშლის გამო, სასტიკად დამარცხდა. სოციალ-დემოკრატებმა ვერ გამოიყენეს აგრეთვე მეორე „იარაღი“—სოციალ-დემოკრატების მიერ ნაყიდი მაქს ჰელცის ძველი წერილი, რომელიც მან გაუგზავნა თავის ყოფილ ამხანაგებს უთანხმოების შესახებ რემელესის მუშაობასთან დაკავშირებით. სოციალ-დემოკრატიულ პრესას განზრახული ჰქონდა არჩევნების წინ გამოექვეყნებია ეს წერილი, როგორც „კომუნისტებისათვის ლახვარის ჩამცემი დოკუმენტი“. „როტე ფანე“-მ დროულად გამოაშკარავა სოციალ-დემოკრატიულ პრესის გეგმები.

მაქს ჰელცმა „როტე ფანე“-ში სოციალ-დემოკრატების გეგმის შესახებ გამოაქვეყნა შემდეგი განცხადება: „უფრო მეტი სისაძაგლე და სიმდაბლე გერმანიის სოციალ-დემოკრატიის მხრით წარმოუდგენელია. სოციალ-დემოკრატები ამ შემთხვევაში, ისე როგორც 1924 წლის არჩევნებშიაც, ცდილობენ თავისი მოღალატური პოლიტიკის მსხვერპლი (მაქს ჰელცი დასაჯეს სოციალ-დემოკრატების დახმარებით) გამოიყენონ თავისი საარჩევნო მიზნებისათვის. მშრომელნი ამ უბადრუკ ყალთაბანდობას უპასუხებენ მით, რომ თავის ხმებს მისცემენ კომუნისტ კანდიდატებს“. (ადს).

შეტაკებები

ბერლინი, 17 მაისი. საარჩევნო კამპანიის უკანასკნელ პერიოდში განშირდა შეტაკებები უკიდურეს მემარჯვენე ელემენტებსა და კომუნისტებს; და კომუნისტებსა და სოციალ-დემოკრატებს შორის.

დორმშტადტის განაპირა რაიონში ნაციონალ-სოციალისტების (ფაშისტების) ჯგუფი თავს დაესხა მუშებს. ერთი მუშა მძიმეთ არის დაჭრილი, მეორე დაჭრილია თავში. რესპუბლიკანურ დროშის მებრძოლ რაზმებმა, რომლებიც დაკავშირებული არიან სოციალ-დემოკრატებთან. მოახდინეს თავდასხმა კომპარტიის საგიტაციო კიოსკზე ნეიკელნში, (ბერლინის მუშათა უბანი). რაზმელებმა ჯოხებით სცემეს წითელ ფრონტელთა კავშირის წევრებს და კიოსკს დაუშინეს აგურები. არის ბევრი დაჭრილი. მძიმეთ დაჭრილია წითელ ფრონტელთა კავშირის ერთი წევრი. (ადს).

ჰერგტის სიტყვა

ბერლინი, 18 მაისი. გერმანიის იუსტიციის მინისტრმა ნაციონალისტმა ჰერგტმა ნაციონალისტების საარჩევნო კრებაზე წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიაც შეეხო საგარეო პოლიტიკის საკითხებს. ჰერგტმა განაცხადა, რომ გერმანიის მთელი საგარეო პოლიტიკას უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში ახასიათებს მეტისმეტად ცალმხრივი ორიენტაცია დასავლეთზე. თუ მომავალს შევხედავთ, უნდა ვსცნოთ, რომ გერმანიის სამეურნეო აღორძინების შესაძლებლობა აღმოსავლეთშია. მთავრობის ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ დაიცვას აღმოსავლეთი გერმანიის და მისი მოსახლეობის ინტერესები, მოსახლეობის, რომელიც თავს იცავს უცხო გავლენათაგან.

ჰერგტმა აღნიშნა, რომ მიუხედავად დაუესის გეგმისა და ლოკარნოს ხელშეკრულებისა, ნაციონალისტები საგარეო პოლიტიკის საკითხებში ძველ პოზიციაზე გარჩნენ, ვინაიდან ფიქრობენ, რომ გერმანიის ინტერესების საფუძველი მდგომარეობს რეინის ოლქის დაცლაში. (ადს).

ინგლის-სპარსეთის სავაჭრო ხელშეკრულება

თეირანი, 17 მაისი. ინგლისის მთავრობამ სპარსეთთან დასდო სავაჭრო ხელშეკრულება, რომლითაც უქმდება სპარსეთის საბაჟო ავტონომიის შემზღუდველი ხელშეკრულებები. ხელშეკრულების მიხედვით, სპარსეთში შეტანილი საქონელი უნდა დაიბეგროს მინიმალური საბაჟო ნიხრით. ანალოგიურ ვალდებულობას კისრულობს ინგლისის მთავრობაც სპარსეთის მიმართ. სპარსეთის მთავრობა ვალდებულია ინგლისის საქონელზე გაავრცელოს ყველა ის შეღავათები, რომლებიც ვრცელდება სხვა სახელმწიფოების საქონელზე. ხელშეკრულება დადებულია 8 წლის ვადით. (ადს).

ვარშავაში დახურეს თეთრგვარდიელ ახალგაზრდობის კავშირი

ვარშავა, 17 მაისი. პოლონეთის სააგენტო იუწყება, რომ ლიზარევზე თავდასხმასთან დაკავშირებით გაცემულია ბრძანება „რუს ახალგაზრდობის კავშირის“ მოქმედების შეწყვეტის შესახებ. ამ კავშირის წევრები იყვნენ კოვერდა და ვოიცეხოვსკი. კავშირის არქივები დაბეჭდილია. (ადს).

შეთანხმება ტანჟერის საკითხზე

რომი, 17 მაისი. „ჯორნალე დიტალია“ იუწყება, რომ პარიზში მომხდარ მოლაპარაკებაზე ტანჟერის საკითხის შესახებ მიღწეულია შეთანხმება. იტალია დათანხმდა ხელი მოაწეროს ტანჟერის 1923 წლის სტატუტს, საფრანგეთმა, ინგლისმა და ესპანეთმა კი თანხმობა განაცხადეს იმაზე, რომ იტალიამ თანასწორ პირობებში მიიღოს მონაწილეობა ტანჟერის მმართველობაში.

შახტის პროცესი დაიწყო

(ტელეგრაფით საკუთარი კორესპონდენტისაგან)

პირველი შთაბეჭდილებანი

მოსკოვი, 18 მაისი. დღეს დილის ათ საათზე საბჭოთა რუსეთის უზენაესი სასამართლო შეუდგა შახტის კონტრ-რევოლუციონერების საქმის გარჩევას. პროცესი მიმდინარეობს კავშირთა სახლში.

მოსკოვის მოსახლეობაში პროცესი არაჩვეულებრივ ინტერესს იწვევს. კავშირთა სახლის ახლო რაიონები სავსეა ხალხით, რომელიც თუმცა დარწმუნებულია, რომ უადგილობის გამო, სასამართლოს დარბაზში ვერ მოხვდება, მაგრამ მაინც მოსულა იმისათვის, რომ დაინახოს ის, რის დანახვაც შეიძლება კავშირთა სახლში შესავალ კარებთან.

სატუსაღო ავტომობილებიდან მწკრივ-მწკრივათ გადმოდიან ინჟინერთა ფორმაში ჩაცმული პირები. ესენია პროცესის ცენტრალური ფიგურა, თვით ბრალდებულები. ბევრი მათგანი დარცხვენით, თავჩაქინდრული მიიჩქარის სასამართლოს შენობის კარებისაკენ, ხალხში ირგვლივ გაისმის აღშფოთების ხმები. ყოველგვარ მოსალოდნელ ექსცესების თავიდან ასაცილებლად, რომელსაც შეიძლება ადგილი დაეჭირეს დამსწრე მოსახლეობის არაჩვეულებრივი აღელვების გამო, ბრალდებულებს იცავს გაძლიერებული შეიარაღებული რაზმი.

თვით კავშირთა სახლის მიდამოებში, სვერდლოვის მოედანზე, დმიტროვკაზე, თეატრალურ მოედანზე, ტვერის ქუჩაზე და სხვაგან ჩვეულებრივზე მრავლათ არიან მილიციელები, რომელნიც ხელს უწყობენ წესრიგს.

სასამართლოს დარბაზში ტევა არ არის, მიუხედავათ იმისა, რომ კავშირთა სახლის დარბაზი საზოგადო შეკრებულობის ერთ-ერთი უდიდესი ადგილია მთელ მოსკოვში. დამსწრეთა შორის სჭარბობენ წარმომადგენლები მუშათა რაიონებიდან.

უცხოელების დიდი ინტერესი

მოსკოვი, 18 მაისი. განსაკუთრებულ ინტერესს იჩენენ შახტის კონტრ-რევოლუციონერთა პროცესისადმი უცხოელები. წამ და უწუმ მოსრიალობს უცხოეთის საელჩოთა კომფორტაბელური ავტომობილები კავშირთა სახლისაკენ.

უზენაეს სასამართლომ საშუალება მისცა უცხოეთის სახელმწიფოთა წარმომადგენლებს პირადი დასწრებით დარწმუნდნენ იმაში, რომ ბრალდებულთა გასამართლება ხდება იურიდიულ ნორმების სასტიკი დაცვით და ფაქტების მიუდგომელი გამომჟღავნებით. საეჭვოა, რომ უცხოეთის საელჩოების რომელიმე წარმომადგენელმა, თუ ის ელემენტარულ ობიექტივობას გამოიჩენს ფაქტების შეფასებისადმი, რაიმე თავის სასარგებლო იხილოს შახტის კონტრ-რევოლუციონერების პროცესზე. ამას მოწმობს უკვე საყოველთაოდ ცნობილი საბრალმდებლო დასკვნა ამ საქმეზე.

საუბარი ამხ. ჩუბაროვთან

მოსკოვი, 18 მაისი. იქონია თუ არა რაიმე მნიშვნელოვანი გავლენა შახტის შავრაზმელთა განმანადგურებელ საქმიანობამ ნახშირის მრეწველობაზე? ასეთი კითხვით მიმართა მოსკოვის პრესის წარმომადგენლებმა საკავშირო სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს სამთამადნო განყოფილების უფროსს ამხ. ჩუბაროვს.

ამხ. ჩუბაროვმა ამ შეკითხვაზე შემდეგი პასუხი გასცა. საბედნიეროთ უნდა აღინიშნოს, რომ შახტის კონტრ-რევოლუციონერთა მოღალატურმა მუშაობამ ვერ შეაჩერა ნახშირის მრეწველობის განუწყვეტელი ზრდა. ეს უმთავრესად აიხსნება ჩვენი, საბჭოთა მეურნეობის სისტემის სიმტკიცით და თავისებურობით. კონტრ-რევოლუციონერები რამდენიმე წლის განმავლობაში აწარმოებდენ თავიანთ განმანადგურებელ მუშაობას, მაგრამ მათ არა თუ ვერ შეძლეს ნახშირის მრეწველობის დაქვეითება, არამედ ვერ აღუდგნენ წინ მის ძლევამოსილ ზრდას.

ამას მოწმობს შემდეგი ციფრები: **1918 წელს დონბასი იძლეოდა 8,9 მილიონ ტონა ნახშირი. ამჟამად კი დონბასი უკვე იძლევა 24,5 მილიონ ტონა ნახშირს.**

ეს იმას არ ნიშნავს, რასაკვირველია, რომ ჩვენ ილიუზიებს უნდა მივეცეთ და არ ვადევნოთ თვალი ფხიზლად სახალხო მეურნეობის სხვა პუნქტებს, სადაც შესაძლებელია ადგილი ჰქონდეს შახტის მაგვარ მოღალატეობას. პირიქით, შახტის მაგალითი უნდა გამოყენებულ იქნას ჩვენი სახალხო მეურნეობის გასაწმენდათ ყოველგვარ ნაძირალა ელემენტებისაგან.

რას მოითხოვენ ინჟინერ-ტექნიკოსთა მასები

მოსკოვი, 18 მაისი. შახტის კონტრ-რევოლუციონერთა გასამართლებაზე საზოგადო ბრალმდებლად სხვებთან ერთად, როგორც უკვე ცნობილია, გამოდის ინჟინერ-ტექნიკოსთა სრულიად საკავშირო სექციის თავმჯდომარე შეინი, რომელმაც თქვენ კორესპონდენტთან საუბარში განაცხადა შემდეგი:

საბჭოთა კავშირის თითქმის ყველა კუთხიდან ჩვენ მოგვდის ინჟინერ-ტექნიკოსთა კრებების ერთსულოვანი მოთხოვნა იმის შესახებ, რომ შახტის კონტრ-რევოლუციონერები, რომელთაც წარუხოცელი ჩირქი მოსცხეს მთელ საბჭოთა ერთგულ სპეციალისტებს, უსასტიკესად იქნან დასჯილნი. საბჭოთა რუსეთის უზენაეს სასამართლოს მხოლოდ ამგვარი განაჩენი დააკმაყოფილებს ჩვენ, აცხადებენ შახტის გარეწართა მოქმედებით აღშფოთებული ინჟინერნი და ტექნიკოსები.

ა.-კ. დეპეშათა სააგენტოს ცნობა

სასამართლოს პირველი სხდომა

მოსკოვი, 18 მაისი. 18 მაისს დილის 10 საათზე დაიწყო შახტის კონტრ-რევოლუციონერების საქმის გარჩევა. ბრალდებულების რიცხვში 52 კაცი შედის (ერთი ბრალდებული ნეკრასოვი არ გამოცხადდა). ყველა ადგილები საბჭოთა კავშირისა და უცხოეთის ჟურნალისტებისათვის, მთავრობის და დიპლომატიური კორპუსისათვის დაკავებულია.

სხდომის გახსნის შემდეგ პროკურორი ამხ. კრილენკო სასამართლოს აცნობს ექიმ-ფსიქიატრების დასკვნას, რომ ბრალდებული ნეკრასოვი სიმულიანტობს სულით ავადმყოფობას და სთხოვს სასამართლოს ნეკრასოვი მოყვანილ იქნას პროცესზე. სასამართლო ადგენს ნეკრასოვი იძულებითი წესით მოყვანილი იქნეს სასამართლოს სხდომაზე. (ადს).

მოითხოვენ მკაცრ სასჯელს

მოსკოვი, 18 მაისი. კიევის მთელი რიგ წარმოებათა მუშებმა უზენაეს სასამართლოს მიმართეს დეპეშით, რომელშიაც მოითხოვენ, რომ სასამართლომ მკაცრად დასაჯოს დონბასის ეკონომიურ კონტრრევოლუციონერთა ჯგუფი და მათი ხელისშემწყობნი.

მოსკოვი

(ტელეგრაფით საკუთარი კორესპონდენტისაგან)

ისლამოვის ქალის თვითმკვლელობის საქმე

მოსკოვი, 18 მაისი. მოსკოვის ლიტერატურულ წრეებისა და მუშათა ორგანიზაციების დიდ ყურადღებას იპყრობს ისლამოვის ქალის თვითმკვლელობის საქმე, მეორე დღეა სასამართლო არკვევს ისლამოვის ქალის კოშმარულ თვითმკვლელობის დეტალებს. ისლამოვის ქალის თვითმკვლელობისათვის პასუხისგებაში მიცემული ალტშულერი, ანოხინი და ავერუშენკო, „რასაკვირველია“, თავს დამნაშავეთ არ სცნობენ. მათი სიტყვით ყველაფერი ისლამოვის ქალის ბრალია, მან გამოიწვია ისინი სამივე თავის თავის გაუპატიურებაზე, მან გამართა ქეიფი სასტუმროში, სადაც ეს საზიზღრობა მოხდა, მან მიაყენა შეურაცხოფა მათ პატიოსან სახელს და სხვა.

ალტშულერს მეტად ფრთხილად უჭირავს თავი სასამართლოს წინაშე. სამაგიეროთ ანოხინის და ავერუშენკოს ალვირახსნილობას საზღვარი არა აქვს. სასამართლო ხშირად აძლევს მათ შენიშვნას. ეს უკანასკნელნი განსაკუთრებით ცდილობენ ისლამოვის ქალის გაშავებას, რათა თავიანთი თავი დაუსახონ სასამართლოს „მაცდურ ევას“ უდანაშაულო მსხვერპლად.

ბრალდებულების უტიფრობა იქამდე მიდის, რომ ისინი უარყოფენ გაუპატიურების ფაქტს. ამის დასამტკიცებლად ავერუშენკო ხელოვნური უმანკო სახით აცხადებს, რომ ისლამოვი პირველი ქალი იყო, რომელთანაც მე მქონდა კავშირიო.

დამცველები ცდილობენ საქმის ბურუსში გახვევას, რომ ამით შეამსუბუქონ ბრალდებულთა მდგომარეობა. ამ მიზნით მათ წარადგინეს სასამართლოში ისლამოვის ქალის ამხანაგის პოლეჟაევის ქალის საიდუმლოებით მოცული წერილი, რომელიც თითქოს ატყობინებს ისლამოვის ქალს, რომ სასტუმროში ნომერი მზადაა ისლამოვის ქალისათვის, ალტშულერთან, ანოხინთან და ავერუშენკოსთან შესახვედრათ.

მუშათა ორგანიზაციები განაგრძობენ დადგენილების გამოტანას იმის შესახებ, რომ ისლამოვის ქალის მორალური და ფიზიკური მკვლელები სათანადოთ იქნან დასჯილნი.

უკანასკნელი ცნობები

ფადიშაჰი ამხ. რიკოვთან

სევასტოპოლი, 18 მაისი. 17 მაისს ყირიმის სამხრეთ ნაპირზე ფადიშაჰ ამანულა-ხანი შეხვდა ამხ. რიკოვს. მათ ხანგრძლივი საუბარი ჰქონდათ ერთმანეთთან. (ადს).

ამხ. რიკოვის ჯანმრთელობის მდგომარეობა

მოსკოვი, 18 მაისი. ბიულეტენი ამხ. რიკოვის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ:

ავადმყოფის მდგომარეობა თანდათან უმჯობესდება. ტემპერატურა 17 მაისს საღამოს—37, 18-ს დილით—36,6.

უმნიშვნელო ტკივილი აქვს ხელის კუნთებში ხელის განძრევის დროს. საერთო მდგომარეობა კარგია. ავადმყოფი კარგად გრძნობს თავს.

პროფესორი ბურმინერი, დოქტორი ლევინი, პროფესორი დიტრიხი.

18 მაისი 1928 წ.

კომუნისტი — კავშირის თავმჯდომარეთ

ლონდონი, 18 მაისი. სამთა-მადნო მუშაკთა ფაიფშირის კავშირის აღმასკომმა თავმჯდომარეთ აირჩია მეუმცირესთა მოძრაობის ცნობილი მოღვაწე კომუნისტი—ჯემ სტიუარტი. (ადს).

პარტიზანების თავდასხმა

შანხაი, 18 მაისი. 16 მაისს ხანკოუდან გადმოცემული ცნობებში ნათქვამია, რომ კომუნისტ-პარტიზანების რაზმმა ხუბეიში მოახდინა თავდასხმა ჩაო-იანზე. (ადს).

უარყოფენ

ბერლინი, 18 მაისი. „დოიჩე ალგემაინე ცაიტუნგი" უარყოფს ბუქარესტის გაზეთ „ადევერულის" ცნობას, თითქოს ინგლისის ბანკსა და რეიხსბანკს შორის მომხდარიყოს შეთანხმება რუმინეთისათვის სესხის მიცემის შესახებ.

გაზეთი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ რუმინეთის მთავრობას ჯერ კიდევ არ უცვნია საერთაშორისო ომამდე მიღებული სესხის ვალდებულებები და ამიტომ რუმინეთისათვის სესხის მიცემაში რეიხსბანკის ან სხვა რომელიმე გერმანული ბანკის მონაწილეობის მიღება შეუძლებელია. (ადს).

საბჭოთა ჟურნალისტის დაპატიმრება

შანხაი, 18 მაისი. დაირენიდან მოსულ გემ „საკაკი მარუზე" დააპატიმრეს საბჭოთა კავშირის დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტი ჩინეთში—როგოვი.

მენშევიკი პოლიციელები სდევნიან გაფიცულთ

ბერლინი, 18 მაისი. რეინის ოლქის წყალის მუშაკთა გაფიცვა, რომელიც გამოცხადებულია ხელფასის 15 პროცენტით დაკლების საწინააღმდეგოთ, მეტად გამწვავდა. გაფიცვას მიემხრენ აგრეთვე რეინის ნავთსადგურების მუშები. სოციალ-დემოკრატები ყოველ მხრივ სცდილობენ, რომ ხელი შეუშალონ გაფიცვის ბრწყინვალეთ ჩატარებას. სოციალ-დემოკრატმა დუისბურგის პოლიცეი-პრეზიდენტმა გასცა ბრძანება გარეკონ გაფიცულთა კრებები და არ დაუშვან გაფიცულთა დემონსტრაციების გამართვა.

ბადენის პოლიციამ, შინაგან საქმეთა მინისტრ-სოციალ-დემოკრატ რემმელედან მიიღო ბრძანება, რომ კანონის მთელი სისასტიკით გაუსწორდენ მათ, ვინც ხელს უშლის სტრეიკბრეხერების მუშაობას. (ადს).

„ლენინბუნდ"-ის რღვევის გამო

ბერლინი, 17 მაისი. ამ ბოლო დროს გერმანიის კომპარტიის ხელმძღვანელ ორგანოებში თანდათან უფრო ხშირად შემოდის განცხადებები პარტიაში უკან მიღების შესახებ მუშებისაგან, რომლებიც თავის დროზე გამორიცხულ იქნენ კომპარტიიდან ანტიპარტიული მუშაობისათვის, რომელსაც ისინი აწარმოებდენ ეგრედწოდებულ ულტრა-მემარცხენეების ხელმძღვანელობით. ამასთან დაკავშირებით გერმანიის კომპარტიის ბერლინ-ბრანდენბურგის ორგანიზაციის საოლქო კომიტეტმა ქვედა საფეხურის პარტიულ ორგანიზაციებს აცნობა, რომ პარტიიდან გამორიცხულ ამა თუ იმ ოპოზიციონერის უკან მიღება შესაძლოა მხოლოდ საოლქო კომიტეტის ნებართვით თვითეულ ცალკე შემთხვევაში. ყველა განცხადებები პარტიაში უკან მიღების შესახებ, უნდა იგზავნებოდეს საოლქო კომიტეტის მისამართით.

შემდეგ საოლქო კომიტეტი იუწყება, რომ მასლოვის და რუთ ფიშერის ჯგუფი აგროვებს ხელმოწერას განცხადებაზე პარტიიდან გამორიცხულთა უკან მიღების შესახებ. საოლქო კომიტეტი აცხადებს, რომ ხელმოწერების შეკრება არის მხოლოდ ახალი მანევრი, რომლის საშუალებით პარტიიდან გამორიცხული ულტრა-მემარცხენეთა ბელადები ცდილობენ დაბრუნდენ კომპარტიაში, რათა განაგრძონ მის რიგებში თავისი გამხრწნელი მუშაობა. ისინი ცდილობენ ამოეფარონ იმ მუშებს, რომლებიც გულწრფელად მოილტვიან უკან, პარტიისაკენ.

იგივე უნდა ითქვას იმ ჯგუფის სხვა ბელადების—ურბანსის, ბარტელის და შოლემის შესახებ, რომლებმაც პარტიისათვის საზიანო მუშაობის შედეგათ დაჰკარგეს კომპარტიაში ყოფნის უფლება.

საოლქო კომიტეტი აცხადებს, რომ ამ ბელადების მიმართ არც კი დასმულა საკითხი პარტიაში უკან მიღების შესახებ.

ამავე დროს კომიტეტი მოუწოდებს ყველა მუშებს, რომლებიც აქამდის მიჰყვებოდენ ამ ბელადებს, საბოლოოდ ჩამოშორდენ მათ და დაბრუნდენ კომპარტიის რიგებში, როგორც პატიოსანი მებრძოლნი, დაემორჩილონ რევოლიუციონურ დისციპლინას და უყოყმანოთ იცნონ პარტიის ხაზი (ადს).

სპარსეთ-საბჭოთა კავშირის ურთიერთობა

სატელეგრაფო აპარატების შესყიდვა საბჭოთა კავშირში

თეირანი, 17 მაისი. ვინაიდან ამჟამად სპარსეთში არსებული სატელეგრაფო აპარატები ვერ აკმაყოფილებს ფოსტა-ტელეგრაფის სამინისტროს მოთხოვნილებას, ამიტომ ტელეგრაფის სამმართველომ სავაჭრო წარმომადგენლობასთან გამართა მოლაპარაკება საბჭოთა კავშირში 28 ახალი სატელეგრაფო აპარატის შეძენის შესახებ (ადს).

რუსეთ-სპარსეთის ბანკის ადგილობრივ განყოფილებების გამგეთა თათბირი

თეირანი, 17 მაისი. ამ დღეებში თეირანში გაიმართა რუსეთ-სპარსეთის ბანკის ადგილობრივ განყოფილებათა ყველა გამგეების თათბირი.

თათბირმა განიხილა საბჭოთა კავშირისა და სპარსეთის ვაჭრობისათვის ფინანსების მიწოდების საკითხი. გამოირკვა, რომ ბანკის მიერ 1926-27 წ. გახსნილი კრედიტების თანხა შეადგენს სპარსეთ-საბჭოთა სავაჭრო ბრუნვის საერთო ჯამის 75 პროცენტს.

რუსეთ-სპარსეთის ბანკი კრედიტებს უხსნის აგრეთვე სპარსეთის შინაურ ვაჭრობასაც. სპარსეთის ვაჭრებისათვის გახსნილი კრედიტის თანხა 1926-27 წ. შეადგენდა ბანკის მიერ გაცემულ ყველა კრედიტების 60 პროც. ბანკის წევრთა რაოდენობა სპარსეთის ვაჭრებიდან თანდათანობით იზრდება (ადს).

ამხ. ბელა კუნის დაპატიმრების გარშემო

„ნოიე ფრეიე პრესსე" შეშინებულია

ვენა, 17 მაისი. „ნოიე ფრეიე პრესსე" აღნიშნავს, რომ ბელა კუნი ინახულეს ჩეხო-სლოვაკიის სენატორმა კომუნისტმა **გირომა** და ავსტრიის კომუნისტებმა. გაზეთი დაუშვებლად სთვლის ასეთ ნებართვის გაცემას და აცხადებს:

„უნდა ვიფიქროთ, რომ სასამართლოს კარგად ესმის, თუ რა საფრთხესთან არის დაკავშირებული ასეთი ნახვა. ოტტო ბრაუნის ციხიდან გაქცევის შემთხვევა საკმაოდ მჭერმეტყველურად მოწმობს, რომ ზოგიერთ შესაძლებლობებს აუცილებლად უნდა გაეწიოს ანგარიში". (ადს)

ნაციონალ-გამცემლები

ვენა, 17 მაისი. ოფიციოზ „რეიხსპოსტ"-ის ცნობით, ნაციონალ-სოციალისტური პარტიის კონფერენციამ, რომელიც შესდგა ვენაში, მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც მოითხოვს ბელა კუნის დაუყოვნებლივ გადაცემას უნგრეთის მთავრობისათვის. (ადს).

ფადიშაჰ ამანულას გამგზავრება

სევასტოპოლი, 18 მაისი. 18 მაისს შესდგა ფადიშაჰის საზეიმო გაცილება. დილის 10 საათზე მოედანზე მესამე ინტერნაციონალის ნავთსადგურის წინ დაეწყო საპატიო ყარაული. ნავთსადგურში შეიკრიბნენ ყირიმის ცაკის თავმჯდომარე ამხ. კუბაევი, თურქეთის ელჩი ტევფიკ-ბეი, თურქეთის ოფიციალური დელეგაცია, უმაღლესი საზღვაო სარდლობა და ადგილობრივ ხელისუფლების წარმომადგენლები.

საპატიო ყარაულის ჩამოვლის შემდეგ ფადიშაჰი გამცილებელთა თანხლებით კატერით გადავიდა გემ „სმირნა"-ზე. რეიდზე მოხდა ფლოტის დათვალიერება. „სმირნა"-ზე ასვლის შემდეგ ამხ. კარახანმა მთავრობის სახელით უსურვა ფადიშაჰს მოგზაურობის მშვიდობიანად გაგრძელება და გამოსთქვა რწმენა, რომ გულითადი მეგობრული ურთიერთობა საბჭოთა კავშირსა და ავღანისტანს შორის კიდევ უფრო განმტკიცდება და ნაყოფიერად განვითარდება ფადიშაჰის პირადად გაცნობის შემდეგ საბჭოთა კავშირის მოღვაწეებთან.

თავის საპასუხო სიტყვაში ფადიშაჰმა მადლობა განაცხადა განსაკუთრებულათ მეგობრული მიღებისათვის და აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირში სტუმრობისას მან მიიღო საუკეთესო შთაბეჭდილებები და ითხოვა გადაეცათ მისი გულითადი სალამი საბჭოთა კავშირის მოღვაწეებისათვის და განსაკუთრებით ამხ. კალინინსა, რიკოვსა, ვოროშილოვსა და ჩიჩერინისათვის.

12 საათზე თურქეთის ესკადრა გავიდა ზღვაში. ესკადრა საბჭოთა კავშირის ტერიტორიალური წყლების საზღვრამდე მიაცილა გემ „ჩერვონნა უკრაინამ" და სამმა ნაღმოსანმა. (ადს).

ფადიშაჰის შთაბეჭდილებები საბჭოთა კავშირის შესახებ

სევასტოპოლი, 18 მაისი. გემ „სმირნაზე" გასვლამდე ფადიშაჰმა გადასცა საბჭოთა კავშირის დეპეშათა სააგენტოს სპარსულ კორესპონდენტს, საბჭოთა კავშირში შთაბეჭდილებების შესახებ შემდეგი:

— „საბჭოთა კავშირში ყოფნის დროს მე მივიღე საუკეთესო შთაბეჭდილებები. ყველგან ვგრძნობდი მეტად გულწრფელ და მეგობრულ შეხვედრას, რისაც მე დიდათ ვაფასებ.

მე ვსტოვებ საბჭოთა კავშირის ტერიტორიას გულითადათ მადლიერი და თან მიმაქვს საუკეთესო მოგონებანი".

თურქეთის ესკადრა სევასტოპოლში

სევასტოპოლი, 18 მაისი. მოვიდა თურქეთის ესკადრა, რომელიც სამი გემისაგან შესდგება. წინ მოდიოდა გემი „სმირნა", რომელზედაც იმყოფებოდა თურქეთის მთავრობის დელეგაცია ფადიშახის შესახვედრად. დელეგაციას მეთაურობს თურქეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის წარმომადგენელი გენერალი ფახრი-ფაშა. „სმირნა"-ს მიესალმა ორი ნაღმოსანი. ესკადრის შესახვედრად რეიდზე ჩამწკრივდენ სამხედრო გემი „ჩერვონნა უკრაინა" და შავი ზღვის ფლოტის სხ. გემები.

თურქეთის დელეგაციას შეხვდენ „ჩერვონნა უკრაინა"-ზე. შეხვედრას დაესწრენ ესკადრის სარდალი, თურქეთის სამხედრო გემების უფროსები და ფლოტის მეთაურთა შემადგენლობა. სხვა საბჭოთა გემებზე მოხდა თურქეთისა და საბჭოთა მეზღვაურების ამხანაგური შეხვედრა.

თურქეთის მთავრობის დელეგაციაში შედიან ნებილ-ბეი—თურქეთის ელჩი ქაბულში და გენერალი ნაზი-ფაშა—საგარეო საქმეთა სამინისტროს ოქმების განყოფილების წარმომადგენელი.

დელეგაციას ჩამოჰყვენ ანატოლიის დეპეშათა სააგენტოს სპეციალური კორესპონდენტი და ანგორისა და სტამბოლის პრესის 17 კორესპონდენტი.

სევასტოპოლი, 18 მაისი. 17 მაისს 20 საათზე ამხ. კარახანმა ინახულა გემი „სმირნა", რომლის ბაქანზე მიესალმა გენერალ ფახრი-ფაშას და თურქეთის დელეგაციის წევრებს საბჭოთა მთავრობის სახელით.

შემდეგ დელეგაცია გაემართა წითელი არმიისა და ფლოტის სახლში, სადაც თავი მოიყარა 500-ზე მეტმა სტუმარმა.

21 საათზე წითელი არმიისა და ფლოტის სახლში მოვიდნენ: თურქეთის მთავრობის დელეგაცია ფახრი-ფაშას მეთაურობით, თურქეთის ელჩი, ავღანისტანის სამხედრო მინისტრის მოადგილე ხაბიბულა-ხანი, ამხ. კარახანი და ფლორინსკი, თურქეთის ესკადრის სარდალი მამედ-ალი, შავი ზღვის ფლოტის სარდალი ამხ. ორლოვი და სხვ. (ადს).

ინგლისის ფლოტი ბალტიის ზღვაში

ლენინგრადი, 18 მაისი. სამხედრო-საზღვაო წრეებში საკავშირო დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტს აცნობეს:

„საბოლოოდ გამოირკვა, რომ ივნისის პირველ რიცხვებში ინგლისის ფლოტი მეთერთმეტე ვიზიტს გაუკეთებს ბალტიის სახელმწიფოებს. ესკადრის სარდლად, ალბათ, იქნება კონტრ-ადმირალი ლარკინი, რომელმაც შარშან, როცა ესკადრა შვეციის ნავთსადგურში იყო გაჩერებული, 50 გირ. სტერლინგი ჯილდოთ გამოაცხადა, თვითეულ კომუნისტ-აგიტატორის აღმოჩენისათვის. ესკადრა ესტუმრება დანიას, შვეციას, ფინეთს, ესტონეთს, პოლონეთს; ლატვიას და ლიტვას. ინგლისის საზღვაო დემონსტრაციის მიზანი ჩვენთვის სავსებით ნათელია:—ბალტიის სახელმწიფოების შესწავლა, როგორც მოსალოდნელი ომის ასპარეზის". (ადს).

აფხაზეთის ცაკის სესია

სოხუმი, 18 მაისი. 18 მაისს აფხაზეთის ცაკის სესიის დილის სხდომაზე ამხ. დომენიამ გააკეთა მოხსენება სოხუმის ქალაქის საბჭოსა და საქალაქო-სამაზრო აღმასკომის მუშაობის შესახებ. მისი მოხსენებიდან გამოირკვა, რომ ქალაქის ბიუჯეტი 1927-28 წელში შეადგენს 1.554.500 მ., რაიც შარშანდელთან შედარებით წარმოადგენს მომატებას 2 ნახ.-ჯერ. სამაზრო ბიუჯეტი 1927-28 წელში შეადგენს 260.000 მან., რაიც წარმოადგენს მომატებას 40 პროც. ქალაქის კეთილმოწყობისა და ახალი მშენებლობისათვის გადადებულია 771.500 მანეთი. ქალაქის კეთილმოწყობის დარგში თვალსაჩინო ადგილი უჭირავს წყალსადენის აგებას და ქუჩების შეკეთებას. სუსტად არის დაყენებული საბინაო მშენებლობის საქმე, ვინაიდან უმთავრესი ყურადღება ამჟამად მიქცეულია დაძველებული შენობების აღდგენაზე. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში სულ აღდგენილ იქნა 110 სახლი, რაიც ნაწილობრივ უწყობდა ხელს საბინაო მშენებლობის კრიზისის შენელებას.

სანიტარულ-ჰიგიენური და პროფილაქტიური ღონისძიებების მიღების შემდეგ მნიშვნელოვნად შემცირდა მალიარიით ავადმყოფობის შემთხვევები. მალარიით დაავადმყოფებულთა პროცენტი მიმდინარე წელში 1924 წელთან შედარებით შემცირდა 29 პროც. 15 პროცენტამდე.

გაფართოებულ იქნა ქალაქის ამბულატორია და პოლიკლინიკა. მაზრაში აგებულ იქნა ახალი საავადმყოფოები და მოეწყო სამი საექიმო და ოთხი საფერშლო პუნქტი.

სკოლების საერთო რაოდენობა უდრის 148. მათ შორის 64 სკოლას ინახავს თვითონ გლეხობა.

აგროდახმარებისა და აგროპროპაგანდის შემდეგ, სასოფლო მეურნეობაში გავრცელდა საკვები მცენარეულობის თესვა და გაუმჯობესდა მებაღეობა და მევენახეობა. 1926 წელში მებაღეობის და მეღვინეობის მეურნეობათა რიცხვი უდრიდა 185, ხოლო ამჟამად უდრის 1.435. ფართოდ არის დაყენებული მუშაობა ციტრუსული კულტურების მოშენებისათვის.

მნიშვნელოვანი მიღწევები არის აგრეთვე სასოფლო მეურნეობის კოლექტივიზაციის დარგში: მოეწყო მევენახეთა 2 არტელი, ერთი კოლმეურნეობა და მესაქონლეთა ერთი ამხანაგობა.

კამათში მონაწილეობა მიიღო 24 დელეგატმა. (ადს).

საკავშირო კომპარტიის (ბ) ცენტრალური საკონტროლო კომისია

სმოლენსკის ორგანიზაციის შესახებ

მოსკოვი, 17 მაისი. საკავშირო კომპარტიის (ბ) ცენტრ. საკონტროლო კომისიის პრეზიდიუმმა გამოიტანა შემდეგი რეზოლიუცია სმოლენსკის ორგანიზაციაში შექმნილი მდგომარეობის შესახებ:

„სმოლენსკის ძაფის კოჭების ფაბრიკაში, სადაც კომუნისტები და კომკავშირელები 50 პროცენტს შეადგენენ, რამდენიმე წლის განმავლობაში სრულიად დაუსჯელათ რჩებოდა დანაშაულებრივი მოქმედება რამდენიმე ოსტატის (კომუნისტების და უპარტიოების), ხეზე მომუშავეთა პროფკავშირის საგუბერნიო განყოფილების თავმჯდომარის, გუბერნიის პროფსაბჭოს პრეზიდიუმის წევრის და ფაბრიკის პარტუჯრედის ყოფილი მდივნის, რომლებიც ქრთამს იღებდენ მუშებისა და მუშა-ქალებისაგან და სხვადასხვა სისხლის სამართლის ბოროტმოქმედებს ეწეოდნენ. მუშების განცხადებას ჩადენილ ბოროტმოქმედებათა შესახებ უყურადღებოდ სტოვებდნენ საქარხნო პარტიული და პროფესიონალური ორგანიზაციები და სარაიონო და საგუბერნიო ხელმძღვანელი ორგანოები.

სხვადასხვა შემოწმებულ თემებში (ვოლოსტებში), მეტადრე სმოლენსკის მაზრაში, გამოირკვა, სასოფლო და სათემო პარტიული და საბჭოთა აპარატის გახრწნა, მისი კავშირი კულაკებთან, პარტიული ზედაფენის დროს ტარება კულაკებთან და ყოფილ მემამულეებთან ერთად, კლასობრივი ხაზის გამრუდება სოფლად, სისტემატიური ლოთობა, ფლანგვა, ძალადობა, გაკულაკება, სათემო და სამაზრო პარტიული და საბჭოთა აპარატის ზოგიერთი ხელმძღვანელი მუშაკებისა კავშირი ბანდიტებთან. გუბერნიის ხელმძღვანელი ორგანოები რამდენიმე წლის განმავლობაში არაფერ ღონისძიებას არ ხმარობდნენ, რომ გამოერკვიათ და გამოეაშკარავებიათ ბოროტმოქმედებანი: ისინი დაშორდნენ მუშათა მასებს, ყველა ჩააჩუმეს ორგანიზაციაში, ატყუებდნენ ცენტრალურ ორგანოებს და ისე უხვევებდნენ საქმეს, ვითომც გუბერნიაში ყველაფერი რიგზე ყოფილიყოს. გარდა ამისა, გახრწნეს გუბერნიის ზოგიერთი მუშაკები და თავისი ყოფაქცევით სახელს უტეხდნენ საბჭოთა ხელისუფლებას.

ცენტრ. საკონტროლო კომისიის პრეზიდიუმმა დაადგინა: სისხლის სამართლის დანაშაულობისათვის სამართალში იქნან მიცემულნი და პარტიიდან გამოირიცხონ სახელმწიფო ვაჭრობის განყოფილების ყოფილი გამგე **ლაძალნი**, სმოლენსკის გუბერნიის ადგილობრივი მეურნეობის ყოფილი მუშაკები **ფილიმონოვი** და **ჰარტმანი**, ხეზე მომუშავეთა კავშირის საგუბერნიო განყოფილების თავმჯდომარე და საგუბერნიო პროფსაბჭოს პრეზიდიუმის წევრი **დემიდოვი**, ძაფის კოჭების ფაბრიკის წარმოების გამგე **ძაზალკოვი**, ფაბრიკის ოსტატები ტიმოფეევი და შუპორისი, დოროგობუჟის მაზრის პარტკომის საორგანიზაციო განყოფილების ყოფილი გამგე **სტიპლინი**, იმავე მაზრის სამცოვის თემკომის მდივანი **ბარინზოვი** და სმოლენსკის ვაჭრობა-მრეწველობის სამმართველოს ყოფილი დირექტორი **არტამანოვი**. ფაბრიკის საქმის შესახებ მთლიანად დამტკიცდეს სმოლენსკის საგუბერნიო კომიტეტის დადგენილება, რომ დამნაშავენი სამართალში იქნან მიცემულნი და პარტიიდან გამოირიცხონ.

საგუბერნიო კომიტეტის მდივანი **კაულიჩენკო**, საგუბერნიო კომიტეტის ბიუროს წევრები **პამფილოვი, ალექსეენკოვი, მელნიკოვი, გოლდინი** გუბერნიის განათლების განყოფილების გამგე და საკავშირო კომპარტიის (ბ) როსლავლის სამაზრო კომიტეტის ყოფილი მდივანი **ფილიპოვი**, საგუბერნიო საკონტროლო კომისიის რწმუნებული ზადნეპროვსკის რაიონში **კირიანოვი**, სმოლენსკის კომუნალური ტრესტის დირექტორი, საკავშირო კომპარტიის (ბ) იარცევსკის სამაზრო კომიტეტის ყოფილი მდივანი **ზირიატი** მუშაობიდან მოიხსნან; გამოეცხადოთ სასტიკი შენიშვნა და გაფრთხილება, დაბრუნებულ იქნან საწარმოო სამუშაოზე სპეციალობის მიხედვით და აეკრძალოთ საპასუხისმგებლო თანამდებობათა დაჭერა იმის გამო, რომ ისინი დაშორდენ მუშათა მასებს, ხელს აფარებდნენ ავადმყოფურ მოვლენებს ორგანიზაციაში, ხელი არ შეუშალეს საბჭოთა და პარტიული აპარატების ნაწილის გახრწნას, ყველას აჩუმებდნენ ორგანიზაციაში, რასაც შედეგად ის მოჰყვა, რომ დიდხანს მიჩქმალული იყო პარტიის წევრების სხვადასხვა დანაშაულებრივი მოქმედება, და იმის გამო, რომ პასუხისმგებელი მუშაკები მონაწილეობას იღებდნენ ლოთობაში. საგუბერნიო საკონტროლო კომისიის თავმჯდომარე **ნიკიტინი** მოიხსნას საგუბერნიო საკ. კომისიიდან და გამოეცხადოს სასტიკი შენიშვნა, რადგან მან საკმაოდ ენერგიული ზომები არ მიიღო დანაშაულებრივ და ავადმყოფურ მოვლენებთან საბრძოლველად ორგანიზაციაში.

მილჩაკოვის, იუშკევიჩის და **პონასენკოვის** სხვაგან ყოფნის გამო, მათი საქმე გამოიყოს და განსახილველად გადაეცეს საკავშირო კომპარტიის (ბ) ცენტრ. საკონტროლო კომისიის პარტკოლეგიას.

დაევალოს სმოლენსკის საგუბერნიო კომიტეტს, გუბერნიის აღმასკომს, გუბერნიის საკონტროლო კომისიას და გუბერნიის სახელმწიფო პოლიტსამმართველოს, რომ სასწრაფოდ დაამთავრონ ყოფილი მემამულეების გაძევება გუბერნიიდან.

გუბერნიის პარტხელმძღვანელობის გასაჯანსაღებლად და ხელმძღვანელ სამუშაოებზე ჯანსაღი კადრების დასაწინაურებლად წინადადება მიეცეთ სმოლენსკის საგუბერნიო კომიტეტს, გუბერნიის საკონტროლო კომისიას და გუბერნიის პროფსაბჭოს ფრაქციას, რომ დაუყოვნებლივ გადარჩეულ იქნან საგუბერნიო კომიტეტის ბიურო, გუბერნიის საკონტროლო კომისიის პრეზიდიუმი და გუბერნიის პროფსაბჭოს პრეზიდიუმის ფრაქცია; გადარჩეულ იქნას აგრეთვე გუბერნიის პარტიული ორგანიზაციის მთელი სისტემა იმ ვარაუდით, რომ გუბერნიის პარტკონფერენცია მოწვეულ იქნას არა უგვიანეს ივნისის დამლევისა; დაევალოს საგუბერნიო კომიტეტის ახალი შემადგენლობის ბიუროს, და გუბ. საკონტროლო კომისიას, რომ მათ შეამოწმონ და გასწმინდონ საბჭოთა აპარატი გუბერნიასა და მაზრებში, მოახდინონ დანიშნულ ვადამდე სმოლენსკის მაზრის საბჭოების გადარჩევა და მოიწვიონ საბჭოების სამაზრო ყრილობა.

ცენტრ. საკონტროლო კომისიის პრეზიდიუმი ყველა პარტიული ორგანოების ყურადღებას აქცევს იმ გარემოებაზე, რომ სმოლენსკის საქმემ ხელახლა ცხადჰყო ის უდიდესი საფრთხე, რომელიც მოსდევს თვითკრიტიკის უქონლობას, შინაპარტიული დემოკრატიის საფუძველთა დარღვევას და ხელმძღვანელი ზედაფენის დაშორებას მასებისაგან. ცენტრ. საკონტროლო კომისია ხელახლა მოაგონებს საკონტროლო კომისიის ყველა ორგანოებს, რომ, პარტიული ყრილობისა და ც. კ.-ის დადგენილების თანახმად, მათ თავისი მუშაობის მთავარ საგნად უნდა გადააქციონ პარტიული მითითება—დირექტივების ნამდვილად განხორციელების სისტემატიური შემოწმება და აგრეთვე პროლეტარული დემოკრატიის განხორციელების შემოწმება.

ცენტრ. საკონტროლო კომისიის პრეზიდიუმი ყველა პარტიული ორგანიზაციების ყურადღებას აქცევს იმ საბედისწერო შედეგებზე, რომლებიც მოსდევს ლოთობასა და სქესობრივ აღვირახსნილობას, რამაც სრულიად გახრწნა ზოგიერთი ძველი პარტიელი და რაც უდიდეს საფრთხეს წარმოადგენს ჯანსაღი ბოლშევიკური ახალგაზრდობის მომზადების საქმისათვის. კერძოდ, ცენტრ. საკონტროლო კომისიის პრეზიდიუმი კატეგორიულად კრძალავს ერთი საპასუხისმგებლო თანამდებობიდან მეორე საპასუხისმგებლო თანამდებობაზე გადაყვანას პარტიის იმ წევრებისა, რომლებმაც თავისი ყოფაქცევით პარტიის ნდობა ვერ გაამართლეს, ვინაიდან ასეთი გადაყვან-გადმოყვანა მხოლოდ ხელს უწყობს მათს შემდგომს გახრწნას. პარტიის ასეთ წევრებს, თუ მათი გასწორების იმედი არსებობს, საშუალება უნდა მიეცეთ, რომ თავისი სპეციალობის მიხედვით ქვედა საფეხურებზე იმუშაონ და ხელახლა დაიმსახურონ პარტიისა და მუშათა კლასის ნდობა. ცენტრ. საკონტროლო კომისიის პრეზიდიუმი მთელი პარტიის ყურადღებას აქცევს აგრეთვე იმაზე, რომ აუცილებლად შემოწმდეს და უეჭველად გამოსწორდეს პარტიულ და საბჭოთა აპარატის ავადმყოფურ მოვლენათა ყოველი ფაქტი, რომლის შესახებაც ლაპარაკი იქნება მუშათა და გლეხთა საჩივრებში, აგრეთვე საჩივრების ბიუროს, სახელმწ. პოლიტსამმართველოს და პროკურორების მასალებში და მუშკორების წერილებში.

ცენტრ. საკონტროლო კომისიის პრეზიდიუმი წინადადებას აძლევს საკონტროლო კომისიისა და მუშათა და გლეხთა ინსპექციის, სახ. პოლიტსამმართველოს და პროკურატურის ყველა ორგანოებს, რომ ც. კ.-ს და ცენტრ. საკონტროლო კომისიას რეგულიარულად მიაწოდონ ინფორმაცია ყველა გამოაშკარავებულ ავადმყოფურ მოვლენათა და მათ წინააღმდეგ მიღებული ზომების შესახებ". (ადს).

პარტიული ცხოვრება

ქვედა საფეხურის პარტორგანიზაციების მუშაობა

ა.-კ. რკ. გზების მთავარ სახელოსნოთა და ტრამვაის კოლექტივების გამოკვლევის შედეგები

თბილისის კომიტეტმა დაასრულა მთავარ სახელოსნოებისა და ტრამვაის კოლექტივების გამოკვლევა, რის შემდეგაც პრეზიდიუმზე მოსმენილ იქნა ამ ორგანიზაციების ანგარიშები გამომკვლევ კომისიის თანამოხსენებით.

პრეზიდიუმმა აღნიშნა ზოგიერთი მიღწევა ორივე კოლექტივის მუშაობაში, როგორიცაა მაგალითად პარტორგანიზაციის წესიერი ზრდა, საამქრო უჯრედების განმტკიცება (მთავ. სახელოსნოები), უჯრედების მონაწილეობის გაძლიერება წარმოების საკითხებში, პარტიულ-განმანათლებელი მუშაობის გაფართოება და სხვა.

ნაკლთაგან პრეზიდიუმმა აღნიშნა: მასიური მუშაობის სისუსტე, რაც გამოიხატება იმაში, რომ მუშები საკმაოდ არ არიან ჩაბმული საწარმოო თათბირებში, არა რეგულიარულად იწვევა მასიური კრებები, პროფორგანიზაცია ვერ აწარმოებს სათანადო მუშაობას საამქროებში, კოლექტივები სუსტად ხელმძღვანელობენ საზოგადოებრივ ორგანიზაციებს და სხვა.

ამას გარდა ტრამვაის კოლექტივს მიეთითა იმაზედ, რომ ტრამვაის ადმინისტრაციამ შეცდომა დაუშვა—გადავიდა 7 საათიან სამუშაო დღეზე, ისე, რომ პარტორგანიზაციას ამის შესახებ არაფერი გაუგია.

მომავალი მუშაობისათვის პრეზიდიუმმა მიიღო შემდეგი სახელმძღვანელო პრაქტიკული წინადადებები:

დამტკიცდეს ლენრაიკომის დადგენილება მთავარ სახელოსნოების დამოუკიდებელ სამეურნეო ერთეულად გამოყოფის შესახებ.

მასიური მუშაობის დარგში უჯრედთა ბიუროებმა და ადგილკომების ფრაქციებმა ყურადღება მიაქციონ მუშების მეტი რიცხვის ჩაბმას საწარმოო თათბირებში და უკანასკნელთა რეგულიარულ მოწვევას. ამასთანავე თათბირებზედ მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულება სისტემატიურად უნდა ეცნობოს მუშებს.

გაუმჯობესებულ იქნას მასიურ, სადელეგატო და სხვა კრებების შინაარსი, რისთვისაც საჭიროა კრებების დღის წესრიგში ისმებოდეს წარმოებისა და ყოფაცხოვრების აქტუალური საკითხები.

მიღებულ იქნეს ზომები მთელი მასიური მუშაობის საამქროში გადასატანად, ამ მიზნით შეიქმნეს საამქრო პროფბიუროები და საწარმოო თათბირები (ტრამვაი).

მუშებს ფართოდ განემარტოს კოლხელშეკრულების პუნქტები და კონტროლი გაეწიოს ამ ხელშეკრულებათა ცხოვრებაში გატარებას.

სამეურნეო, პროფესიონალურმა და პარტიულმა ორგანიზაციებმა მიიღონ ზომები მანკიანი პროდუქციის მინიმუმამდე დასაყვანად. საწარმოო თათბირებმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ამ საკითხს.

სერიოზული ყურადღება მიექცეს მუშების წვრილმან მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას მათი მუშაობის პირობებისა და ყოფაცხოვრების დარგში.

მუშურ აქტივთან მეტი სისტემატიური მუშაობის წარმოებისათვის საჭიროდ ჩაითვალოს აქტივის კრებების მოწვევა მუშაობის ცალკე დარგების მიხედვით (მაგალითად კოოპერატიული, პროფ. და სხვ.).

პარტ. და პროფორგანოებმა ყურადღება მიაქციონ სოფლიდან ახლად მოსული მუშების აღზრდა-განათლების საქმეს.

აღსანიშნავია რა უჯრედების საგრძნობი ზრდა უკანასკნელ წლებში, მომავლისათვის ყურადღება მიექცეს ორგანიზაციის შემადგენლობის თვისობრივ გაუმჯობესებას, აღმზრდელობითი მუშაობის გაძლიერებას პარტიის ახალ წევრთა შორის.

გაძლიერებულ იქნეს უჯრედთა ბიუროების და რაიკომის ხელმძღვანელობა პარტორგანიზაციების მუშაობისადმი.

ვინაიდან ზოგიერთი საუჯრედო კომისია ითვისებს ბიუროს ფუნქციებს, დაევალოს ლენრაიკომს მისცეს კომისიებს ინსტრუქცია მათი მუშაობის შესახებ (მთ. სახელოსნ.)

გადათვალიერებულ იქნას პარტდატვირთვა უფრო თანაბრად განაწილების მიზნით.

ადგილკომების ფრაქციებმა გააძლიერონ ხელმძღვანელობა საამქრო პროფ. ბიუროების, ამასთანავე მიეცეს ამ უკანასკნელთ ინიციატივის და თვითმოქმედების მეტი შესაძლებლობა.

კომკავშირისადმი ხელმძღვანელობის საქმეში განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს ეკონომიური და პოლიტაღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესებას.

პარტმუშაობის ცენტრის გადატანა, უჯრედების განმტკიცება-გაძლიერება და საკუთარი ადმინისტრაციისა და პროფბიუროს არსებობა საამქროებში—შესაძლებლად ხდის მთავარ სახელოსნოთა პარტ-კოლექტივის გაუქმებასა და საამქრო უჯრედების უშუალოდ ლენრაიკომისათვის დაქვემდებარებას. ეს საკითხი დასმულ იქნეს განსახილველად მთავარ-სახელოსნოების ყველა უჯრედებში.

მთელ მუშაობაში უნდა ვეცადოთ შინაპარტიულ დემოკრატიის სრულ განხორციელებას, თვითკრიტიკის განვითარებას და პარტ. პროფ. სამეურნეო და საბჭოთა ორგანიზაციების ყველა ნაკლის გამომჟღავნებას.

ლენ-რაიკომი ბიუროების გადარჩევის წინ

18 მაისს, საღამოს 6 საათზე, ამხ. ორჯონიკიძის სახელობის კლუბის ბაღში ხუთასამდე კომუნისტმა მოიყარა თავი. დღეს აქ ლენრაიონის საბჭოთა უჯრედების საერთო კრებაა. კრების დღის წესრიგში სდგას ერთი საკითხი: ლენრაიკომის ანგარიში ექვსი თვის მუშაობის შესახებ.

ამხ. გუდავაძე გარკვევით და ცოცხლად აშუქებს რაიონული კომიტეტის ყველა ნაკლს და მიღწევას.

— მუშურ მასებისა და მოსამსახურეების პოლიტიკური განწყობილება—ამბობს იგი, სავსებით დამაკმაყოფილებელია. ამის თავდებია მათი აქტიური მონაწილეობა რაიკომის მიერ ჩატარებულ პოლიტიკურ კამპანიებში.

საანგარიშო პერიოდში ჩვენ შევუდექით ხელფასის რეფორმის გატარებას, რაც საგრძნობლად გააუმჯობესებს მუშების ჩამორჩენილ ჯგუფთა მატერიალურ მდგომარეობას.

ექვსი თვის განმავლობაში პარტიაში ახლად მივიღეთ 306 კაცი, მათში 304 მუშაა, გ. წლის პირველ ოქტომბერს მუშები შეადგენდენ ორგანიზაციის 75,6 პროც., ა. წ. 1 მაისისათვის—76,7 პროცენტს. როგორც მოყვანილ ციფრებიდან სჩანს ორგანიზაციის ზრდა სავსებით ჯანსაღია.

ცოტათი გაიზარდა კანდიდატთა შემადგენლობა, ამის ერთ-ერთი მიზეზია, ის, რომ ჩვენი უჯრედები საკმაო ყურადღებით არ ეპყრობიან კანდიდატების წევრად გადარიცხვის საკითხებს.

ცირკულიარებს რაიკომმა დაუპირდაპირა ცოცხალი ხელმძღვანელობა, ამ მიზნით გასულ პერიოდში რამდენიმეჯერ მოვიწვიეთ უჯრედების მდივნების და აქტივის ცალკე ჯგუფთა თათბირები.

პარტმუშაობის რაციონალიზაციის მხრივ ჩვენი მუშაობა გამოიხატა უჯამაგირო ინსტრუქტორთა კადრის შექმნაში.

ძირითადი ნაკლი რაიკომის მუშაობაში იყო და არის მასიური მუშაობის სისუსტე: ვერ იქნა, ვერ მოვაწესრიგეთ სადელეგატო და საერთო კრებების მოწვევა, ვერ მუშაობენ კარგათ ვერც საამქრო საწარმოო თათბირები.

კამათში მონაწილეობა მიიღეს ამხ. ვოიკინმა, მუნტკოვმა, შენგელიამ და სხვ.

ქალაქის რაიკომის პლენუმზე

17 მაისს მოწვეული იყო ქალაქის რაიკომის პლენუმი.

პლენუმმა პირველ საკითხად განიხილა ცეკას რეზოლიუცია მე-4 რაიონის გამოკვლევის შესახებ და მიიღო იგი სახელმძღვანელოდ.

მეორე საკითხი იყო ამხ. ტინტიკოვის მოხსენება საბჭოს საანგარიშო კამპანიის შედეგებზე.

— რაიკომის დირექტივის თანახმად—სთქვა ამხ. ტინტიკოვმა,—პარტიისა და კომკავშირის უჯრედებმა წინასწარ განიხილეს საანგარიშო კამპანიის საკითხები და მიიღეს სათანადო ღონისძიებები კამპანიის წესიერად ჩატარებისათვის.

ამომრჩეველთა აქტივობა გასულ წელთან შედარებით საგრძნობლად გაიზარდა, დასწრება საანგარიშო კრებებზე დამაკმაყოფილებელი იყო.

კამპანიის ერთ-ერთ ნაკლად უნდა ჩაითვალოს პროფორგანიზაციების სუსტი მონაწილეობა მასში.

საანგარიშო კამპანიის დროს საბჭოდან გამოწვეულ იქნა რამდენიმე უმოქმედო დეპუტატი.

ამხ. ტინტიკოვის მოხსენების შემდეგ პლენუმი შეუდგა პარტიაში მისაღებთა საქმეების განხილვას.

დ. ა. გორბოვის წიგნაკის გამო

„თეთრ ემიგრანტების ლიტერატურის შესახებ"*)

ეს წიგნაკი დაწერილია ადამიანის მიერ, რომელსაც სურს და შეუძლია კიდეც სულგრძელი იყოს. ეს მშვენიერი თვისებაა. ამბობენ იგი ყოველთვის საჭირო არ არისო. ვეჭვობ რომ მართლაც ასე იყოს.

დ. ა. გორბოვის ობიექტური ტონი და დასაბუთებული მსჯელობა ემიგრანტ-ლიტერატორებს შესაძლებლობას ართმევს სთქვან, რომ უსამართლოა გორბოვის მიერ მოცემული დაფასება ჩვენი ღვაწლისა ჩვენი საყვარელი რუსის ხალხის სასახელოთო.

მაგრამ თუ ისინი გორბოვის ნარკვევს გაეცნობიან, იგი, რასაკვირველია, გააცოფებს ძველ „ჰუმანისტებს", „ხალხისა, სამართლიანობისა, ჭეშმარიტებისა და მშვენიერების მოყვარულებს" ოსვაგის თანამშრომლებს „ინტერვენტების" პირვანდელ შთამგონებლებს და თანამოღვაწეებსა, ხოლო დღევანდელ მონა-მორჩილებს, ბოლოს რუსის გენერლებს, რომელნიც ოთხი წლის განმავლობაში გულმოდგინეთ ანგრევდნენ რუსეთის მეურნეობას და სწორეთ იმ ხალხის სისხლს ღვრიდნენ, რომელიც ესოდენ საყვარელია ჰუმანისტებისათვის. სისასტიკე, რომელიც ამ საქმეში რუსის გენერლებმა გამოიჩინეს, ჩემის აზრით, შეუდარებლად სჭარბობს იმ უცხოელ ინტერვენტების სისასტიკეს, რომელნიც საერთო შიშით და ბრძოლით გაგიჟებულმა ევროპიელი კაპიტალისტების მთავრობებმა გამოგვიგზავნეს „ბოლშევიკების სიგიჟის" დასათრგუნავათ, ანუ უკეთ ვსთქვათ, თავიანთი დაზიანებული ტყავის გასამრთელებლათ რუსის ხალხის ზურგზე აგლეჯილი კანის შემწეობით. როგორც ცნობილია ამ უზრდელმა და უკულტურო ხალხმა ასეთი ოპერაცია სასურველათ არ სცნო თავისი ჯანმრთელობისათვის, „ბოლშევიკების სიგიჟეში" სალი გონება იგრძნო, თავისი ქვეყნიდან ყველა მტერი განდევნა და დღეს დიდი წარმატებით მუშაობს თავისი ნამდვილი, ახალი ტიპის კულტურის შესაქმნელათ.

ემიგრანტებს არ სურთ ამის დაჯერება.

—არაფერი არ კეთდება, არამედ ყოველივე იღუპება,—ერთსულოვნათ გაიძახიან ისინი.

ვინ ამბობს ამას?

ამას ამბობს **დიმიტრი მერეჟკოვსკი**, ცნობილი ღვთის მოყვარე ქრისტიანული მიმართულებისა, პატარა კაცუნა, რომლის ლიტერატურული მოღვაწეობა ძლიერ წააგავს საწერი მანქანის მუშაობას: შრიფტი ადვილათ იკითხება, მაგრამ უსულოა და მისი წაკითხვა მოსაწყენია. რუსეთს მერეჟკოვსკი „ძუკნას" ეძახის. ე. ი. დედალ ძაღლს. 1902 წელს იგი მოხუც ა. ს. სუვორინს წერილს სწერდა და ფულს სთხოვდა ჟურნალის გამოსაცემათ: „მოვილტვი თქვენდამი როგორც ნიკოდიმე ქრისტეს მიმართ". მან რასაკვირველია კარგათ იცოდა, რომ „ნოვოე ვრემიას" რედაქტორ-გამომცემელი არც გარეგნობით, არც შინაგანობით არ ჰგავდა იესო ქრისტეს, ხოლო როცა სუვორინი მოკვდა, მერეჟკოვსკიმაც მიცვალებულის გინებაში თავისი წვლილი შეიტანა; ამ გარემოებამ გამოიწვია ის, რომ „ნოვოე ვრემიამ" გამოაქვეყნა მერეჟკოვსკის ბილწი წერილი, ხოლო ვიქტორ ბურენინმა ოთხსტრიქონიანი ლექსი დაბეჭდა:

«На все спокойно мы глядим,
Однако, подивимся чуду;
А—Мережковский Никодим
Преобратился в друг в Иуду!» *)

იმავე მერეჟკოვსკიმ 1915 თუ 1916 წელს „რუსკოე სლოვო"-ში სტატია დაბეჭდა „არა წმინდა რუსეთი" და ბოლოში წამოიყრანტალა: „ჩვენ ტოლსტოის მხარეზე კი არა, გორკის მხარეზე ვართო". ეს რევოლიუციის შიშით მოუვიდა, საზოგადოთ ის მეტათ მშიშარა კაცია. ეს „ჩვენ" ალბათ მერეჟკოვსკების პარტიაა, პატარა პარტია, ხუთი, ექვსი კაცისაგან შემდგარი:

ერთი მათგანია **ზინაიდა გიპპიუსი**, ქრისტიანი ქალი, შესამჩნევათ ნიჭიერი და აგრეთვე შესამჩნევათ ბოროტი ადამიანი. 1901 წელს იგი პეტერბურგის საკრედიტო საზოგადოების საკონცერტო დარბაზის ესტრადაზე გამოვიდა, თეთრი ტანისამოსი ეცვა, მხრებზე ფრთები ჰქონდა და საზოგადოებას გამოუცხადა:

«Я хочу того, чего нет на свете,
Чего нет на свете» **).

ოცი წლის შემდეგ მას მოუნდა ბოლშევიკების ჩამოღრჩობა „დუმილში" ე. ი. იგივე, რაც უნდათ ჩვენი დედამიწის ყველა არამზადებს. და ეს დასწერა კიდეც:

„Повесим их в молчании" ***).

რა უცნაურათ იცვლება ადამიანის გემოვნება!

მესამე პირი ამ პარტიაში **დ. ფილოსოფოვი**, ისიც ქრისტიანი, შვილი ერთი უშესანიშნავესი რუსი ქალისა, ბორის სავინკოვის მეგობარი და პ. ლ. ვოიკოვის მკვლელის, კოვერდის მედგარი დამცველი. მეოთხე—**ანტონ კარტაშოვი**, ქრისტიანი, ღვთისმეტყველების პროფესორი. შარშან პარიზელი ემიგრანტების ერთ კრებაზე იგი ისტერიულად გაჰკიოდა და საზოგადოებას მოუწოდებდა ბოლშევიკების ხოცვისა, შემუსვრისა, განადგურებისაკენ. შარშანვე, „პოსლედნიე ნოვოსტი"-ს ცნობით ჩეხო სლოვაკიის მთავრობამ გამოაცხადა ჯალათი მჭირდებაო. ამ საპატიო თანამდებობაზე 17 კანდიდატი გამოცხადებულა, მათ შორის ერთი ღვთისმეტყველების პროფესორიც ყოფილა. არ ვიცი კარტაშოვი იყო ეს კანდიდატი თუ არა, მაგრამ შესაძლებლათ ვსთვლი რომ სწორეთ იგი იყო.

ჯალათობის ღირსეულ კანდიდატათ მე ვსთვლი აგრეთვე ქრისტიან ზ. მელგუნოვს, ცივთვალებიან ადამიანს და სიცრუით აღსავსე წიგნის „წითელი ტერორის" ავტორს. ამ წიგნის წინასიტყვაობაში იგი თვითონ აცხადებს, რომ „არ შემიძლია პასუხისმგებლობა ვიკისრო ჩემ მიერ აღნუსხულ თვითეულ ფაქტისთვისო". მაგრამ ეს ფაქტები მაინც აღსწერა. მან იცის რომ თეთრი ტერორი ყოველთვის უფრო საშინელი იყო, ვიდრე „წითელი", მაგრამ ჰკიცხავს არა თეთრს, არამედ წითელ ტერორს. იცის რომ „რესტავრაციას ყოველთვის მეტი მსხვერპლი მოჰქონდა, ვიდრე რევოლიუციას", მაგრამ მაინც რესტავრაცია სწყურია. არა მართლაც რომ უცნაური გემოვნება აქვთ ამ ქრისტიანებს, ემიგრაციის სულიერ წინამძღოლებს!

მათ გვერდით უნდა დავუყენოთ სახელოვანი შავრაზმელი **მარკოვი**; ეს მუხისთავიანი და საოცრათ უმეცარი ადამიანიც ქრისტიანი უნდა იყოს, მგონია. თუ არ ვსცდები იგი შვილია თუ ძმისწული ევგენი მარკოვისა, რომელმაც დასწერა რომანები „შავნიადაგიანი მინდვრები" და „კურსკის მომიჯნეები" და აგრეთვე კარგი ავტობიოგრაფიული წიგნაკი „ბარჩუკები". მარკოვი მეორე, როგორც სჩანს, რუსეთის ქვეყანას მოვლინებია როგორც უცილობელი დამამტკიცებელი საბუთი მემამულე თავად-აზნაურობის გონებრივი გადაგვარებისა.

ასეთი ჯიშიანი მხეცების წარმომადგენლები ემიგრაციაში საკმაოთ მოიპოვებიან და მათში ადვილათ ვერ გამოარჩევთ ცნობილ პეტრე **სტრუვეს**, „ყოფილ" ადამიანს, რომელსაც ერთ დროს ყოველი ჩვენი აღორძინების—„იოანე ნათლისმცემელს" უწოდებდნენ. იგი იყო რუსეთის მრეწველობის განვითარების ცრუბადური. ამ ცოტა ხნის წინათ ამ მრეწველობის ერთმა მოღვაწემ—გუკასოვმა, როგორც ბატონს შეეფერება ისე ტლანქათ გააგდო იგი თავისი გაზეთიდან, თუმცა სტრუვე პატრონს პატიოსნათ და ერთგულათ ემსახურებოდა. სტრუვეს მოჰყვება პ. ნ. მილიუკოვი. პროფესორი, კულტურის ისტორიკოსი, ერთი ორგანიზატორთაგანი „შინაური განათლების ხელმძღვანელი კომისიისა", ყოფილი დაუღალავი „განმანათლებელი რუსის საზოგადოებისა", „კონსტიტუციონალისტი-დემოკრატი", შემდეგ მინისტრი და, საერთოდ, დიდათ ცოდვილი ადამიანი. ეხლა მან „რესპუბლიკანურ-დემოკრატიული გაერთიანება" შეადგინა და თავისი გაზეთის 2302 ნომერში, 1927 წლის ივლისის 12 თარიღით სწერს:

„**საჭირო არ არის**, რომ დემოსს ჰქონდეს ის ცოდნა, რომელიც აუცილებელია კანონმდებლობის რთული კითხვების თავის გასართმევათ, არც ის არის საჭირო, რომ ის მართველობის ტეხნიკას იცნობდეს". „საჭირო არ არის" დაბეჭდილია ხაზგასმით, ცხადია „გაერთიანებული" არამზადების დასაშოშმინებლათ. და ალბათ იმავე ხალხის გულის მოსაგებათ იგი თავის გაზეთში მრავალ მოთხრობას ბეჭდავს სენსაციური მკვლელობების შესახებ, აგრეთვე მდაბიო გემოვნების ჯაშუშურ რომანებსაც ათავსებს, მათ, რასაკვირველია, ადგილი არ ექნებოდა „რეჩში". ასე დაასრულა თავისი კარიერა ამ „განმანათლებელმა".

შემდეგ მოდის **ა. ფ. კერენსკი**, „ალექსანდრე მეოთხე", უკანასკნელათ ამ ადამიანს „საზამთრო სასახლეში" შევხვდი. მგონია ალექსანდრე მეორის ოთახში. მახსოვს ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა თითქო ყმაწვილი კაცი კეკლუცი მეძავი ქალის ბინაში შესულიყოს; ყმაწვილმა ესაა თავისი უმანკოება დაჰკარგა, მაგრამ ისე ექცევა, თითქო გამოცდილი და დარდიმანდი არშიყი ყოფილიყოს. დღეს ერთფეროვანი ისტერიული სტილით მოწინავე წერილებს სწერს, სწყევლის ადამიანებს, რომელთაც მას ნება არ მისცეს არჩეულ ადგილზე მჯდარიყო. არ ვიცი ახლაც ეხმარება მას თუ არა, ყოველ შემთხვევაში წინათ ამ საქმეში დახმარებას უწევდა **ვიქტორ ჩერნოვი**, უწმოთ შეკოწიწებული ციტატებიდან გაკეთებული ადამიანი. იგიც შეურაცყოფილია, არც იმას მისცეს თბილ ადგილზე მოკალათების ნება. მის ცხოვრებაში იყო ორი მეტის მეტად მოხერხებული მომენტი, როცა პოლიტიკიდან უკან დასახევი გზა ეხსნებოდა, როცა შეეძლო შესაფერი საქმისათვის მოეკიდა ხელი, მაგალითად იაფფასიანი ქუდების სავაჭრო გაეხსნა. პირველი მომენტი იყო მისი მეგობრის, პროვოკატორი აზეფის გამომჟღავნება; მეორე—მისი გაძევება დამფუძნებელი კრებიდან. მაგრამ არ ვიცი რატომ ორივე მომენტი ხელიდან გაუშვა და დღესაც ვიღაცას პოლიტიკურათ ხელმძღვანელობს, დღესაც ვითომდა ბელადია.

შემდეგ უნდა დავასახელოთ დალინები, ტოლინები, დანები და ოციოდე ყოფილი ადამიანი, ყოფილი სოციალისტი, რომელთაც ერთ დროს ვ. ი. ლენინი ულმობელათ ყურებს უწევდა. ეს ზემოჩამოთვლილი პირები საშინლათ მოსწყინდნენ ერთმანეთს, ყველანი სულიერათ გაღატაკდნენ, ყველანი წვრილმანი ბოროტებით არიან გამოხრულნი. წლიდან წლამდე, დღითი დღე ისინი ვარჯიშობენ ბოლშევიკების გინებასა და გაკიცხვაში, მაგრამ ამას ბევრათ უფრო ნაკლებ ნიჭიერათ და მარჯვეთ შვრებიან, ვიდრე ერთს დროს თვითმპყრობელობას, ბიუროკრატიზმს და რუსეთის ცხოვრების ბნელ მხარეებს აკრიტიკებდნენ.

ყველას ცხადათ და ფარულათ მხოლოდ ერთი სურვილი აერთებს: დაე, ბოლშევიკები მოისპონ, დაე რუსის მშრომელმა ხალხმა თაყვანი სცეს მათ, ვინც ამ ხალხისათვის „იტანჯება", თაყვანი სცეს და სთხოვოს:

„როდით ჩვენდა საპატრონოთ და დასაუფლებლათ!"

ამაო ლოდინია—რუსის ხალხი მუხლს არ მოიდრეკს, არც თხოვნას მიართმევს.

მე ეს ადამიანები ჩამოვსთვალე, რათა მკითხველს წარმოედგინა როგორ ატმოსფერაში სცხოვრობს და როგორი ადამიანებისაგან ღებულობს აღზრდას ემიგრანტობის ახალგაზრდობა.

უნდა აღვნიშნოთ, რომ „კეთილ წესიერების" მზრუნველათ და დამცველათ ემიგრანტების ლიტერატურაში მსახურობს კრიტიკოსი-ესთეტი იური **აიხენვალდი**, რომელიც გაზეთ „რულ"-ში თანამშრომლობს, ამ ყველაზე გაბოროტებულ და ყველაზე უცერემონიოთ მატყუარა „ფაშისტური" მიდრეკილების გაზეთში. აიხენვალდი გულს უმაგრებს ძველ ლიტერატორებს ე. ი. თაღლითურათ არწმუნებს მათ, რომ ჯერ კიდევ სიმწიფისა და აყვავების ხანაში ხართო. ამისთვის ხმარობს ბადაგ ნარევ ენაწყლიანობას, მაგრამ მისი ნაწერი წააგავს ზედმიწევნით სწორათ შესრულებულ, მაგრამ უსულო თარგმანს უცხო ენიდან. მართალია ამ მონოტონურ უფერულ მიმდინარეობაში ორიოდე გინებას ჩაურთავს ხოლმე „ბოლშევიკების" მიმართ, მაგრამ ეს როდი აცხოველებს მკვდარ სიტყვებს. იგი ქებას უძღვნის ლიტერატორებს ისეთი უბრალო ნიმუშებისათვის, როგორიცაა მაგალითათ „რეომიურის ტერმომეტრი, რომელიც ღიმილით მიიწევს ზემოთ" და სხ.; დიდს ყურადღებას აქცევს ლიტერატორის მიმართულებას. ამ ცოტა ხნის წინათ მ. ა. ოსორგინის რომანში „სივცევ ვრაჟეკი" ასეთი ჭკვიანი და სწორი სიტყვები ამოიკითხა:

„უნიჭო იქნებოდა ხალხი, რომელიც საუკუნოებრივი საკამათო საკითხის გადაჭრის დროს არ შეეცდებოდა სრულიად შემუსრა ძველი, შემზარავი კერპები, სრულიად გარდაექმნა ყოფა-ცხოვრება, იდეოლოგიები, ეკონომიური ურთიერთობანი და მთელი სოციალური წესწყობილება. მე შემეზიზღებოდა ეს ხალხი, თუ მას ის არ გაეკეთებია, რაც გააკეთა, თუ იგი შუა გზაზე გაჩერებულიყო და მსწავლული მოლაყბეებისთვის ნება მიეცა რუსეთი გაეკრიჭათ ინგლისური მაკრატლითა და სავარცხლათ; შემოეღოთ პარლამენტი, ზრდილობიანი პოლიცია, დავარცხნილი სიცრუე".

კრიტიკოსმა—ესთეტმა მაშინვე გააფრთხილა ავტორი, რომ „აქ სივცევ ვრაჟეკი მრავალი მკითხველისათვის გარდაუვალ ხრამს შეიცავს". „შეიძლება ეს ხრამი ისე გარდაუვალი არ იყოს იმ ადგილას, სადაც ავტორი წონასწორობისაკენ მიისწრაფვის და მას არ სურს დაინახოს განსხვავება მეფის დროის სალდათებისათვის მოგონილ დევიზსა და წითელ არმიელებისათვის მოგონილ დევიზს შორის; ეს ძველი სიტყვები: „სარწმუნოებისა, მეფისა და სამშობლოსათვის" ისევე გაუგებარია და ზედმეტი, როგორც ახალი სიტყვები: „სოციალიზმისა და საბჭოთა ხელისუფლებისათვის"!. აიხენვალდიც ჰუმანისტია, ისიც ქრისტიანია, მაგრამ ადამიანობის მოძულე. გაზეთში თანამშრომლობს და პროტესტს არ აცხადებს, როცა იქ არამზადები თანაგრძნობას უცხადებენ პ. ლ. ვოიკოვის მკვლელის დედას და „მუხლს იდრეკენ მისი შვილის უმწიკვლო სინდისისა და კეთილშობილების წინაშე".

ასეთი მყრალი სუნი ასდის ამ ლაზარეებს, რომელთაც ქრისტე მკვდრეთით ვეღარ აღადგენს, თუმცა მათ სწამთ მისი ძალა მიცვალებულთა მკვდრეთით აღდგენისა.

⁂

ექვსი წელიწადია ემიგრანტების პრესას ვკითხულობ. თავდაპირველათ ვკითხულობდი და გულუბრყვილო გაკვირვებით ვფიქრობდი:

ნუ თუ ეს გაველურებული პუბლიცისტები იგივე რუსის ინტელიგენტებია, რომელნიც თვითონაც სწავლობდნენ და „უმცროს ძმასაც" ასწავლიდნენ „ღვთაებრივ სიძულვილს" იმ ცხოვრებისა, რომელიც თავიდან ბოლომდე ფარისევლობით, გაბოროტებით სიცრუით არის მოწამლული? ნუ თუ ესენი ერთს დროს აღტაცებულნი იყვნენ ისეთი ტყუილის განმანადგურებლების მუშაობით, როგორიცაა პირქუში სვიფტი, შეუბრალებელი დამცინავი ვოლტერი, ბუმბერაზივით დიდი ტოლსტოი? ნუ თუ ესენი ასწავლიდნენ თავიანთ ბავშვებს ლამანჩელი რაინდის საუცხოვოთ გამოკვეთილი ფიგურის სიყვარულს.

მათი სიჭაბუკის დროის გმირები იყვნენ სპარტაკი, ფრა დოლჩინო, უოტ ტეილორი, ტომას მიუნცერი, იან გუსი და ყველა ის ადამიანები, რომელნიც ცდილობდნენ თავიანთი სისხლით და ოფლით შეექმნათ თავისუფლება; მართალია ამ თავისუფლებას არასოდეს არ უცხოვრია დედამიწის ზურგზე, მაგრამ იგი სრულიად აუცილებელია ადამიანებისთვის.

მათი ახალგაზრდობის დროის საყვარელი სიმღერები იყო ყაჩაღების სიმღერები. პროტესტის რომანტიული ლექსები, ბალლადები რაზინზე, ნეკრასოვის მრისხანე პოეზია; თითქო, მათი გულწრფელი რელიგია „სოციალიური რომანტიზმი" იყო.

დღეს ეს ხმები აღარ გაისმის, მათი სული დამუნჯებულია. როგორც ეტყობა, მატერიალისტი „ბოლშევიკები" მართალნი ყოფილან, როცა ამბობენ, რომ ულმობელ სინამდვილესთან შეტაკების დროს იდეოლოგია ადვილათ უთმობს ადგილს უბრალოეს კლასობრივ ზოოფსიხოლოგიასო.

არსად ცხოვრების პირობებს ისეთ მკაცრ და ყოველმხრივ კრიტიკას არ უკეთებდნენ, როგორც რუსის ინტელიგენციის წრეში. არსად ამდენი შესხმა არ მიუძღვნიათ ცხოვრების წმინდა და ცოდვილი განმანადგურებლებისათვის, ქრისტესა, ბაირონისა და ყველა იმათთვის, ვისაც „მახვილი მოჰქონდა და არა მშვიდობა". რუსეთის ინტელიგენცია თავის თავს „ევროპის მოწინავე ინტელიგენციათ" სთვლიდა, ამ სახელს უწოდებდა კიდეც, მისი სულიერი განწყობილება მაქსიმალურათ რევოლიუციონური იყო.

ძნელი გასაგებია სად და რისთვის დაიხარჯა ასე ჩქარა მთელი ეს ძალღონე: დიდის გულმოდგინებით შეგროვილი ცოდნა ხალხის ტანჯვისა, მისი ცდისა რომ ტირანი დაამხოს, მარაგი იმ ცხოვრების სიძულვილისა, რომელიც ამახინჯებს ყოველ ადამიანს, სამართლიანობის წყურვილი და „ხალხის სიყვარული", რომელსაც ინტელიგენტები ერთმანეთს უმჟღავნებდნენ ზეპირათ და ბეჭდვითი სიტყვით, ხმამაღლა, საჯაროთ და დაურცხვენლათ.

მე არასოდეს „სიყვარული არ გამომიცხადებია" ხალხისთვის. მაგრამ ახალგაზრდობაში მწამდა გულწრფელათ, რომ მოიპოვებიან ადამიანები, რომელთაც მართლაც „უყვართ ხალხი", რომელთაც რაღაც ჩემთვის უცხო ზებუნებრივი გრძნობა აქვთ მეთქი. როდისმე გიამბობთ როგორ აღმოიფხვრა ჩემში ეს რწმენა „რევოლიუციურმა" ინტელიგენციამ. 1917 წელს მე მაინც ძალიან შევწუხდი და გული მეტკინა, როცა გაცოფებული ხალხი ნაცრისფერ ზვავათ დაიძრა ფრონტიდან სოფლისაკენ და ქვეყანაში მისი ფართო, აღშფოთებული ნიღაბი აღიმართა; მაშინვე ამ ნიღაბმა თავისი რეალიზმითა და ანარქიზმით შეაშფოთა ინტელიგენციის „სიყვარული", მისი სვლის იადონი და გაფრინდა ეს იადონი დავიწყების ბოჭქებისკენ, ხოლო მის ადგილზე მეშჩანური კეთილგონიერების ყორანი დაჯდა.

და ანაზდეულათ მთელი ძალა ცხოვრებისადმი კრიტიკული დამოკიდებულებისა, მთელი ძალა ულმობელი, ნამდვილი და აქტიური რევოლიუციონერობისა „ბოლშევიკების" ხელში აღმოჩნდა.

მე როდი დამავიწყდა ჩემი იმ დროინდელი პოზიცია. მახსოვს როცა ვ. ა. ბაზაროვი, ყოფილი ბოლშევიკი, პრესაში თავის ამხანაგებს „აწბილებდა", მე მაინც და მაინც არ მწყინდა, თუმცა მათ შორის ბევრია ისეთი ადამიანი, რომელიც გულწრფელათ მიყვარს და პატივსაცემათ მიმაჩნია. მე დარწმუნებული ვიყავი, რომ „ხალხი" ბოლშევიკებსაც წალეკავს მთელ დანარჩენ სოციალისტურ ინტელიგენციასთან და რაც უმთავრესია ორგანიზაციულად დარაზმულ მუშებთან ერთად მეთქი. მაშინ დაიღუპებოდა ერთად ერთი ძალა, რომელსაც შეეძლო ქვეყანა ანარქიისაგან ეხსნა და რუსეთის გაევროპიელება მოეხდინა. თუ ეს არ მოხდა, ამას ვლადიმირ ლენინის და მისი ამხანაგების არაადამიანურ ენერგიას უნდა ვუმადლოდეთ.

მაგრამ მოხდა ის, რომ თითქმის მთელმა „რევოლიუციურმა" ინტელიგენციამ უარი სთქვა რევოლიუციის საქმეში მონაწილეობის მიღებაზე და თვით კულტურულ მუშაობაზე, რომელიც ქარიშხლიან დღეებში კიდევ უფრო საჭიროა, ვიდრე „მშვიდობიან დროს", თუ ასეთი დრო საზოგადოთ არსებობს დედამიწაზე. ხოლო რამდენადაც კულტურული მუშაობა გრძელდებოდა, იგი (მე ეს კარგათ ვიცი) თითქმის ყოველთვის მტრულათ იყო მიმართული იმ ადამიანების მიმართ, რომელთაც ხელისუფლება დაიპყრეს. ხშირათ ვფიქრობდი, რომ ეს იყო ჩვეულების, ტრადიციის ძალით გამოწვეული მტრობა, მიტომ რომ ადამიანებს ეჩვენებათ მხოლოდ „სიტყვიერი" შუღლი, ხოლო ამის მეტი ვერაფერი ისწავლიათ.

რასაკვირველია ვიცი, ცოტა არაა ისეთი ინტელიგენტების რიცხვი, რომელნიც თავიანთ ადგილებზე დარჩნენ, პატიოსნათ და ჯიუტათ განაგრძობდნენ თავიანთ მუშაობას, იტანდნენ შიმშილს, სიცივეს, მტრულ იჭვნეულობას და უაზრო დაცინვას თითო-ოროლა ბიუროკრატ-დერჟიმორდის მხრით, რომელიც ახალ რეჟიმსაც მოეპოვება ან კიდევ „უმცროსი ძმის" მხრით, რომელშიც მტრული განწყობილება ინტელიგენციისადმი აღზარდა არა მარტო მახაისკიმ, არამედ უფრო დიდმა ადამიანებმაც, ხოლო უწინარეს ყოვლისა თვით ინტელიგენციამ თავისი უაზრო საბოტაჟით, თავისი ბრძოლით ახალი, საბჭოთა რეჟიმის წინააღმდეგ.

რუსეთში დარჩენილი ინტელიგენტები იქ დღემდე განაგრძობენ თავიანთ გმირულ მუშაობას. ისინი არ არიან იმ წერილების ავტორები, რომელიც ვითომდა „რუსეთიდან", „მოსკოვიდან", „პროვინციიდან" იბეჭდება ემიგრანტების გაზეთებში და რომელსაც ასე უნიჭოთ სთხზავენ რუსეთის საზღვრებს გარეშე. პირადათ ვიცი რომ ზოგიერთ შემთხვევაში სიტყვა „მოსკოვიდან" უნდა იკითხებოდეს „ბერლინის მიდამოებიდან". ამ ცოტა ხნის წინათ ერთს ასეთ ჭეშმარიტათ თავგანწირულს ადამიანს, უპატიოსნესა და უმართლესს ს. ფ. ოლდენბურგს ერთმა ემიგრანტულმა გაზეთმა „საბჭოთა ხელისუფლების დამქაში" უწოდა, თუმცა მან მშვენიერათ იცის, რომ ერთადერთი ხელისუფლება, რომელსაც ეს ადამიანი მთელს თავის სიცოცხლეში ემსახურებოდა და ახლაც ემსახურება არის ხელისუფლება იდეალებისა, ჭეშმარიტებისა და მშვენიერებისა.

მ. გორკი.

(დასასრული იქნება)

---

*) მ. გორკის ეს წერილი წარმოადგენს გორბოვის წიგნაკის ბოლოსიტყვაობას; ამ წიგნაკს ბეჭდავს რუსეთის სახელგამი.

*) „ყველაფერს გულდამშვიდებული ვუცქერით, მაგრამ ერთი სასწაული გვაოცებს; ეს ნიკოდიმე მერეჟკოვსკი როგორ გადაიქცა უცებ იუდათ".

**) „მე მინდა რაღაც, რაც არ არის ამ ქვეყანაზე".

***) ჩამოვახრჩოთ ისინი უსიტყვოთ.

ქუთაისი აღდგენილ უნდა იქნეს

აღვადგინოთ საერთო ძალით ქუთაისი

ქუთაისის ხანძარი მისი გამანადგურებელი შედეგებით საგულისხმო და ყველასათვის დამაფიქრებელია. მუშურ გლეხურმა ხელისუფლებამ ამ სოციალისტური აღმშენებლობის ხანაში, ერთ-ერთ თავის დიდ ამოცანად უნდა დასახოს ქალაქებში წყალსადენის საკითხის მოგვარება, ხანძართან მებრძოლი რაზმების მოწყობა. ხელისუფლებამ უნდა მიიღოს ზომები, რომ ახალი საცხოვრებელი და საწარმოო შენობების აგების გეგმებში გათვალისწინებული იქნეს (რასაკვირველია, რამდენადაც ეს მოსახერხებელია). სტიქიურ უბედურების (ხანძარი, მიწისძვრა) გამძლე პირობები და სხვ.

ქუთაისში მომხდარ სტიქიამ დღეს ჩვენ გადაუდებელი კითხვა დაგვისვა. ქუთაისის აღდგენა. როგორც ერთი კაცი, ყველამ უნდა გამოვიღოთ ჩვენი წვლილი და დავეხმაროთ დამწვართ და განადგურებულთ.

მეტი ნაწილი ქუთაისში ხანძრით განადგურებულთა ღარიბესი ებრაელები არიან. მუშურ-გლეხურმა ხელისუფლებამ არ იცის ეროვნების გარჩევა. მან იცის მშრომელი და ღარიბი მასების ინტერესები და მათ ჭირ-ვარამზე ზრუნვა განურჩევლად ეროვნებისა.

მაშ ყველა დავეხმაროთ მთავრობას ამ საქმეშიც, აღვადგინოთ საერთო ძალით ქუთაისი.

ვ. სტურუა.

ხანძრის შედეგი

დამწვარია 354 შენობა

საქ. სტატ. ცენტრ. სამმართველომ მიიღო ქუთაისის სტატ. განყოფილებიდან სტატისტიკური მასალები ხანძრის შედეგების შესახებ. ცნობები შედგენილია 13 მაისისათვის. ამ ცნობების მიხედვით ხანძრისაგან დაზარალებულია 579 ოჯახი, 3.541 ოჯახის წევრით, რომელთა შორის 595 მუშა-ხელია. დაზარალებულთა შორის სახლმფლობელი არის 346 ოჯახი და მდგმური (მობინადრე) 233. ეროვნების მიხედვით 453—ებრაელთა ოჯახია, 113 ქართველთა ოჯახი და 13 დანარჩენი ეროვნების. პროფესიის მიხედვით დაზარალებულ-ოჯახთა რიცხვი ასე იყოფა: 141 მუშის ოჯახი, 57 ხელოსნების ოჯახი, 36 მოსამსახურეების ოჯახი, 226 ვაჭართა ოჯახი და 119 დანარჩენი.

დამწვარ-დანგრეულია 354 შენობა—1.466 ოთახით. დამწვარ შენობათა შორის 135 არის ქვის, 109 შერეული და 110 ხის შენობა. ცეცხლმა იმსხვერპლა და დაასახიჩრა 24 ადამიანი და 5 სული ოთხფეხა საქონელი.

ცეცხლით დამწვარი და დამტვრეული ინვენტარი

ტანისამოსის შკაფი და კომოდი—744 ცალი, დიდი მაგიდები—443, რკინის საწოლები—504; უბრალო საწოლები—732; ბუფეტის შკაფი—177; ქვეშ-საგები—4.229 ცალი; წვრილმანი დგამი—2.929; ხალიჩა—424; ტანისამოსი—137.141 მან. ღირებული; წვრილმანი ინვენტარი—128.502 მან.; ოქრო-ვერცხლი—60.425 მან. ღირებული; ფულადი—8.487 მანეთი. დუქნების ზარალი—41.440 მან.

ზარალის უფრო დეტალური გამოკვლევა გრძელდება.

დახმარება ქუთაისს

„კომუნისტი“-ს კანტორაში შემოვიდა

ქუთაისში ხანძრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ შემომაქვს ჩემი წვლილი ათი მანეთი ზედმეტათ მიმაჩნია ვისმეს გამოწვევა პერსონალურათ ვიწვევ ყველას: მუშას, გლეხს, ინტელიგენტს, გონებრივ მომუშავეს, მოწინავეებს—ახალ თაობას, გავიღოთ ჩვენი წვლილი, დავეხმაროთ ჩვენს მოძმეებს.

ვანო სტურუა.

—:—

ქუთაისში ხანძრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ შემომაქვს ხუთი მანეთი და ვიწვევ ძველ ბოლშევიკ ამხანაგებს.

გ. ჩოდრიშვილი.

—:—

ამხ. ლ. ლოდთმერიძის გამოწვევით შემომაქვს ათი (10) მან. ქუთაისში ხანძრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: იაკობ ფანცხავას, დავით კანდელაკს, ვარლამ მესხს, მარღანიას (აფხაზეთის ფინრწმუნებულს), ზაქარიაძეს (აჭარისტანის ფინრწმუნებულს) და ამხ. ბაგაევს (სამხრეთ-ოსეთის ფინრწმუნებულს).

გ. მგალობლიშვილი.

—:—

ამხ. სერგო პეტრიაშვილის გამოწვევით, შემომაქვს სამი (3) მანეთი და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: ლევან ჯავახიშვილს, დავით მელაშვილს, მაქსიმე თოდრიას, ვლადიმერ მახარაშვილს; გრიშა მიროტაძეს; შალვა გორდელაძეს, დიმიტრი ბაქრაძეს, ვასილ სხირტლაძეს, ილიკო შუანქრიშვილს.

ათანასე ჯიქია.

—:—

თანახმად პ. ტყაბლაძის გამოწვევისა ქუთაისში ხანძრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ შემომაქვს ხუთი მანეთი.

ივანე ცომაია.

შემომაქვს სამი მანეთი ხანძრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოთ და ვიწვევ: აგრ. ფაკულტეტის დეკანს ვასილ კანდელაკს, კოწია მოდებაძეს, დოც. კალანდაძეს, დოც. გედევანიშვილს, დოც. ჩოლოყაშვილს, ას. მაყაშვილს, ას. გ. რცხილაძეს, ას. შ. ვარდოსანიძეს; ას. ვ. ლვალაძეს; ას. ა. ცაგარელს და ამხანაგ სტუდენტებს.

სტ. ნინო ძაგნიძე.

—:—

ხანძრით დაზარალებულთა სასარგებლოდ შემომაქვს სამი მანეთი და ვიწვევ: კოლია ყუფარაძეს, ვანო დოლონაძეს, ისიდორე დოლონაძეს, გრიშა ბურჯანაძეს, ონისიმე ლანჩავას; სერაპიონ ჩიქვილაძეს; ვიქტორ კვირიკაძეს; იპოლიტე კვიმსაძეს; ვარლამ ლანჩავას; ერასტი ლანჩავას.

ბასარიონ დოლონაძე.

ამხ. ბუხაიძის გამოწვევით შემომაქვს ორი (2) მანეთი და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: ი. ჩაჩანიძეს; გ. ჭოხონელიძეს; ს. ვარსიმაშვილს; მამია სვანიძეს; ბადუ ლორთქიფანიძეს; აკაკი ლეკვეიშვილს; არჩილ ჩალათაშვილს; ალექსანდრე დარაშვილს; კ. კოკაძეს; გ. მახვილაძეს; ე. იოსელიანს; პ. კაჭარავას; სანდრო ვერულაშვილს.

აპოლონ მეძველია.

ამხანაგ ცოლა ტყაბლაძის გამოწვევის თანახმად შემომაქვს სამი მანეთი და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: რუსიკო აბდუშელიშვილს; ლეილა ბარამიძეს; ირა გიაშვილს; სოფო სამარაღინეცკის; რამაზ ცაგარეიშვილს; სანდრიკო ყორღანიას; ვოვა მშვენიერიძეს და დოდოშკა ბალანჩივაძეს (ქიათურიდან).

თინა დევიძე.

შემომაქვს დაზარალებულთა დასახმარებლად 2 მანეთი და ვიწვევ თბილისის მუშათა თეატრის შემდეგ მუშაკებს: დოდო ანთაძეს, გრიშა სულიაშვილს, შოთა სხაბაძეს, ალექსანდრე გველესიანს, გრიშა მიქელაძეს, შალვა ჯაფარიძეს (თეატრის გამგე), ვანო გოცირიძეს (თეატრის ადმინისტრატორი), კაპი აბესაძეს, შალვა ჩხეიძეს, მიხეილ ხუნთუშვილს,

ჭიჭიკო გელეიშვილი.

შემომაქვს ორი მანეთი და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: აპოლონ დადიანს, ნიკოლოზ ქაშაკაშვილს, ილია ჩიხელიძეს, ანდრო ლეჟავას, შალვა ბარბაქაძეს, ვლადიმერ ბანცაძეს, ელეფთერ წახიძეს, კალენიკე დეკანოიძეს, ილია თაბაგარს, ალექსანდრე გარეჩილაძეს.

მიშა სახარაძე.

არჩილ ბაქრაძის გამოძახებით შემომაქვს ერთი მანეთი და ვიწვევ შემდეგ ბავშვებს: თენგიზ და თეიმურაზ ლოლობერიძეებს, თამრი და თათარ ბრეგვაძეებს, ეთერი ჩიგოგიძეს, ირაკლი მაჭავარიანს, კოტიკო წერეთელს, თამაზ თევზაძეს, ავთანდილ რობაქიძეს, თენგიზ შაცაშვილს, ეთერი მიქელაძეს და ტარიკო მაჭავარიანს.

გულნარა ხინაურიძე.

ქუთაისის ხანძრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ შემომაქვს 1 მანეთი და ვიწვევ: თენგიზ ნიკოლაიშვილს, ბიძინა ქიქოძეს, ბიჭიკო პაიჭაძეს, ლუსიკო ჯანელიძეს, ჟულიეტა რუხაძეს, შალიკო ფილიშვილს, ლიოვა შალიკოს ძე ანდღულაძეს, თამრიკა ცინცაძეს, შოთა გუგუშვილს, ბოჩიკო ბოშელაშვილს, ჟორა მაღლაკელიძეს.

ხამი წლის ოთარ ნიკოლაიშვილი.

თანახმად არჩილ ბაქრაძის გამოძახებისა, შემომაქვს ერთი მანეთი. და ვიწვევ შემდეგ ბავშვებს: როზა ახობაძეს, გოგი თხილავას, შოთა თხილავას, მერი თხილავას, დეკენერიო ხტუროას, სერგო გვაზიმაძეს, ბელა ხიხარულიძეს, ალიკო მაჭავარიანს.

შოთა დომენტის ძე თხილავა

საქართველოს სახელგამის სამმართველოს თანამშრომლებმა ქუთაისის ხანძრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ საერთო კრების დადგენილებით გადასდეს ერთი დღის ხელფასი—142 მან. 32 კაპ. და იწვევენ სახელგამის სტამბა-სახელოსნოს მუშებს, სახელგამის საწყობის და მაღაზიების თანამშრომელთ, როგორც თბილისში, ისე პროვინციაში. ვიწვევთ აგრეთვე გამომცემლობას „შრომა“-ს, „ზაკკნიგა“-ს და რუსეთის სახელმწიფო გამომცემლობის თანამშრომელთ.

სახელგამის სამმართველოს ადგილ. კომი.

—:—

ქუთაისში ხანძრისაგან დაზარალებულ ბავშვთა სასარგებლოდ შემომაქვს 3 მან. და ვიწვევ ჩემს მეგობარ და ამხანაგ ბავშვებს: გიზო დოლიძეს; ხუტუ პატარაიას; გიზო თალაკვაძეს; თეიმურაზ ღიბრაძეს; ბედია გარეჩილაძეს; ვასა ბეთაშვილს; ბუსნა და ლილი გარეჩილაძეებს (ზესტაფონი) და კაკუსი კაპანაძეს (ზესტაფონი).

3 წლის ციალა შალვას ას. თალაკვაძე.

განათლების მუშაკთა კავშირის მე-51-ტე ადგილკომში შემავალი: თბ. ალმ. გან. განყოფ. პირველი პროფ. სკოლის 13 თანამშრომელი ვიღებთ (ერთდროულად) ერთი დღის ხელფასს 39 მანეთის რაოდენობით ქუთაისში ხანძრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ და ამავე მიზნით ვიწვევთ ქალაქ თბილისის, თელავის, ხაშის და მცხეთის პროფ. სკოლებს.

სკოლის გამგე ეფ. ფარცხალაძე.

—:—

ქუთაისში ხანძრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ შემომაქვს 2 მანეთი და ვიწვევ: მიშა ყენიას; ბადუ ლორთქიფანიძეს; შაქარაშვილს; შაქარაშვილი კუკურას; ვალიკო ანდრიაძეს; აკაკი ფანცულაიას; ხარიტონ რუხრუას, ნუცა ჯორჯიკიას; ნინა ჩხენკელს, ვერო ფოფიას; გუგუ კიღაძეს; ლიდა დონდუას.

დავით შენგელია.

—:—

ხანძრისაგან დაზარალებულთა დამხმარე ფონდში შემომაქვს ათი მანეთი და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: ქუთაისიდან: ნ. კაკაბაძეს; ა. აფხაიძეს; ლ. სხირელს; კ. კალანდაძეს; ნამჩევაძეს; ს. პაპავას; ვარ. ხოფერიაძეს; მარ. კოსტავას; ჭუმბურიძეს; ს. ბახტაძეს; დია ჩიხელს; ნ. მისაბიშვილს; ივ. წულეისკირს; ნ. ნუცუბიძეს; ჟორჟიკა დევდარიანს; ფილ. შავგულიძეს; ევ. მიქელაძეს; გ. გრიშაშვილს; ევ. ლოსაბერიძეს; ვალ. ლორთქიფანიძეს და პარტსკოლის ყველა ლექტორებს. თბილისიდან: ხამ. მამულიას; ვარ. ჯაფარიძეს; გერ. მგალობლიშვილს; კ. მეგრელიძეს; ქ. იმედაძეს; კ. მახრაძეს; კ. ჩხარტიშვილს; გ. ლომთათიძეს, ს. გეგენავას და ლევან ღლენტს; ოზურგეთიდან: კ. გურგენიძეს; გ. მგალობლიშვილს, კ. ბარამიძეს; ვ. რიონიშვილს; დ. ნიკოლაიშვილს; ს. ორაგველიძეს; ფილ. მგალობლიშვილს; გ. ღლენტს; ილ. კალანდაძეს; პავ. ღლენტს; ნ. ქეიშვილს; ხარ. ქანქარაძეს; ერ. ჩიგოგიძეს; რ. რამიშვილს; ქ. კვანტრაძეს; პ. თალაკვაძეს; ა. კეკელიძეს; ს. ცინცაძეს; კ. ცინცაძეს; ა. ზაქარეიშვილს; ლეონტი და ილარიონ რამიშვილებს და ნ. კობაძეს.

სევერიანე მინდაძე.

—

ქუთაისის დაზარალებულთა ფონდში შემომაქვს ერთი მანეთი და ვიწვევ შემდეგ ბავშვებს: გოგონა მჟავანაძეს; ლეო ჩხეიძეს; ფუთური და ვახტანგ ქადეიშვილებს; ტუტუშა ბარამიძეს; გურამ ნიჟარაძეს; საბა ხახანტაროშვილს; კუკური პაჭკორიას; ოთიკო პაიჭაძეს; სულთანი დოჭვირს; თამარ და ლონია წითლიძეებს; ტოლია ნადარეიშვილს, მერიკო ნადარეიშვილს; გოგია ვანდოიას.

პატარა დოდოჩია ხიმონის ასული კლდიაშვილი

—:—

ქალ. ქუთაისში დაზარალებულთა სასარგებლოდ შემომაქვს 3 მანეთი და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: ჯონდო ფალავას; გრიგოლ გაბუნიას; მოსე ჯღარბენაძეს; გიორგი მსხილაძეს; ნიკოლოზ შანიძეს; კოლია თურქიძეს; კოლია მინაშვილს; ნიკანდრო გაბუნიას; გრიგოლ ჭოლოკავას; დათიკო თურქიას; სერგო კონიაშვილს; მიხეილ კონ. კაკაბაძეს; ვახტანგ ტურაშვილს; დათიკო მამაცაშვილს.

კაკო არს. ფირცხალავა.

ქუთაისში ხანძრისაგან დაზ არალ. დასახმარებლად გუშინ „კომუნისტი“-ს კანტორაში შემოვიდა 251—32 კაპ.. სულ წინათ შემოსულთან ერთად: 9.229—60.

გამოხმაურება

საქ. პროფსაბჭოს ცირკულიარი

საქ. პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა ქ. თბილისის ყველა საქართველო-საფაბრიკო და ადგილობრივ კომიტეტებს დაუგზავნა ცირკულიარი, რომლის თანახმად მათ ევალებათ მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებების დადგენილებები ქუთაისში ხანძრისაგან დაზარალებულთა დახმარების შესახებ, საერთო კრების ჩატარების მეორე დღესვე გადაუგზავნონ საქ. პროფკავშირთა საბჭოს საორგანიზაციო განყოფილებაში.

ნახევარი დღის ხელფასი

თბილისის საქონლის სადგურის მტვირთავ მუშების საერთო კრებამ 16 მაისს დაადგინა: ხანძრისაგან დაზარალებულ ქუთაისის მოსახლეობის დასახმარებლად გადასდოს ნახევარი დღის ხელფასი.

სახმედვაჭრობის მუშა-მოსამსახურეების გამოხმაურება

სახმედვაჭრობის მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებამ ერთხმად დაადგინა ქუთაისის ხანძრისაგან დაზარალებულთა დახმარების ფონდის გაძლიერებისათვის გადასდოს მუშა-მოსამსახურეთა ნახევარი დღის ხელფასი.

ერთი დღის ხელფასი

ქვემო-ავჭალის პროფკავშირების წევრთა გაერთიანებულმა კრებამ დაადგინა გადასდოს ერთი დღის ხელფასი ქუთაისის ხანძრისაგან გადამწვარ უბნის აღსადგენად და დაზარალებულთა დასახმარებლად.

ქუთაისის რკ. გზის ცხრაწლედის თანამშრომლების დახმარება

ქუთაისის რკინიგზის ცხრაწლედის თანამშრომლებმა ადგილობრივ სამაზრო აღმასკომში შეიტანეს 100 მანეთი ხანძრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ.

ტყიბულის შვიდწლედის თანამშრომელთა შორის

ტყიბულის შვიდწლედის მასწავლებლებმა ქუთაისში ხანძრისაგან დაზარალებულთა ფონდის გასაძლიერებლად გაიღეს ერთი დღის ხელფასი.

თვიური ხელფასის 2 პროცენტი

„სოფლის კავშირის“ მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებამ გუშინ დაადგინა ხანძრისაგან დაზარალებულ ქუთაისის მოსახლეობის დასახმარებლად გადასდოს ერთი თვის ხელფასის 2 პროცენტი.

მუშათა ცხოვრება

ხელფასის ახალი რეფორმა რკინის გზებზე

17 მაისს, პლეხანოვის სახ. კლუბში შესდგა სადგ. თბილისის მოძრაობის დარგის მუშა-მოსამსახურეთა და კონდუქტორთა გუნდის საერთო კრება. დღის წესრიგში იყო ერთი საკითხი: მოხსენება ხელფასის ახალ რეფორმის შედეგების შესახებ. მოხსენებით გამოვიდა ა.-კ. საგზაო კომიტეტის სატარიფო-ეკონომიურ განყოფილების გამგე ამხ. ნ. უსტიაშვილი.

მომხსენებლის სიტყვით რკინის გზებზე ხელფასის ახალი რეფორმის საკითხი პირველად, 1924 წ. წამოიჭრა. რეფორმის განხორციელებას დიდი დაბრკოლებები ელობებოდა წინ: პროფესიონალური აპარატი არ იყო საკმაოდ მომზადებული, ტრანსპორტის მეურნეობის ალორძინებას ხელს უშლიდა სხვადასხვა პირობები, თვით ამ საკითხის გადაჭრა ძლიერ რთული იყო და სხვ. მაგრამ მიმდინარე წელს ჩატარებულ ენერგიულ მუშაობით შესაძლებელი შეიქნა ამ საკითხის მოგვარება. ახალი რეფორმა უმთავრესად დაბალ მუშა-მოსამსახურეთა მდგომარეობას აუმჯობესებს. გარდა ამისა ახალ რეფორმას ის სარგებლობა მოაქვს, მუშა-მოსამსახურეთათვის, რომ უკანასკნელი მარტივია. უწინ დაწესებული იყო სულ 24 თანრიგი, რის გამო პროფორგანიზაციებს საშუალება არ ჰქონდათ კონტროლი გაეწიათ მუშებისათვის ხელფასის სისწორით და უნაკლოდ გამოწერაში. ამჟამად მუშათა ხელფასის ცხრილი შესდგება 12 თანრიგისაგან: მოსამსახ. 11 თანრიგ., ადმინისტრ.-ტექნიკურ პერსონალისათვის 14 და შეგირდებისათვის 6 თანრიგისაგან. უწინ ერთი და იგივე კვალიფიკაციის მუშები სხვადასხვაგვარ ჯამაგირს იღებდნენ. ახალ რეფორმამ ეს არანორმალური მდგომარეობაც აღმოფხვრა.

დასასრულ მომხსენებელი აღნიშნავს, თუ რომელი კვალიფიკაციური მუშა-ხელი რომელ თანრიგშია დატოვებული და რამდენს მიიღებს შრომის ხელფასს. მოხსენების ირგვლივ გაიმართა გაცხოველებული კამათი.

კამათში გამოსული ორატორები აღნიშნავდნენ ახალი რეფორმის ზოგიერთ ნაკლულევანებებს, რომელიც უნდა გამოსწორდეს. საერთოდ კი ყველანი იწონებენ ახალ რეფორმას და იმედს გამოსთქვამენ, რომ აღნიშნული რეფორმა საგრძნობლად გააუმჯობესებს მუშების მდგომარეობას.

ამხ. უსტიაშვილის საბოლოო სიტყვის შემდეგ, კრებამ მიიღო რეზოლიუცია, სადაც სწორად ცნობს საგზაო კომიტეტის მიერ აღებულ ხაზს ხელფასის რეფორმის საქმეში და მოითხოვს მითითებულ ნაკლულოვანებათა გამოსწორებას.

ი. ჯ.

ჩვენც შეგვიშვით კლუბში

წელიწადზე მეტია, რაც მამუკინის სოფელში, ამხ. შ. ელიავას სახელობის სამკითხველოსთან, დაარსდა ახალგაზრდათა ქართული დრამატიული წრე. წრეში შედიან ადგილობრივი ახალგაზრდა მუშები და მუშის შვილები, რომლებიც მოწადინებული არიან აწარმოონ კულტურული მუშაობა მშრომელ მოსახლეობის შორის, მაგრამ კლუბის უქონლობის გამო დრამწრის მუშაობა ფერხდება. ეს კი უკარგავს ხალისს ახალგაზრდობას და ხელს უშლის ისედაც კულტურულად ჩამორჩენილ კუთხის მცხოვრებთა გათვითცნობიერებას.

ნავთლუღში, მამუკინის სოფელში, სამხედრო ნივთების საწყობთან არის კლუბი, მაგრამ, მიუხედავად ამისა, რომ კლუბი ხშირად დიდი ხნით თავისუფალია, მცხოვრებთა ახალგაზრდა დრამატიულ წრეს, არ აძლევენ უფლებას ისარგებლონ კლუბით და აწარმოონ კულტმუშაობა მცხოვრებლებში. კლუბის გამგეობა დაინტერესებული უნდა იყოს მოსახლეობის კულტურულ მუშაობაში ჩაბმით, მაგრამ სამხედრო საწყობის კლუბის გამგეობა პირიქით იქცევა.

კლუბის გამგეობამ, მოგვცეს საშუალება ვაწარმოოთ კულტურული მუშაობა ჩამორჩენილ მოსახლეობის შორის.

ვ. ლიახველი.

რად მოხდა ასე

(მთავარი ტელეგრაფი)

ფ.-ტ. კომისარიატს და ა.-კ. ფ. ტ. პროფკავშირის შორის, მიმდინარე წლის პირველ თებერვალს დაიდო ახალი სატარიფო შეთანხმება. ამ შეთანხმებით ფ.-ტ. უწყებაში გატარდა ხელფასის ოთხი პროცენტით მომატება და შეიცვალა ზოგიერთი მომუშავეების თანრიგები. მას შემდეგ უკვე ოთხმა თვემ განვლო და ხელშეკრულება მაინც არ ტარდება ცხოვრებაში.

ადმინისტრაციამ ეს შეთანხმება ნაწილობრივ გაატარა ცხოვრებაში, მაგრამ არა ისე, როგორც შეთანხმებაშია აღნიშნული, არამედ თავისებურად. სატარიფო შეთანხმების თანახმად აპარატ „კლოპფერზე“ ყველა მომუშავე პირველ თებერვლიდან უნდა გადაეყვანათ მე-9 და მე-10 თანრიგებში. მაგრამ ეს ასე არ მოხდა. ტელეგრაფის ადმინისტრაციამ მხოლოდ ნაწილი გადაიყვანა მეცხრე თანრიგში და დანარჩენები დატოვა კვლავ ძველ თანრიგზე. რაშია საქმე? რად განასხვავა ადმინისტრაციამ ასე. თუ მომუშავე კლოპფერისტად ითვლება, თანახმად შეთანხმებისა უნდა მიეცეს პირველი ხელის მომუშავეს მე-10 და მეორე ხელისას მე-9 თანრიგი. მესამე თანრიგი არ არსებობს. ადმინისტრაცია კი რატომღაც თავისებურად მიუდგა საქმეს და ხელშეკრულება გაატარა ისე, როგორც მას მოეპრიანებოდა.

ადმინისტრაციის ასეთი თვითმოქმედება და მის მიერ ხელშეკრულების ასე დამახინჯება, სხვა არაფერია თუ არა ბიუროკრატიზმი. კავშირმა უნდა გამოარკვიოს ეს საქმე და მიიღოს ზომები დადებულ ხელშეკრულების უცვლელად გასატარებლად.

გრ. ამირელი.

—:—

ვის აძლევენ უპირატესობას

(კასპის ცემენტის ქარხანა)

კასპის ცემენტის ქარხნის ადგილკომი არ უწევს ანგარიშს პროფკავშირის წევრებს და სამუშაოზე მიღების დროს არ აძლევს მათ უპირატესობას: ამას წინად ქვემო-ქართლის საბჭოთა მუშაკთა კავშირის ადგილკომმა, კასპის ცემენტის ქარხანაში გაგზავნა კავშირის უმუშევარი წევრი, მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ ქარხანას ესაჭიროებოდა მომუშავე, ადგილკომმა მაინც არ დაუშვა სამუშაოზე კავშირის წევრი და ასეთი პასუხით გაისტუმრა უკან: „ჩვენ სხვა თემიდან სამუშაოზე არავის ვღებულობთ“-ო. კავშირის არა წევრს კი ადგილკომი დიდი სიამოვნებით უშვებს სამუშაოზე და აძლევს მათ უპირატესობას. ჩვენის აზრით აქ პროტექციას უნდა ჰქონდეს ადგილი. ყოველ შემთხვევაში კავშირმა უნდა გამოარკვიოს ვის აძლევს უპირატესობას კასპის ცემენტის ქარხნის ადგილკომი.

გლეხკაცი.

—:—

მუშკორთა წერილებიდან

უდიერი ნოქარი. სასაკლაოსთან არსებულ კოოპერატიულ სავაჭროს ნოქარი უდიერად და უხეშად ეპყრობა მომხმარებელ მუშებს. მუშკოოპის გამგეობამ უნდა გამოასწოროს უდიერი ნოქარი.

ჟანი.

ვაჭრები ხელს გვიშლიან. ლენინის უბანში გრძანის გზაზე დასახლებული არიან ჩარჩვაჭრები, რომლებსაც მოწყობილი აქვთ ბაკები. ეს ვაჟბატონები ართმევენ გლეხებს ნაწარმს და სხვა საქონელს და მამასისხლად ჰყიდიან ბაზარზე. მოსახლეობას კი არ აძლევენ უფლებას პირდაპირ გლეხიდან შეიძინოს სოფლის ნაწარმოები. მილიციამ, ყურადღება მიაქციოს ამ გარემოებას.

ი. ზაალი.

რით ვიაროთ ხაზზე. მე-7-დე სალიანდაგო უბნის ტექნიკოსებს მიმდინარე წელს მოუსპეს წლიური ბილეთები, რომლითაც მათ უფლება ეძლეოდათ სამსახურის დროს საბარგო მატარებლით მგზავრობა. ეს უფლება ამჟამად აღარ აქვთ და სამგზავრო მატარებლითაც ვერ სარგებლობენ. მაშ რით ვიაროთ ხაზზე.

ტექნიკოსი.

ნავთის წყაროები გელათის რაიონში

(ა.-ქ. დეპეშათა სა აგენტოს ცნობა)

ქუთაისი, 17 მაისი. ამას წინად საქართველოს სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოს სამთო ტრესტის სპეციალურმა კომისიამ გამოიკვლია ნავთის წყაროები მდინარე ხანის წყლის მარჯვენა მხარეს — ბაღდათიდან 9 ვერსის მანძილზე, გზაზე ზეკარის ულელტეხილისაკენ. ბაღდათის აღმასკომის თავმჯდომარისაგან ახლა მიღებულია ცნობა, რომ კომისიის წასვლის შემდეგ, ასი საჟენის მანძილზე იმ ადგილიდან, რომელიც კომისიამ დაათვალიერა, აღმოჩნდა ახალი წყარო ნავთისა და მაზუთისა, ამ წყაროდან ნავთის შადრევანი მეტრის სიმაღლეზე სცემს. კომისიამ თავის დროზე არ მიაქცია ყურადღება ამ წყაროებს, რადგან გლეხებმა ხის ტოტებითა და ჩალით დაფარეს ეს ადგილები იმის შიშით, რომ, თუ გეოლოგიური მუშაობა დაიწყებოდა, ახლო მდებარე წისქვილს დაანგრევდნენ.

აღმასკომის თავმჯდომარე ითხოვს, საჩქაროდ დანიშნულ იქნეს ახალი კომისია წყაროების გამოსაკვლევად.

კოლმეურნეობათა ინსტრუქტორების თათბირი

მეოთხე სხდომაზე კულტურულ მცენარეთა დამუშავების შესახებ მოხსენებას აკეთებს მიწადმოქმედების სახ. კომისარიატის წარმომადგენელი აგრონომი სამადაშვილი.

სახალხო მეურნეობის განვითარება საერთოდ და სოფლის მეურნეობის კერძოთ,—ამბობს მომხსენებელი, გულისხმობს მრეწველობისათვის ნედლეულობის ბაზის შექმნას. ეს გარემოება კი თავის თავად იწვევს ძვირფას ტექნიკურ კულტურათა განვითარებას და გავრცელებას. საქართველოში ფრიად ხელსაყრელი ბუნებრივი და ეკონომიური პირობებია ამ კულტურათა განსავითარებლად. სამწუხაროდ ტექნიკური კულტურების სივრცე და ხვედრითი წონა ჯერ კიდევ არ არის სათანადოთ ჩამოყალიბებული ჩვენი სოფლის სამეურნეო სისტემაში.

ამჟამად მევენახეობა შეადგენს ჩვენი სასოფლო მეურნეობის და ნათესების სივრცის 2 პროცენტს, მებაღეობა 1,1 პროც., მებოსტნეობა—1,1 პროც; მებამბეობა—1,2 პროც; მეთამბაქოობა—1,8 პროც.; ჩაის კულტურა—0,09 პროც. და დანარჩენი ტექნიკური მცენარეულობა—არა უმეტეს 1 პროცენტისა.

ჩვენი ქვეყნის ეკონომიურად გაძლიერება წარმოუდგენელია ჩვენი სასოფლო მეურნეობის განვითარების და კერძოთ ტექნიკურ კულტურათა გავრცელება-გაფართოების გარეშე.

ეს აუცილებლობა კარგად ჰქონდა გათვალისწინებული საბჭოთა ხელისუფლებას, როდესაც ის შეუდგა ხუთწლიან პერსპექტიული გეგმის შედგენას. ამ გეგმით მტკიცე საფუძველი ეყრება ჩვენი სასოფლო მეურნეობის აღდგენა-გაფართოებას.

ტექნიკურ კულტურათა გავრცელება-გაფართოება მოითხოვს შეუწყვეტელ მუშაობას, ამასთანავე არ უნდა დავივიწყოთ, რომ კულტურულ მცენარეულობის გავრცელება (მაგალითად ჩაის), გამოიწვევს დიდ ცვლილებებს ჩვენი სოფლის მეურნეობაში.

რომ შევძლოთ ქვეყნის ბუნებრივი და ეკონომიური შესაძლებლობათა მაქსიმალურად გამოყენება და დასახული პერსპექტიული გეგმის განხორციელება, საჭიროა ყოველივე ღონისძიება მივიღოთ ჩვენი სოფლის მეურნეთა კულტურული დონის ასამაღლებლად, აუცილებელ თეორეტიულ აგრონომიულ ცოდნის გასავრცელებლად მათ შორის და სხ.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ამ კულტურათა გავრცელებას კოლექტიურ მეურნეობებში, სადაც ამ საქმისათვის შექმნილია განსაკუთრებით ხელსაყრელი პირობები და პერსპექტივები.

ჩვენი სასოფლო მეურნეობის შემოსავლიანობის ასაწევათ საჭიროა კულტურულად იქნას დაყენებული სასოფლო მეურნეობის პროდუქტების დამუშავება (ბამბის გაწმენდა, აბრეშუმის პარკის ხარშვა და ხმობა, ღვინის დაყენება, თამბაქოს პირველადი დამუშავება და სხ.) და მეურნეობის ნარჩენების გამოყენება.

ამ ღონისძიებათა ჩასატარებლათ მომხსენებლის აზრით აუცილებელია თვით სოფლის მეურნეთაგან (კოლმეურნეობათა წევრებისაგან) მომზადდეს აგრონომ-ტექნიკოსთა კადრი.

კოლმეურნეობათა ჯგუფური გაერთიანების შესახებ მოხსენება გააკეთა მიწადმოქმედების სახ. კომისარიატის წარმომადგენელმა აგრონომმა გოგილაძემ.

დასასრულ განხილული და დამტკიცებული იქნა მოხსენებების ირგვლივ კომისიის მიერ შემუშავებული რეზოლიუციები.

აბრეშუმის სახვევი მანქანების დამზადება

საკავშირო ს. მ. უ. საბჭოდან მიღებულია ცნობა, რომ აბრეშუმის სახვევი ქარხნებისათვის საჭირო მანქანების (აუზების) დამზადების მონოპოლია მინიჭებული აქვს საქართველოს ლითონის ტრესტს.

აბრეშუმის სახვევი მანქანების დამზადება საბჭოთა კავშირში 1926 წლამდე არ სწარმოებდა. 1927 წელს აღნიშნული მანქანების დამზადება დაწყებულ იქნა საქართველოს ლითონის ტრესტისა და მოსკოვის საფეიქრო ინსტიტუტის ქარხნის მიერ. საქართველოს ლითონტრესტის მიერ დამზადებული მანქანები არაფრით არ ჩამოუვარდება იტალიიდან შემოტანილ მანქანებს, ხოლო ფასის მხრივ თბილისში დამზადებული მანქანები უფრო იაფი ჯდება.

საკავშირო ს. მ. უ. საბჭოსთან გაიმართა სპეციალური თათბირი საბრეშუმო მრეწველობისათვის საჭირო მანქანების დამამზადებელი ქარხნების მდგომარეობის საკითხის განსახილველად. თათბირზე გამოირკვა, რომ ყველაზე უფრო კარგათ აბრეშუმის სახვევი მანქანების დამზადების საქმე დაყენებულია საქართველოს ლითონტრესტში. ამიტომ გადაწყვეტილი იქნა საქ. ლითონტრესტს მიენდოს საბჭოთა კავშირისათვის საჭირო მანქანების მთელი რაოდენობის დამზადება. წელიწადში საბჭოთა კავშირში საჭიროა 500 ახალი მანქანა. მიმდინარე წლის განმავლობაში კი ლითონტრესტმა უნდა დაამზადოს 668 მანქანა.

მანქანების დამზადება სწარმოებს 26 კომუნართა სახელობის ქარხანაში.

ჩაის მეურნე გლეხების დაჯილდოება

საზოგადოება „საქართველოს ჩაი“-მ გადასწყვიტა შემოიღოს საქართველოს, აჭარისტანის და აფხაზეთის საუკეთესო პლანტატორების—ჩაის მეურნე გლეხების დაჯილდოვება. სულ საზოგადოებამ დააწესა სამ-სამი ჯილდო ჩაის პლანტაციების თვითეულ რაიონისათვის. პირველი ჯილდო:—40 მანეთი ფულად, საბაღოსნო იარაღების სრული კომპლექტი, პოპულარული ლიტერატურა ჩაის კულტურის შესახებ და საზოგადოების გამგეობის მიერ გაცემული ქების ფურცელი.

მეორე ჯილდო: 25 მან. ფულად, საბაღოსნო იარაღების სრული კომპლექტი, პოპულარული ლიტერატურა ჩაის კულტურის შესახებ და საზოგადოების გამგეობის მიერ გაცემული ქების ფურცელი.

მესამე ჯილდო: 20 მანეთი ფულად, საბაღოსნო იარაღების სრული კომპლექტი და პოპულარული ლიტერატურა ჩაის კულტურის შესახებ.

კონკურსი ამ ჯილდოების მისაღებად მოეწყობა: აჭარისტანში: ჩაქვა-ბათუმში, აჭყვაში, დაგვაში და ბობოყვათში, ოზურგეთის მაზრაში—მიქელ-გაბრიელში, ოზურგეთში; აცანაში და ბახვში. ზუგდიდის მაზრაში—ზუგდიდში და გალის მაზრაში—გალში.

ჯილდოების გაცემა მოხდება შემოდგომაზე, მას შემდეგ, რაც საბოლოოდ შეიკრიბება ჩაის ფოთოლი საქართველოს ჩაის მეურნეობის ყველა რაიონებში.

მდგომარეობა პურის ბაზარზე

ბოროტმოქმედნი პასუხისგებაში არიან მიცემული

უკვე აღმოფხვრილ პურის კრიზისთან დაკავშირებით ქალ. თბილისში ადგილი ჰქონდა სპეკულიაციას ფქვილზე და სხვადასხვა ბოროტმოქმედებას, რომლის აღმოსაჩენად აღმასკომთან არსებულ ვაჭრობის მომწესრიგებელ კომისიის მიერ მიღებულ იქნა შესაფერი ზომები:

აღმოჩნდა შემდეგი:

1. მოქალაქე მამაიანცი (ლენინის აღმართი № 2), ღებულობდა („ხლებოპროდუქტიდან“) ფქვილს, პურს კი არ აცხობდა; მას აღმოაჩნდა 16 ტომარა ფქვილი გადამალული.

2. მოქ. ლუკა რევაზის ძე ფანჯავიძემ (საბაყის ქ. № 6) ფქვილის გაყიდვის მიზნით მიიღო ერთდა იმავე დროს ფქვილი ათი ტომარა ორ ორგანიზაციიდან: მუშკოოპიდან და „რაჭა“-დან, გადაიტანა გადასამალად მეხაზე—გიგილიძესთან. ფქვილის გაყიდვა ვერ მოასწრო.

3. მოქ. რატიანი ღებულობდა ფქვილს „ხლებოპროდუქტიდან“ და არ აცხობდა თავის ნორმას. მას აღმოაჩნდა გადამალული 1493 კილო პირველი ხარისხის ფქვილი.

4. მოქ. ბაბრილოვს—აფურის ქ. № 8—ნადი „ირანის“ ფურნეში აღმოაჩნდა ხუთი ტომარა თეთრი ფქვილი, რასაც არ აცხობდა. ვაჭრობის ინსპექტორს განუცხადა, რომ ეს ფქვილი იყო მისი საკუთრება ამიერკულ კომიტეტიდან მიღებული, რაც არ გამართლდა.

5. მოქ. მუსრიკიანცს აღმოაჩნდა ათი ტომარა გადამალული ფქვილი. ფქვილი გადამალული ჰქონდა გაყიდვის მიზნით.

ყველა ზემოთ ჩამოთვლილ მოქალაქეთ ფქვილი ჩამოერთვათ და ისინი მიცემული არიან პასუხისგებაში.

პურის არა თავის დროზე გამოცხობისათვის მიცემულია პასუხისგებაში შემდეგი პურის საცხობების გამგეები:

1. „რაჭა“-ს პურის საცხობი (ელისაბედის ქ. № 178).
2. „მოსავალი“-ს პურის საცხობი № 5 (სადგურის ქ.)
3. „რაჭა“-ს თონე პუშკინის ქ. № 27.

გარდა ამისა პასუხისგებაში მიცემული არიან შემდეგი მოქალაქენი:

1. „მომარაგება“ (მუხრანის ქ. №) პურის ძვირად გაყიდვისათვის.
2) ბერეჟაძე ილიკო (ელისაბედის ქ.) პურის ფასების დარღვევისათვის.
3) ლაუშვილი მიხეილ (ფედოსეევის ქ.) პურის ნიხრის დარღვევისათვის.
4) მახრეუთაანცი ალექსანდრე (ზესკის ქუჩა) პურის ნიხრის დარღვევისათვის.
5) ისმაილ ბაგირ ოღლი (კომუნალური ქუჩა), პურის ნიხრის დარღვევისათვის.
6) აბაზოვი სერგო (არტილერიის ქუჩა), რომელიც მესამე ხარისხის პურს ჰყიდდა პირველ ხარისხად.
7) უმუშევართა კოლექტივი „პური“ (კათოლიკების ქუჩა), პურის ნიხ. დარღვევისათვის.
8) შტემოციანცი რაზმაირ (რუსის ქუჩა), რომელიც მე-3 ხარისხის პურს ჰყიდდა 1-ლ ხარისხად.
9) ყარაიანი სარქის (ვანქის ქუჩა), რომელიც მე-3 ხარისხის პურს ჰყიდდა 1-ლ ხარისხად.
10. მათეოსიანი მათეოს (რუსის ქუჩა), რომელიც მე-3 ხარისხის პურს ჰყიდდა 1-ლ ხარისხად.
11. კუჭკულიანცი იოსებ (ელისაბედის ქ.) პურის ნიხ. დარღვევისათვის.
12. დვალიძე გიორგი (ხუდადოვის ქ.) პურის ნიხრის დარღვევისათვის.
13. კაკოანცი ოჰანეს (სადგურის ქ.) ნიხრის დარღვევისათვის.

რა გამოირკვა

იმ მიზეზების გამოკვლევის შესახებ, რომლებმაც გამოიწვია მაისის პირველ ნახევარში თბილისისათვის პურის ნორმალური მიწოდების შეფერხება, სახ. ვაჭრობის რწმუნებულის სამმართველომ ჩვენი გაზეთის თანამშრომელსა აცნობა შემდეგი:

ჩვენ არა ერთხელ აღვნიშნავთ, რომ პურით დიდი რიგები პურის საცხობებთან გამოწვეული არა ფქვილის ნაკლებობით, არამედ სხვადასხვა მიზეზებით, როგორიც არის: კოოპერაციის არა დამაკმაყოფილებელი მუშაობა, ბოროტმოქმედება გაცემული ფქვილებით და სხვა.

ჩატარებულმა გამოკვლევამ მთლიანად დაამტკიცა ზემოთ ნათქვამი.

მთელი რიგი ფურნეები და პურის დუქნები თავის დროზე არ იწყებდნენ ვაჭრობას პურით, მთელი საათობით აცდევინებდნენ მოქალაქეებს რიგებში, რითაც იწვევდნენ პანიკას და ახალ რიგების გაჩენას.

ზოგიერთი პურის საცხობები, სარგებლობდნენ რა იმით, რომ მოქალაქენი, რიგში რომ არ დამდგარიყვნენ, იძენდნენ ყოველნაირ პურს, უშვებდნენ გასაყიდათ ცუდი ხარისხის პურს, მესამე ხარისხის პურს ასაღებდნენ მეორე ხარისხად, ჰყიდდნენ ცხელ პურს და სხვა.

იყო შემთხვევები, როდესაც თონეების მეპატრონენი (კონტრ-აგენტები) მიღებულ ფქვილს ჩუმად ჰყიდდნენ კერძო პირებზე და თვითონ კი არ აცხობდნენ პურს, რითაც აფერხებდნენ ქალაქისათვის პურის მიწოდების საქმეს. თონეების დათვალიერების დროს, ზოგიერთ კონტრ-აგენტებს აღმოაჩნდათ გადამალული ფქვილი, რომელიც უნდოდათ გაესაღებინათ კერძო პირებზე.

ზოგიერთი ყოფილი პურის მცხობელები, რომლებიც ეხლა უსაქმოდ არიან დარჩენილი და არ ღებულობენ ფქვილს, ეწეოდნენ აგიტაციას მყიდველთა შორის იმ იმედით, რომ გაერთულებინათ მდგომარეობა და ამ გზით მიეღოთ კვლავ ფქვილი სახელმწიფო საწყობებიდან. ასე იქცეოდა აგრეთვე 5 მეთონე—კონტრაგენტი.

გამოკვლევის ყველა მასალები გადაეცა სახ. პოლიტ. სამმართველოს.

უკვე დაპატიმრებულნი არიან შემდეგი პირნი: 1) **ნათმელაძე**—მეთონე ორჯონიკიძის ქუჩა 4, 2) **ბიორბოზიანი**—მეთონე—კახეთის ქუჩა 38, 3) **ტრუბკოვი**—მეფურნე პლეხანოვის და რუსთაველის ქუჩების კუთხე, 4) **კაპიტაძე**—პურის დუქანი № 133, რაზნოუს ქ. 4, 5) **კახიძე**—მეფურნე—საბჭოთა ქუჩა 36, 6) **ჯაბაშვილი**—მეთონე, პუშკინის ქუჩა 23, 7) **ძველიძე** და **ქარაზაშვილი**—მეთონეები—კომუნალური ქ. 66, 8) **ჩლაიძე**—მეთონე—პეტრიწის მოედანი 28, 9) **სულაძე**—მეთონე—ლენინის ქუჩა 28 და 10) **არჩუაძე**—მეთონე—ყოფ. სალდათების ბაზარი.

აქვე უნდა აღინიშნოს საზოგადოება „რაჭა“-ს გამგეობის წევრის **ისაკაძის** მოქმედება, რომელსაც დავალებული ჰქონდა ფურნების და თონეების შორის ფქვილის განაწილება და რომელსაც თავისი პირადი კაპრიზით ერთ დღეს დატოვა უფქვილოდ 30-მდე თონე და ფურნე.

მკაცრი ზომების მიღება იმ პირთა მიმართ, რომელნიც შემჩნეულ იქნებიან ბოროტმოქმედებაში, შემდეგში უფრო გაძლიერდება.

უკანასკნელ დღეებში ვიღაც უპასუხისმგებლო პირებიავრცელებენ ხმებს, რომ ვითომც თეთრი პურის გამოცხობა შეჩერებულ იქნება 2—3 დღით. ამ ხმებს არ აქვს არავითარი საფუძველი. დაბალი ხარისხის ფქვილი უკვე თავდება და მაზრებში ჩვენ მიერ იგზავნება 1-ლი ხარისხის ფქვილი. თბილისში თეთრი პურის გამოცხობა არ შესწყდება.

საჭირო ღონისძიებანი

პურის ბაზრის საბოლოოდ მოსაწესრიგებლად შესდგა თბილისის საბჭოს სავაჭრო-კოოპერატიულ სექციის სპეციალური სხდომა.

სხდომაზე პურის ცხობის წესიერად წარმოების და პურის ხარისხის დაცვის შესახებ მოხსენება გააკეთა ვაჭრობის მომწესრიგებელ კომისიის თავმჯდომარემ ამხ. გრ. ლასპარამ. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ თბილისი სავსებით უზრუნველყოფილია პურის მარაგით და საჭირო რაოდენობის პურის საცხობებითა და სავაჭრო პუნქტებით. საჭიროა მხოლოდ გაძლიერებულ იქნეს მეთვალყურეობა, რომ ყველა საცხობები თავის დროზე აცხობდნენ პურს დაწესებულ ნორმაზე და გამომცხვარი პური თავის დროზევე უნაწილდებოდეს სავაჭრო წერტებს რაიონებში. აგრეთვე საჭიროა სათანადო ზომების მიღება, რომ პური ცხვებოდეს კარგი ხარისხის და როგორც პურის საცხობებში, ისე სავაჭროებში დაცული იქნეს სანიტარული პირობები.

სხდომამ დაადგინა მიიღოს ენერგიული ზომები, რომ პური ცხვებოდეს დაწესებულ ვადებში, რომლის მიხედვით პურის საცხობებში მთელი ნორმის 70 პროცენტი უნდა გამოუშვან დილის 6 საათზე, ხოლო 30 პროცენტი დღის 1 საათზე.

აგრეთვე მიღებული იქნება ზომები, რომ პური არ იყიდებოდეს ცხელი; ამასთან დაცული იქნება სავსებით პურის სახე და ცხობის წესები.

პურის საცხობებსა და სავაჭროებში სანიტარული პირობების დასაცავად კოოპერატიულ ორგანიზაციებს დაევალა პურის მცხობელებსა და პურის გამყიდველებს დაურიგონ თეთრი ხალათები და დრო გამოშვებით მოახდინონ სავაჭროების დეზინფექცია.

ფაქტების ღაღადი*)

(პასუხად ბ-ნ კ. კანდელაკს)

VIII.

დღევანდელი თემის ბიუჯეტი

მარტო თემის ბიუჯეტი, რომ ავიღოთ („რას ამბობენ ფაქტები“-ს ავტორმა კი იცის, რომ, თემის ბიუჯეტის გარდა, მთელი მაზრის ბიუჯეტის ჯამიც სოფლის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად არის დანიშნული), მისი ზრდა, განმტკიცება და სოფლად მუშაობის თანდათანობითი გაღრმავება ამ სამი წლის განმავლობაშიაც ყველასათვის იმდენათ აშკარა და თვალსაჩინოა, რომ არავითარ განზრახ დამახინჯებულ გამუქებას არ შეუძლია გააბათილოს და ეჭვი დაბადოს ვისმეს გულში. სამი უკანასკნელი წლის განმავლობაში საქართველოს თემის ბიუჯეტმა შემდეგი გზა განვლო:

I. თემთა რიცხვი დამოუკიდებელ ბიუჯეტით:

თემთა რიცხვი უტფილისოდ და უაფხაზეთოთ	თემის ბიუჯეტების რიცხვი	%
25/26 წ.—464	297	64 %
26/27 წ.—395	269	68 %
27/28 წ.—39	322	82 %

საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილების თანახმად მომავალ სამეურნეო წლიდან ყველა თემი ვალდებულია გადავიდეს დამოუკიდებელ ბიუჯეტზე.

II. თემის ბიუჯეტების შემოსავლის ზრდა სამი წლის განმავლობაში გამოიხატება:

თემების შემოსავალი

(ათას მანეთ.)

	25/26 წ.	%	26/27 წ.	%	27/28 წ.	%
1. თემის საკუთარი შემოსავალი	1.166,0	54,9	2.023,4	72,7	2.888,4	48,0
2. დახმარება	942,1	44,4	746,0	26,8	3.082,2	51,2
3. სესხი	15,0	0,7	14,3	0,5	46,4	0,8
სულ	2.123,2	100	2.783,8	100	6.017,2	100

ამ ცნობებიდან სჩანს, რომ საქართველოში თემის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი თანდათანობით ირკვევა, მაგრდება და იზრდება, რომ თემის საკუთარი შემოსავლის ზრდასთან ერთად ყოველწლივ მცირდება სახელმწიფო დახმარების ხვედრითი წონა და რაოდენობა **).

III. თემის ბიუჯეტის საშუალო რაოდენობამ შემდეგი ცვლილება განიცადა:

1925—26 წ. 4.476 მან., 1926—27 წ. 7.012 მან.. 1927—28 წ. 15.272 მან.

მაშასადამე, თანდათანობით თემის ჩამოყალიბებისა და ადგილობრივი ქსელის განვითარებისთანავე თემს ეკისრება ყველა თემის მნიშვნელობის ხარჯი.

IV. ფინანსიური გაჯანსაღება და მოღონიერება ჩვენი სოფლისა შემდეგი ცნობით დასტურდება:

უდეფიციტოთ იყო შედგენილი 1925—26 წ. 30 თ. ბიუჯეტი — 1 %. 1927—28 წ. 150 თ. ბიუჯ., ანუ 46 %.

V. თემის ბიუჯეტით გათვალისწინებული სხვადასხვა ხარჯების რაოდენობა და ხვედრითი წონა სამი უკანასკნელი წლის განმავლობაში გამოიხატება (ათას მან. და %%-ში):

ხარჯები	1925/26 წ.		1926/27 წ.		1927/28 წ.	
I. ადმინისტრატ. ხარჯები	975,6	48,8	973,2	35,0	1.168,3	19,4
II. კულტ. სოციალური	872,1	43,6	1.417,0	50,9	4.290,4	71,3
III სამეურნ. - საწარმოო	119,4	6,0	315,2	11,3	490,8	8,2
IV. დანარჩენი ხარჯები	32,6	1,6	78,4	2,8	67,7	1,1
სულ.	1.999,7	100	2783,8	100	6.017,2	100

თუ ჩვენ მივმართავთ თემის ბიუჯეტის სტატიკურ მდგომარეობას (1925—26 წ.) კი არა, რომელიც თავის თავად არაფრის მაჩვენებელი არ არის, არამედ მივმართავთ მის დინამიკას თუნდაც სამი წლის განმავლობაში, მაშინ ბ. კანდელაკის „გაოცება“ უადგილო დარჩება, რადგან ნათელია, რომ თემის ბიუჯეტში ადმინისტრატიული ხასიათის ხარჯების ხვედრითი წონა შესამჩნევად მცირდება და იმავე დროს კულტურულ - სოციალური და საწარმოო - სამეურნეო ხარჯების იგივე ხვედრითი წონა განუწყვეტლივ მატულობს.

მაგრამ, თუ ვინმე მართლა ობიექტიურად დაინტერესდება იმით, თუ რამდენი იხარჯება ნამდვილად საქართველოს სოფლის სკოლებზე ამბულატორიებზე, გზებზე და სასოფლო მეურნეობაზე, მაშინ იმ თანხებს, რომელიც აქ ჩამოთვლილ საჭიროებაზე იხარჯება თემის ბიუჯეტით უსათუოთ უნდა მიემატოს ის თანხებიც, რომელიც იმავე სოფლის საჭიროებისათვის იხარჯება სამაზრო აღმასკომის ბიუჯეტით და რომელთა გატარებაც უშუალოდ თემის ბიუჯეტით, რასაკვირველია, არ შეიძლება. მაშინ ჩვენ მივიღებთ შემდეგ სურათს; (ათას მან.):

ხარჯების დასახელება.	1925/26 წ.			1926/27 წ.			1927/28 წ.		
	დაიხარჯა			დაიხარჯა			უნდა დაიხარჯოს		
	თემის ბიუჯეტით.	სამაზრო ბიუჯეტით.	სულ	თემის ბიუჯეტით.	სამაზრო ბიუჯეტით.	სულ	თემის ბიუჯეტით.	სამაზრო ბიუჯეტით.	სულ
1. კულტ-სოციალური მათ შორის:	872,1	5.134,6	6.006,6	1.417,0	5.595,9	7.012,9	4.290,4	3.220,1	7.510,5
განათლებაზე		4.034,9			4.582,3			2.146,0	
ჯანმრთელობაზე		1.099,7			1.013,6			1.074,1	
2. სამეურნ.-საწარმოო მათ შორის:	119,4	771,9	891,3	315,2	1.332,8	1.648,0	490,8	1.864,2	2.355,0
სასოფლო-მეურნ.		517,0			719,1			1.077,7	
გზებზე		254,9			613,7			786,5	
სულ	991,5	5.906,5	6.897,9	1.732,2	6.928,7	8.660,9	4.781,2	5.084,3	9.865,5

მაშასადამე, გარდა სახელმწიფო ბიუჯეტისა, საქართველოს სოფლის კულტურულ და სამეურნეო - საწარმოო მოთხოვნილებებზე, იხარჯება არა მარტო თემის ბიუჯეტით გათვალისწინებული თანხები, არამედ აგრეთვე ის თანხებიც, რომელიც აღმასკომის ბიუჯეტით იყო და არის დანიშნული. ამის შემდეგ, ასეთი დასკვნა უნდა გავაკეთოთ:

ერთ თემზე მოდის ხარჯები:

ხარჯები:	1925/26 წ.	%	1926/27 წ.	%	1927/28 წ.	%
თემღმასკომ. შენახვა	2.024	12,3	2.284	10,0	2.761	9,5
კულტურულ-სოციალ.	12.462	76,1	16.462	72,2	17.755	68,5
სამეურნეო-საწ.	1.849	11,2	3.868	16,9	5.567	21,3
სხვა ხარჯები	60	0,4	184	0,9	160	0,7
	16.395	100	[illegible].798	100	26.243	100

სურათი იმის შესახებ, თუ რა მიმართულებით მიდის და გლეხის რომელ საჭიროებას უფრო ემსახურება დღევანდელი თემის ბიუჯეტი ნათელია და განმარტებას არ მოითხოვს.

1925 — 26 წ. თემის ბიუჯეტიც რომ ავიღოთ, რომელიც, როგორც უკვე ვსთქვით პირველ ცდას წარმოადგენს საქართველოში, ისიც კი გაცილებით მეტს ემსახურებოდა სოფლის მოსახლეობას, ვიდრე იმავე სახის მენშევიკური ბიუჯეტი. აი შედარებაც. (პროცენტებში).

წინანდალის თემი:

	1920 წ.	1925—26 წ.	26—27 წ.	27—28 წ.
ადმინისტრ. ხარჯ.	82,0%	33,0%	21,0	13%
სხვა ხარჯები	18,0%	67,0%	79,0	87%
სულ	100%	100%	100%	100%

IX.

რას ამბობენ ფაქტები და შედარებანი

მაშ, რას ამბობენ ამის შემდეგ ფაქტები და ჩვენ მიერ მოყვანილი შედარებანი?

1. იმას, რომ მენშევიკური თემის აპარატი არაფრით არ განირჩეოდა „ძველებურს საუბნო ბოქაულის კანცელიარიისაგან“, რომ თემში იმ პირთა შენახვა, რომლებიც „ოქმების შედგენის და სილების“ თავაზობის მეტს არაფერს არ აკეთებდნენ გლეხკაცობას უჯდებოდა გაცილებით მეტი, ვიდრე ეხლა უჯდება თემღმასკომის შენახვა, რომელიც დღეს წარმოადგენს ხალხურს, სინდისიერად და ძალღონის დაუზოგავად სოფლის მოსახლეობის კეთილდღეობაზე მზრუნველ ადმინისტრატიულ აპარატს.

2. იმას, რომ ძველი ღარიბესი თემის თანამშრომელთა რიცხვი უდრიდა 15 კაცს მილიციონერების ჩათვლით და 9 კაცს უმილიციელებოთ; რომ მათ შენახვაზე იხარჯებოდა სოფლის ბიუჯეტით 82 პროც., გარდა თვითდაბეგვრისა; რომ ეხლანდელი თემის აპარატის პირადი შემადგენლობა იშვიათ შემთხვევაში აღემატება 3 — 4 კაცს; რომ მათ შენახვაზე არსად არ იხარჯება თემის ბიუჯეტით 82 %, როგორც წინად; რომ რაიმე დაბეგვრა გლეხებისა ადმინისტრაციის საჭიროებაზე კანონით სასტიკად არის აკრძალული და, რომ საქართველოს ქვედა ადმინისტრატიული აპარატი ცოტა ჯდება.

3. იმას, რომ მენშევიკების დროს თემის ბიუჯეტი აგებული იყო დამპალ და საქართველოსათვის სრულიად გამოუსადეგარ „საძირკველზე“; რომ მაზრის ფარგლებში სხვა რომელიმე სახის ბიუჯეტი სოფელს თითქმის არ ემსახურებოდა; რომ თემის ბიუჯეტის 82 პროც. იხარჯებოდა ადმინისტრაციაზე; რომ თემის ბიუჯეტი არაფერს ან თითქმის არაფერს არ ხარჯავდა თავის საშუალებებიდან გზებზე, სკოლებზე (დარაჯების გარდა), ამბულატორიებზე, სოფლის მეურნეობაზე; რომ თემის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი იყო სავსებით დაყრდნობილი დოტაციაზე, სურსათით სპეკულიაციაზე და მიუღებელ, ევროპიელ ქვეყნებიდან გადმონერგილ ადგილობრივ გადასახადებზე (octroi) რომ პირიქით, დღევანდელი თემის ბიუჯეტი დამყარებულია რეალურ, საქართველოს პირობებთან სრულიად შეგუებულ, ჯანსაღ და მტკიცე საძირკველზე; რომ 1925 — 26 წლის თემის ბიუჯეტი პირველი ცდა იყო საქართველოში; რომ ამ პირველ თემის ბიუჯეტიც კი ადმინისტრაციაზე ხარჯავდა გაცილებით ნაკლებს, ვიდრე წინეთ; რომ არსად და არასოდეს სოფლის ბიუჯეტი არაფერს არ ხარჯავდა და არ ხარჯავს სოფლის მნიშვნელობის გზების მოსაწყობად და შესანახათ; რომ სოფლის გზების შეკეთება და შენახვა ევროპიულ სახელმწიფოებშიაც კი სწარმოებს უმთავრესად მოსახლეობის თვითდაბეგვრის საშუალებით; რომ ამის და მიუხედავათ საქართველოს თვითეული თემის ბიუჯეტით იხარჯებოდა გზებზე 1925 — 26 წელშიაც კი საშუალო 85 მანეთი უთბილისოდ და 112 მანეთი საქართველოში თბილისიანად; რომ 1925 — 26 წლიდან საქართველოს თემის ბიუჯეტში განუწყვეტლივ მცირდება ადმინისტრატიული ხარჯების ხვედრითი წონა და მნიშვნელოვნად იზრდება კულტურულ - სოციალური და სამეურნეო - წარმოებითი ხასიათის ხარჯები; რომ ფაქტიურად თემის ბიუჯეტის გარდა სოფელს ემსახურება აგრეთვე სამაზრო ბიუჯეტი; რომ საქართველოს თემის ბიუჯეტის სავსებით დატვირთვა ყველა სოფლის მნიშვნელობის ხარჯებით, არ შეიძლებოდა და არ შეიძლება დღესაც, ვინაიდან მიღებული ადგილობრივი ქსელი იმდენათ მცირე შემთხვევითი ხასიათისა იყო, რომ თვითეულ სოფლის დაწესებულებას: ამბულატორიას, ცხრაწლედს, აგროპუნქტს და სხვას უმეტეს შემთხვევაში აქვს სამაზრო მნიშვნელობა და უნდა გატარდეს მაზრის ბიუჯეტით.

4. იმას, რომ საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადების შემდეგ, მიღებული მეტად მცირე და უკიდურესათ დანგრეული და გაოხრებული ადგილობრივი დაწესებულებათა შენობების აღდგენა, ახლად მოწყობა - განვითარება 1925 — 26 სამეურნეო წელში სავსებით არ იყო დამთავრებული, რომ წლითი-წლობით ადგილობრივ და სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებულია და ფაქტიურადაც იხარჯება აღმშენებლობაზე მნიშვნელოვანი თანხები; რომ ყოველწლივ იზრდება მასწავლებლების, აგრონომების, ექიმების ხელფასი და, რომ საქართველოს სოფლის თანდათანობითი აღდგენა - განვითარება ყველასათვის უტყუარი და აშკარა ფაქტია.

5. დაბოლოს, ფაქტები ღაღადებენ კიდევ იმას, რომ საქართველოს სოფლის გამოკვლევა და შესწავლა 1925—26 წ. სტატიკურ მდგომარეობაში იძლევა სურათს, რომელიც, რასაკვირველია, იდეალურ მდგომარეობათ არ ჩაითვლება და მოწმობს, რომ ამ დროისათვის საქართველოს სოფლის ყოველმხრივი აღდგენა - განმტკიცების საქმე არ იყო სავსებით დამთავრებული და, რომ სოფლის იგივე სტატიკური მდგომარეობის შედარება წინა წლებთან და მით უმეტესად იმ წლებთან, როდესაც საქართველოს განაგებდნენ მენშევიკები, იძლევა საქართველოს სოფლის წინსვლას ყოველივე დარგში: კულტურულ - სამეურნეო - აღმშენებლობითი და ადმინისტრატიულ დარგშიაც.

ასეთია ფაქტები და ამ დასკვნებს გვიკარნახებენ მოყვანილი შედარებანი.

ვლ. ორჯონიკიძე.

---

*) დასასრული, იხ. „კომ.“ №№ 112, 113.

**) 1927-28 წ. დოტაციის ზრდა არა რეგულიურია, ვინაიდან სპეციალური მასწავლებლების დოტაცია, რომელიც წინა წლებში გატარებული იყო სამაზრო ბიუჯეტით, აღნიშნულ წლიდან ტარდება თემის ბიუჯეტებით.

ვ. ო.

ქრონიკა

ფშავ-ხევსურეთში გზის გასაყვანად.

ფშავ-ხევსურეთში გზის გაყვანის საქმისათვის ხელმძღვანელობის გასაწევად ამხ. ფ. მახარაძის თავმჯდომარეობით დაარსდა კომიტეტი, რომელშიაც წევრებად შედიან ამხ. მ. კახიანი, ლ. ქართველიშვილი, კ. ხომერიკი, ს. ჯულელი; ლოლობერიძე, გ. ყურულაშვილი, ლევანდოვსკი, მათიკაშვილი, აფციაური; გ. მგალობლიშვილი, ლ. სუხიშვილი, ხუჯიაშვილი, ბაქრაძე, ქიქინაძე, ყამარაული, კ. კაკაბაძე, ინჟ. კაციტაძე, ინჟ. ჩხეიძე და ალაყუში.

გამოგონებათა ბიუროს დაარსება

ს. მ. უ. ს. პრეზიდიუმის უკანასკნელ სხდომაზე გადაწყვეტილია ს. მ. უ. საბჭოსთან დაარსდეს ახალ გამოგონებათა ბიურო, რომელშიაც შევლენ—ს. მ. უ. ს. საწარმოო-საგეგმო განყოფილების, ელექტროფიკაციის განყოფილების, ელექტროფიკაციის განყოფილების, ახალშენებათა სამმართველოს და საქ. პროფსაბჭოს წარმომადგენლები.

გამოგონებათა ბიუროს დაეკისრება ყველა ახალ გამოგონებათა განხილვა და შესაფერი დასკვნების გამოტანა. უფრო საყურადღებო გამოგონებების შესახებ ბიურომ თავისი აზრი უნდა წარუდგინოს ს. მ. უ. ს. პრეზიდიუმს, რომელიც, თუ გამოგონება ხელსაყრელი იქნა, შეუდგება მის განხორციელებას.

საექიმო რაზმების გაგზავნა მაზრებში

ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატმა გადასწყვიტა 1-ლი ივნისიდან მაზრებში მიავლინოს რამოდენიმე საექიმო რაზმი. რაზმები დაივლიან სამრეწველო რაიონებს და სოფლებს. სულ გაგზავნილი იქნება: 4 თვალის სნეულებათა სამკურნალო რაზმი, 3—საშეანო-გინეკოლოგიური, 1—ყურის სნეულებათა, 1 ნევრო-პსიქიატრიული და 1 კბილის ექიმთა რაზმი.

რაზმების მუშაობა მაზრებში გაგრძელდება 1-ლ სექტემბრამდე. რაზმებს დავალებული აქვთ მოახდინონ ფაბრიკა-ქარხნების მუშების და მოსახლეობის შემოწმება და გამოარკვიონ, თუ რა ავადმყოფობა უფრო გავრცელებული ამა თუ იმ რაიონში.

რაზმების გასაგზავნათ საჭირო თანხები უკვე გადადებულია.

რესპუბლიკის მთავარი საავადმყოფოს დახურვა

ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის განკარგულებით, რესპუბლიკის მთავარი (ყოფ. მიხეილის) საავადმყოფოს მუშაობა შეწყვეტილია ზაფხულის განმავლობაში. ჯანსახკომმა შეუდგა საავადმყოფოს საფუძვლიან შეკეთებას. ჯანსახკომმა შეუთანხმდა რკინის გზელთა საავადმყოფოს, სადაც გამოყოფილია 25 მუდმივი საწოლი იმ ავადმყოფთათვის, რომლებიც სასწრაფო დახმარებას საჭიროებენ.

რესპ. მთავარი საავადმყოფოს შეკეთება დასრულდება სექტემბრის პირველი რიცხვებისათვის, ხოლო საავადმყოფო ხელახლა გაიხსნება 15 სექტემბრიდან.

თბილისის ალმასკომში

◆ ნიაღვრების საწინააღმდეგო გვირაბის გასაყვანათ საბჭოს ქუჩაზე, თბილისის ალმასკომმა გადასდო 70.000 მანეთი.

◆ წყალსადენი. თბილისის ალმასკომმა გადასწყვიტა ზემო-ერწოს თემში გაიყვანოს წყალსადენი.

◆ **სკოლების ქსელის გაფართოება.** თბილისის ალმასკომმა გადასწყვიტა მომავალ სასწავლო წლიდან გააფართოვოს მცირე-მცოდნეთა სკოლების ქსელი და გაადიდოს მათში სწავლების ვადა.

◆ **სახელმძღვანელოები** განათლების განყოფილებამ დაადგინა მცირე-ეროვნებათა სკოლებისათვის მომავალ სასწავლო წლიდან შეიძინოს საჭირო სახელმძღვანელოები.

◆ **განაპირა უბნებში,** სადაც არ არის მოწყობილი წყალსადენის ქსელი, წყალსადენის სამმართველომ გადასწყვიტა ვედრო წყალი ონკანებიდან გაყიდოს 1 კაპ.

კრებები და მოხსენებები

◆ **სრ. საქ. ინვალიდთა კოოპერატიული** ნადების კავშირში 20 მაისს დილის 10 საათზე შესდგება ყველა კოოპერატიულ ნადების წევრთა თათბირი.

◆ **საქ. ტექნიკურ საზოგადოების კრებაზე,** რომელიც შესდგება კვირას, დილის 12 ს. თბ. ინდუსტრიაალურ ტექნიკუმში, ინჟ. **გ. სარქიზოვი** წაიკითხავს მოხსენებას: „საცივარი საქმის მნიშვნელობა და საცივთა მშენებლობა ამიერ-კავკასიაში“.

◆ **საზოგადოება „წერა-კითხვის“** ქალაქის რაიონსაბჭო 20 მაისს დილის 11 საათზე ალმასკომის დიდ დარბაზში იწვევს სარაიონო კონფერენციას.

სხვადასხვა

◆ **კურსები.** ცეკავშირმა გადასწყვიტა მაზრებში გახსნას სამომხმარებლო ამხანაგობების სარევიზიო კომისიის წევრთა მოსამზადებელი მოკლევადიანი კურსები. ასეთი კურსები თბილისში უკვე გაიხსნა. მაზრებში გაიხსნება 28 მაისიდან.

◆ **ხევსურეთში** საავადმყოფოს ასაგებათ მთავრობამ გადასდო 25 ათასი მანეთი.

◆ **ექსკურსია ბეთანიაში.** საქ. საექსკურსიო ტურისტული ბიურო 19—20 მაისს მართავს ექსკურსიას ბეთანიაში (ღამის გათევით), მსურველები უნდა შეიკრიბონ დღეს, საღამოს 6 ს. განათლ. კომისარიატის შენობასთან.

—:—

ხელოვნების ქრონიკა

◆ **მცირე თეატრის გასტროლები** იწყება დღეიდან ოპერის თეატრში. დღეს წარმოდგენილი იქნება: „ერთი სისულელე ბრძენსაც მოუვა“.

◆ **განათლების მუშაკთა სახლში** დღეს გაიმართება მომღერალ ტომაშევიჩის კონცერტი.

◆ **სამხატვრო აკადემიის კლუბში** კვირას, 12 ს. შესდგება დისპუტი მხატ. დ. კაკაბაძის შემოქმედების შესახებ. მოხსენებას გააკეთებს თვითონ კაკაბაძე. დისპუტში მონაწილეობას მიიღებენ მხატვრები და მწერლები.

◆ **მოძრავი კინო.** განათლების კომისარიატის პოლიტ-განათლების მთავარმართველობის ცნობით, წელს საქართველოს მაზრებში გაიგზავნება 6 მოძრავი კინო. მოძრავ კინოების მოსაწყობად სახალხო კომისართა საბჭოს მიერ გაგადებულია 10.800 მანეთი. მომავალ 1928—29 საოპერაციო წლის ხარჯთაღრიცხვაში განათლების კომისარიატი შეიტანს მოძრავი კინოების მოწყობის ხარჯებს.

სამგლეხო სესხი

პირველი მაისი

გლეხის მეურნეობის განმტკიცების სესხის პირველი ტირაჟი მოხდება განჯის რაიონში 1 ივნისს, ხოლო ქუთაისში—14 ივნისს.

ამჟამად მიმდინარეობს შესაფერი სამზადისი პირველ ტირაჟამდე დროებითი მოწმობები გადაცვლილი უნდა იქნეს ნაღდ ობლიგაციებზე.

აფხაზეთში

საქართველოს ფინანსთა სახ. კომისარიატის ცნობით, 17 მაისამდე აფხაზეთში გასაღებულია 125.165 მან. ობლიგაცია.

სამხრეთ-ოსეთში

სამხრეთ-ოსეთში გასაღებულია 22.400 მან. ობლიგაცია.

6 პროცენტით მეტი

საქართველოს ფინანსთა სახ. კომისარიატის ცნობით, საქართველოში გლეხის მეურნეობის სესხის ობლიგაციები გასაღებულია 6 პროცენტით მეტი, ვიდრე განზრახული იყო წინასწარი გეგმით.

პრემიები

გლეხის მეურნეობის განმტკიცების სესხის რეალიზაციისათვის ხელის შემწყობ კომისიის დადგენილებით, იმ მაზრებსა და ავტონომიურ რესპუბლიკებს, რომლებიც დანიშნულ ვადაში გაასაღებენ ობლიგაციების განზრახული რაოდენობის 100 პროცენტს, ეძლევათ სხვადასხვა პრემიები.

საქართველოს ფინანსთა სახ. კომისარიატის ცნობით, საქართველოში პრემიები მიეცემა აფხაზეთსა და აჭარისტანს და ქუთაისის, რაჭის, ლეჩხუმის, ახალქალაქის და თელავის მაზრებს.

მავნებლებთან ბრძოლის საქმე

„ზაკ[illegible]“-მა ლენინგრადის ქარხნების ტრესტ „ტრემა“-ს მავნებლებთან საბრძოლველად ზამთარში შეუკვეთა 6.140 სასხურებელი და 1.500 საფრქვევი მანქანა. მარტში „ტრემა“-მა გადმოგზავნა მხოლოდ 3.169 სასხურებელი (აზერბეიჯანისათვის—1555 ცალი, საქართველოსათვის—2164 და სომხეთისათვის—300) და 400 საფრქვევი მანქანა (აზერბეიჯანისათვის). აპრილში ამიერ-კავკასიის წარმომადგენლობამ მიმართა სათანადო ორგანოებს განცხადებით, რომ „ტრემას“-ი არ ასრულებს ხელშეკრულებას. ტრესტმა განაცხადა, რომ ხელშეკრულებას შეასრულებს, მაგრამ დღემდე სასხურებელი და საფრქვევი მანქანები მიღებული არ არის. ეს სერიოზულ საფრთხეს უქმნის ბამბის მავნებლებთან ბრძოლის გეგმის შესრულებას. 18 მაისს ამიერ-კავკასიის სახკომსაბჭოს რწმუნებულმა თესვის კამპანიის ჩატარების საქმეში, ამხ. ბაგიროვმა გაუგზავნა ამხ. ორჯონიკიძეს დეპეშა, რომ სასხურებელ და საფრქვევ მანქანების გადმოგზავნის დაგვიანება საფრთხეს უქმნის მებამბეობის კამპანიას.

ქიმიური საშუალებები მავნებლებთან საბრძოლველად საკმაო რაოდენობით მოიპოვება.

წყალდიდობის შედეგები

წყალდიდობამ თბილისს მიაყენა 55.000 მანეთის ზარალი

თბილისის ალმასკომის კეთილმოწყობის განყოფილებამ წყალთა მეურნეობის სამმართველოს წარუდგინა ცნობები თბილისში წყალდიდობით გამოწვეულ ზარალის რაოდენობის შესახებ.

კეთილმოწყობის განყოფილების ცნობებიდან ირკვევა, რომ მარტო თბილისში არსებული სახერხი ქარხნები დაზარალდა (ჯებირების წალეკვა, ხის მასალათა წაღება მდინარისაგან და სხ.)—14.000 მანეთით. რიყის რაიონში წყალდიდობით გამოწვეული ზარალი უდრის—4.000 მან. ორთაჭალისა და ნავთლუღის რაიონებში მდინარემ გააფუჭა ბაღები და ბოსტნები. ამ რაიონებში ზარალი უდრის 23.000 მანეთს.

დიდუბეში გარდა ამისა, წყალდიდობამ გააფუჭა ჯებირები და ბაღები, ზარალი უდრის 12.000 მანეთს. მტკვარმა დიდი ზიანი მიაყენა აგრეთვე ვერის პარკს, სადაც სავსებით წალეკილია ერთი კუნძული, გაფუჭებულია ბაღის ნაწილი და გაფართოებულია მდინარის კალაპოტი. ზარალი აქ უდრის 2.000 მანეთს.

სულ მთელ ქალაქში წყალდიდობით გამოწვეული ზარალი უდრის 55.000 მანეთს.

რკინის გზებზე

ბრძოლა მალარიასთან

მიმდინარე წელში ამიერ-კავკასიის რკინის გზაზე განსაკუთრებული ყურადღება აქვს მიქცეული მალარიის წინააღმდეგ ბრძოლას. ამ მიზნით რკინის გზათა გამგეობამ გადასდო 37.400 მანეთი. ამ თანხიდან 16.000 მანეთი მოხმარდება საჭირო ინვენტარის შეძენის და მუშა-ხელის შენახვის საქმეს.

ჭაობიან ადგილების დასამაზუთებლად გადადებულია 5.000 მანეთი.

დიდი ყურადღება ექნება მიქცეული ჭაობების ამოშრობას იმ ადგილებში, სადაც მუშაობა დაწყებული იყო წინეთ, სახელდობრ—სად. სად. ნიგოითში, სალიეთში, ყულისციხეში, სკრაში; ქარელში, ხაშმასში; კარაკლისში და ერევანში. ამ მიზნით გაგადებულია 9.400 მანეთი.

სამორიგო შენობების, ყაზარმების და საცხოვრებელ ბინების ფანჯრებზე ჩვილის გაკეთებაზე დაიხარჯება 5.000 მანეთი.

ექსკურსანტებისათვის

საქართველოს პოლიტგანათლების მთავარმმართველობამ სთხოვა ამიერ-კავკასიის რკინის გზის გამგეობას გამოჰყოს ბათომის და ბორჯომის მატარებლებში სპეციალური ვაგონი ექსკურსანტებისათვის, რადგან მიმდინარე სეზონში პოლიტგანის სამმართველოს განზრახვა აქვს ამ პუნქტებში მოაწყოს მასიური ექსკურსიები.

ამას გარდა, პოლიტგანის სამმართველომ სთხოვა რკინის გზის გამგეობას თბილისისა და ბათომის სადგურებში გამოჰყოს სპეციალური სალაროები, სადაც ექსკურსანტები მიიღებენ ბილეთებს.

დამატებითი შეღავათები

მიმდინარე წელში იმ რკინის გზელებს, რომლებიც სწავლობენ ტექნიკუმებში და კურსებზე, გამოცდების ჩასაბარებლად დამატებითი მიეცემათ ერთი კვირის შვებულება ჯამაგირის შენახვით.

მატარებლების დაგვიანების წინააღმდეგ

სამგზავრო მატარებლების დაგვიანების წინააღმდეგ კამპანია დასრულდა. მატარებლების დაგვიანებისათვის ადმინისტრატიული წესით დაისაჯა რკინის გზის 227 აგენტი.

გადასამზადებელი კურსები

23 მაისიდან თბილისში ეწყობა ვაგონების გამსინჯველთა გადასამზადებელი კურსები.

დაჯახების აცილება

17 მაისს სად. ყარა-დაგში სადგურის მორიგემ ლაპინმა დაკავებულ ხაზზე მიიღო მატარებელი № 101. დაჯახება თავიდან იქნა აცილებული მემანქანის სიფხიზლის წყალობით.

საყინულეს მოსაწყობად

გზათა მიმოსვლის სახალხო კომისარიატმა ნავთლუღის და სამტრედიის საყინულეების საჭიროებისათვის შეუკვეთა როსტოვში ამხ. ვოროშილოვის სახელობის რკინეულობის ქარხანას სხვადასხვა სააღმშენებლო ნაწილები, რომლებიც ხელშეკრულების ძალით უნდა გადაეცეს ა. კ. რკინის გზებს ივნისში.

მაისის კრედიტები

გზათა მიმოსვლის სახალხო კომისარიატმა ა. კ. რკინის გზების სალაროს გეგმის მიხედვით მიმდინარე მაისის თვეში გაუხსნა კრედიტი 5.677.000 მანეთის რაოდენობით.

სასამართლო

გლეხკომის თავმჯდომარე გ. ლონდარიძე თავის ამქრებით

შემოდგომის საღამოა. სოფელ დიდი-თიანეთის (თბილ. მაზრა) მედუქნეს საპატიო სტუმრები ჰყავს. მისი დუქანი „გაბედნიერია“ თვითონ გლეხკომის თავმჯდომარემ **გიორგი ლონდარიძემ,** რომელმაც „კეთილ ინება“ და თავისი ამყოლ-დამყოლებით ქეიფი გამართა მის სამიკიტნოში.

მთვრალი მოქეიფენი გამოეფინენ მინდორში. გაუდგენ ბარბაცით გზას. მოშორებით მოსჩანს ცხვრის ფარა.

— ესენი ბოლბალ ბორჩალოელი მწყემსები არიან. ერთი დაუფეთოთ ანგელოზები,—სთქვა გლეხკომის თავმჯდომარემ და თავისი ამალით გაემართა მწყემსებისაკენ.

— თქვენ ვინ მოგცათ აქ გამოვლის უფლება? რად აოხრებთ ჩვენს მიწა-წყალს! მწყემსები შეკრთნენ.

— დაჯარიმებული ხართ. ეხლავე ფული დათვალეთ! (გლეხკომის თავმჯდომარეს საქეიფო ფული აკლია).

— ბატონო, ჩვენ არაფერი არ დაგვიშავებია. აქ გზით გამოვიარეთ. ამ ღამე დავბანაკდებით და ხვალ გათენებამდე დავსტოვებთ თქვენს სოფელს.

სოლკა მჭედლიძემ, რომელიც გვერდს უმშვენებდა გლეხკომის თავმჯდომარეს, სტაცა ხელი ერთ ცხვარს და ჯარიმის საწინდარად გლეხკომის თავმჯდომარეს მიუყვანა.

მწყემსებმა ასტეხეს ჩოჩქოლი.

— აბა გვიშველეთ, ბორჩალოელი მწყემსები თავს დაგვესხნენ. ჩვენს საპატიო ამორჩეულ პირებს მოკვლას უპირებენ. გამოდით სულ ყველანი,—გადასძახა სოფლელებს ერთმა შეზარხოშებულთაგანმა.

თიანეთელები შეიარაღდნენ კეტებით, ხანჯლებით, თოფებით და დადგენ ამორჩეულ პირების „სადარაჯოზე“.

ისაკი აზრუმელაშვილი და ივანე პაპუნაშვილი ვინტოვკებით შეიარაღებულნი გადმოვარდნენ მწყემსების წინააღმდეგ გასალაშქრებლად.

— კაცო, რა ამბავია! რამ გაგაგიჟათ?.. დაწყნარდით.. რატომ ამწვავებთ საქმეს,—ჩაერია ნეიტრალური პირი შაბიროვი (პასუხისმგებელი მუშაკია).

პაპუნაშვილმა შაბიროვს რევოლვერი დაუმიზნა წელზე.

— ვინ მოგცა შენ რევოლვერის ტარების უფლება? აიყარე ეხლავე იარაღი!

— უკაცრავად ამხანაგო! თუ რევოლვერს ვატარებ ალბად საამისო ნებართვაც მაქვს..

— აბა მიჩვენე!

შაბიროვმა ამოიღო უბის წიგნაკი. პაპუნაშვილმა არც კი დააცალა მოწმობის ამოღება. გამოგლიჯა ხელიდან წიგნაკი, რომელშიაც 100 მანეთი ჰქონდა შაბიროვს. ეს ასი მანეთი, რასაკვირველია, ჯიბეში ჩაიდო პაპუნაშვილმა. მოწმობებიც მიფანტ-მოფანტა. რევოლვერიც ჩამოაგლიჯა შევერცხლილ ქამრითურთ...

შეიქნა ერთი ალიაქოთი. საიდანღაც გაჩნდა თიანეთელი **ილიკო ლონდარიძე,** რომელმაც ერთ-ერთ მწყემს რევოლვერი დაუნახა. აჰყარა იარაღი და თვითონ დაიკიდა.

განიარაღების შემდეგ დაერიენ მწყემსებს და დაუწყეს ცემა. გული რომ იჯერეს ცემით, თავდადებულები გლეხკომის თავმჯდომარის წინამძღოლობით გაემართნენ სახლისაკენ ნადავლით.

პაპუნაშვილმა ნაძარცვი რევოლვერი და ვერცხლის ქამარი შეინახა საქათმეში.

ილიკო ლონდარიძემ კი რევოლვერი გადასცა გლეხკომის მდივანს **ისაკი აზრუმელაშვილს.** გლეხკომის მდივანს თვალში დაუჯდა „ნაგანი“ და მიისაკუთრა.

მწყემსებმა აღძრეს საჩივარი. საქმე გადაეცა სათანადო ორგანოებს და თიანეთელ „გმირებმა“ საპატიმროში ამოჰყვეს თავი.

საქმეს ვაარჩევს თბილისის სამაზრო სასამართლო.

—:—

უფასო მგზავრები

როგორც ვსწერდით, საუწყებო მილიციის თანამშრომლებს ვლადიმერ მახარობლიძეს და მიხეილ გრეკოვს უნდოდათ უფასოდ ემგზავრათ ტრამვაით, როცა ამის უფლება არ ჰქონდათ და არც საამისო მოწმობა გააჩნდათ.

კონდუქტორს, რომელმაც მათი პირადობის მოწმობა არ მიიღო ბილეთის მაგიერ, „წესრიგის დამცველებმა“ უმოწყალოდ სცემეს.

მათი საქმე გუშინ გაარჩია თბილისის სამაზრო სასამართლომ. **ვლადიმერ მახარობლიძეს და მიხეილ გრეკოვს** მიესაჯათ თავისუფლების აღკვეთა ექვს-ექვსი თვით.

ბერ.

შემთხვევები

ციმაკურიძის ჩიხში მომხდარ უბედური შემთხვევის გარშემო

ციმაკურიძის ჩიხში მიწის ჩამოშვავების დროს დაშავებულ მუშა კარაპეტ ქარელიანცი გუშინ წინ ღამით გარდაიცვალა ქალაქის პირველ საავადმყოფოში.

ქურდ-რეციდივისტების დაპატიმრება

ამ დღეებში თბილისის სისხლის სამართლის მილიციის თანამშრომლებმა აღმოაჩინეს ქურდ რეციდივისტთა ორგანიზაცია, როგორც გამოირკვა, ქურდ-რეციდივისტთა ორგანიზაცია დიდი ხანია, რაც არსებობს. ორგანიზაციაში შედიოდა 5 კაცი.

რეციდივისტების მთავარ სამოღვაწეო ასპარეზს თბილისი წარმოადგენდა. თუმცა იყო შემთხვევები, როცა ზოგიერთი მათგანი „საგასტროლოდ“ მიემგზავრებოდა სხვა ქალაქებშიც, უფრო ხშირად ნაძარცვ ნივთების გასასყიდათ.

გამოირკვეულია, რომ რეციდივისტებმა გაქურდეს ბევრი საცხოვრებელი ბინა, მაღაზია და დაწესებულებები. მათ ბინაზე სისხლის სამართლის მილიციამ აღმოაჩინა სხვადასხვა ხელსაწყოები და გასაღებები.

როგორც გამოირკვა, რეციდივისტებმა უკანასკნელად გაქურდეს საათის მაღაზია (კომინტერნის ქუჩა № 2), საიდანაც წაიღეს 1000 მანეთზე მეტი ოქროს ნივთები.

გუშინწინ ს. ს. მილიციის თანამშრომლებმა დააპატიმრეს მთელი ბანდა. ისინი აღმოჩნდნენ ნიკოლოზ იოსებისძე პეჩონკინი, რუბენ პოლოსისძე ყარაბეგიანცი, გაბრიელ ალექსანდრესძე ახალკაციშვილი; ოგანეზ ალექსისძე იშხანიანი და ალექსი პაისძე პატრიასოვი.

დაჭრა

ამ რამოდენიმე დღის წინად აფო ხან-ოღლიმ ხანჯლით მძიმედ დასჭრა მოქ. ასა მამედოვი და მიიმალა. ამ დღეებში აფო ხან-ოღლი დააპატიმრა მილიციამ.

ქურდობა

გუშინ გაქურდეს გრიგოლ ჰანტურიან ბინა (ორჯონიკიძის ქუჩა № 16), წაიღეს 200 მანეთის სხვადასხვა ნივთები;—გაქურდეს ანდრო პეტროსოვის ბინა (რევაზოვის ქუჩა № 17), წაიღეს 1000 მანეთის ტანსაცმელი;—გაქურდეს ნინა კაჭახიძის ბინა (25 თებერვლის ქუჩა № 4), წაიღეს 1200 მანეთის ტანსაცმელი;—გაქურდეს საქციო საზოგადოება „ა.-კ. წიგნი“-ს მაღაზია (პლეხანოვის პროსპექტი № 93); წაიღეს 500 მანეთის წიგნები.

მილიციამ ქურდობისათვის დააპატიმრა: სერგო სარქისისძე კურჩიანცი, ვანო აკოფისძე სააკოვი; აბრამ ვართანისძე მანუკიანცი, სიკო აბრამისძე ფიჩხაძე; სერგო სარქისისძე კურჩიანცი, სურენ არშაკისძე ვართანოვი, სერო გეურქისძე ყუშიევი, სტეფანე გეურქისძე გასპარიანცი და ვასილ თედოსძე კარურინი.

ნაქურდალი ნივთების პოვნა

ამ დღეებში ბათომის სისხლის სამართლის მილიციამ დააპატიმრა ქურდი-რეციდივისტი ალექსანდრე იოსებისძე ჯანაშვილი.

ჯანაშვილის ბინის გაჩხრეკისას ბათომის ს. ს. მილიციამ აღმოაჩინა შემდეგი ნაქურდალი ნივთები: ორი ფერადი ნოხი, ოქროს ბეჭედი ალმასის თვალით და ქალის ტანსაცმელი. გამოირკვა, რომ ხსენებული ნივთები ჯანაშვილს მოუპარავს თბილისში.

ნივთების პატრონი უნდა გამოცხადდეს თბილისის ს. ს. მილიციაში, ოთახი № 7, გ. თუხარელთან.

ფეხბურთი

საფინალო შეჯიბრება

კვირას, 20 მაისს, ლენინის სახელობის სტადიონზე გაიმართება საფინალო შეჯიბრი „დინამო-პირველსა“ და „გემო-კვების მუშაკებს“ შორის. ფაქტიურად მიმდინარე სეზონის პირველობის გათამაშება პირველი კატეგორიის გუნდებს შორის ამით თავდება.

ამავე დღეს „დინამო“-ს სტადიონზე გაიმართება კალენდარული შეჯიბრი „დინამო-მეორეს“ და „საბჭოთა მუშაკებს“ შორის.

ამჟამად გუნდების მიერ მიღწეული შედეგები ასეთია: პირველობის გათამაშებაში მონაწილეობას იღებს ხუთი გუნდი: „დინამო—ა“, „დინამო—ბ“, „გემო-კვების მუშაკები“, „საბჭოთა მუშაკები“, „საქ. სატყეო მრეწველობის ტრესტი“; „არსრაიონი“ უხეში თამაშისათვის გამორიცხულია გათამაშებიდან.

„დინამო-პირველს“ აქვს 9 ქულა (უნდა ითამაშოს კიდევ ერთი მატჩი), „გემო კვების მუშაკებს“—5 (უნდა ითამაშონ ორი მატჩი), „დინამო-მეორეს“—4 (უნდა ითამაშოს ერთი მატჩი), „საქ. სატყეო მრეწველობის ტრესტს“—7, (დაამთავრა ყველა შეჯიბრება), „საბჭოთა მუშაკებს“—3 (უნდა ითამაშონ ორი მატჩი).

უნდა ვიფიქროთ, რომ საბჭოთა მუშაკები ორივე შეჯიბრს წააგებენ: მაშინ ისინი გამოდიან უკანასკნელ ადგილზე. „დინამო-მეორე“ (თუ იგი მოუგებს საბჭოთა მუშაკებს) და სატყეო მრეწველობის ტრესტის გუნდი გამოდიან მესამე ადგილზე; პირველი და მეორე ადგილი რჩებათ „დინამო პირველს“ და „გემო-კვების მუშაკებს“.

პირველობის ამღები გუნდი მონაწილეობას მიიღებს რესპუბლიკანურ შეჯიბრებებში. მას უფლება ეძლევა, თუ ამას საჭიროდ დაინახავს, მოთამაშეები მოიწვიოს თბილისის სხვა გუნდებიდანაც.

ფიზკულტურის დღესასწაულისათვის

სააგიტაციო კომისიის სხდომა

შესდგა საქართ. ცაკთან არსებულ ფიზკულტურის დღესასწაულის საორგანიზაციო კომიტეტის საგიტაციო კომისიის სხდომა ამხ. **დ. კანდელაკის, ხ. მამულიას, ვ. იმედაძის, ფირალიშვილის, ს. კვინიხიძის და ვ. კიკნაძის** მონაწილეობით.

სხდომამ მოისმინა ამხ. დ. კანდელაკის მოხსენება ფიზკულტურის დღესასწაულში მონაწილეებზე კულტურული ხელმძღვანელობის გაწევის შესახებ.

სხდომის დადგენილებით, უნდა მოეწყოს ფიზკულტურისტების მასიური ექსკურსია რევოლიუციონურ და ზოოლოგიურ მუზეუმებში. ექსკურსანტებს ხელმძღვანელობას გაუწევენ და ახსნა-განმარტებას მისცემენ განათლების სახ. კომისარიატის ლექტორები.

ამხ. ამირაგოვს მიენდო ფიზკულტურისტების საერთო-საცხოვრებელ სახლში (ამიერ-კავკასიის წითელი სკოლაში) მოაწყოს რევოლიუციონური კინო-სურათების სეანსები. ნაჩვენები უნდა იქნას „ოქტომბერი“ ან სხვა რომელიმე რევოლიუციონური კინო-სურათი.

საქ. პროფკავშირთა საბჭოს კულტგანყოფილებას დაევალა ერთ-ერთ მუშათა კლუბში მოაწყოს სპეციალური საღამო ფიზკულტურისტებისათვის.

დღესასწაულის შედეგებისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომა დანიშნულია 8 ივნისისათვის რუსთაველის თეატრში. ამის გამო სახელოვნო-დაწესებულებათა მთავარ მმართველობას და ხელოვნების მუშაკთა კავშირს დაევალა საზეიმო სხდომისათვის მოაწყონ საღამო საკონცერტო განყოფილებით.

ჭადრაკი

საკავშირთაშორისო ჯგუფური შეჯიბრი

კვირას, 20 მაისს, საღამოს 7 საათზე ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში შესდგება საკავშირთაშორისო ჯგუფურ შეჯიბრში მონაწილე კავშირების წარმომადგენელთა კრება. მოწვეული არიან შემდეგი მოჭადრაკენი: **ვ. გოგლიძე** (საბჭოთა და სავაჭრო მუშაკთა კავშირიდან) **მიხ. დანილოვი** (მბეჭდავთა კავშირიდან), **კომახიძე** (მიწა-ტყის მუშაკთა კავშირიდან), **რომელაშვილი** (მელითონეთა კავშირიდან), **მაქსიმოვიჩი,** (ხეზე მომუშავეთა კავშირიდან), **იმანაძე** (სახალხო კავშირიდან). **შულინი** (რკინის გზელთა კავშირიდან), **კარლინსკი,** (გემო-კვების მუშაკთა კავშირიდან), **აგამალიანი** (განათლების მუშაკთა კავშირიდან), და **მალიხოვი** (მშენებელთა კავშირიდან).

კრებამ უნდა შეიმუშაოს ტურნირის ჩატარების წესი და თამაშის წესრიგი. თვითეული კავშირი ტურნირზე გამოყოფს 7 მოთამაშეს. ის ჯგუფი, რომელიც შეკრებს მეტ ქულას, მიიღებს საკავშირთაშორისო შეჯიბრის 1928 წლის პირველობას და საქ. პროფსაბჭოს კულტგანყოფილების ჯილდოს.

მცირე ჩემპიონატი

გაიხსნა საკავშირო მცირე ჩემპიონატი, რომელშიაც მონაწილეობას იღებენ მასიურ საჭადრაკო ტურნირზე გამარჯვებული 4 მოჭადრაკე. მათ შორის: **ტერ-ნერსესოვი** (მელითონეთა კავშირი), **პოლოსოვი** და **მარკოსიანი** (საბჭოთა და სავაჭრო მუშაკთა კავშირი), და ორი მოთამაშე საქალაქო მცირე ჩემპიონატიდან: **ლევიტასი** (საბჭოთა სავაჭრო მუშაკთა კავშ.) და **კარლინსკი** (გემო-კვების მუშაკთა კავშირიდან).

პირველ ტურში ტერ-ნერსესოვმა მოუგო ლევიტასს. კარლინსკიმ მოუგო ჰყონიას, პარტია პოლოსოვ მარკოსიანის გადადებულია.

დღეს, 19 მაისს, საღამოს 7 საათზე შესდგება მეორე ტური.

რადიო-გადაცემა

შაბათი, 19 მაისი

დღეს, 19 მაისს, თბილისის 4 კილოვატიან რადიო-სადგურიდან 870 მეტრიან ტალღაზე გადაცემული იქნება:

მორზეს ანბანი—განმარტება ქართულ ენაზე.

გაზ. „ახალი სოფელი“—ქართულ ენაზე.

საბჭოთა კინოს ამოცანები და კულტურული რევოლიუცია—მოხსენება ქართულ ენაზე.

პოლიტიკური მიმოხილვა—მოხსენება ქართულ ენაზე.

რაციონალიზაცია დასავლეთ ევროპაში და საბჭოთა კავშირში—მოხსენება რუსულ ენაზე.

გაზ. „ენიკენდ“ თურქულ ენაზე.

როგორ უნდა ჩავატაროთ ბავშვთა საერთაშორისო კვირეული საქართველოში—საინსტრუქციო მოხსენება რუსულ და ქართულ ენებზე.

კვირეული ცხრილის გადაცემა—რუსულ და ქართულ ენებზე.

საქართ. გეოფიზიკური ობსერვატორიის ცნობები—რუსულ და ქართულ ენებზე.

კონცერტის ტრანსლიაცია.

ამ.-კავ. დეპეშათა სააგენტოს ინფორმაცია—რუსულ და ქართულ ენებზე.

შრომის ბირჟაში

მოთხოვნილება მუშა-ხელზე,

თბილისის შრომის ბირჟა დღეს, 19 მაისს, სამუშაოზე გასაგზავნათ იწვევს შემდეგი პროფესიის უმუშევართ:

კვალიფიციურ მუშაკთა პირველ სექციიდან. ირაკლი გიგიანი ივანე დემურიშვილი, ბორის სიგატუროვი, გრიგოლ კობერიძე, ანნა აფონინა; ბელა უიტნიცკაია; ანნა შხმურადოვა, მარიამ ტერ-ოგანეზოვა, თამარ სარხანოვა, თამარ მინენკოვა; მარიამ გვერდწითელი; პელაგია კალიუჟნი, ეკატერინე უიუინაშვილი; ელისაბედ კრიუჩკოვა; ეკატერინე კარინოვა და ალექსანდრე მინაევი.

გონებრივ მუშაკთა მეორე სექციიდან: თამარ ყარალაშვილი, თამარ ხიზანაშვილი; ილარიონ ხარბედია. სერგო ათოევი; გაიკ ათოევი, ისაკ კუპრავა; მარიამ მიქაბერიძე, მარიამ ქურხული, ანტონინა მჭედლიშვილი; ქსენია კილურაძე; თამარ ზაზიევა; მარგარიტა მორიზოვა; ანტონინა საროკინა და მარიამ ზამიშლევა.

იურიდიული დახმარება

ამხ. იაშას

კითხვა:

დაქირავებული მქონდა ორი პატარა ოთახი. თვითეული 12 კ. მეტრ. ვცხოვრობდი ჩემი შვილებით 10 წელიწადი. ცოლმა იცხოვრა 2 ნახევ. წელ., შემოგვესიზნა სტუმრად ჩემი ცოლის ძმა თავისი ცოლით, ჩემი შინ არ ყოფნის დროს ჩამომართვეს ერთი ოთახი სამზარეულოთი და გადაიყვანეს თან ჩემი ცოლიც. დავრჩი შვილებით ერთი პატარა ოთახში. გთხოვთ განმიმარტოთ—ჰქონდათ თუ არა მათ ჩემი ოთახის ჩამორთმევის უფლება?

პასუხი:

თქვენი ცოლის და მისი ნათესავების გამოსახლება არ შეგიძლიათ. რაც შეეხება სამზარეულოს, იგი უნდა იყოს ყველა მდგმურის საერთო სარგებლობაში, და ამიტომ თქვენ შეგიძლიათ სთხოვოთ სასამართლოს, რათა მან აღადგინოს თქვენი უფლება სამზარეულოზე.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

საქ. ახ. ლ. კ. კ. თბილისის კომიტეტი იუწყება, რომ დღეს, 19 მაისს, საღამოს სრულ 5 საათზე საქ. ახ. ლ. კ. კ. თბილისის კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილებაში (რუსთაველის პროსპ. № 20) შესდგება საქ. ახ. ლ. კ. კ. თბილისის კომიტეტის მიმღები კომისიის სხდომა, რომელზედაც აუცილებლად უნდა გამოცხადდნენ აღნიშნულ კომისიის წევრები და აგრეთვე ის პირები, რომელთა ანკეტები დასამტკიცებელია თბილისის კომიტეტის მიერ.

—

სახ. უნივერსიტეტის პოლიტექნიკურ ფაკულტეტის კომუჯრედის ბიურო იტყობინება, რომ დღეს 19 მაისს, საღამოს 5 საათზე მოწვეულია კომუჯრედისა და კომკავშირის გაერთიანებული კრება.

დასწრება სავალდებულოა დაუგვიანებლივ.

—

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის საალრიცხვო-განმანაწილებელი განყოფილება ხელმეორედ სთხოვს ქვემოდ დასახელებულ ამხანაგებს გამოცხადდნენ დღეს, 19 მაისს, საღამოს სრულ 6 საათზე საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის საალრიცხვო-განამანაწილებელ განყოფილებაში ამხ. კვირიკაძესთან: ნოე იოსების ძე ჭინჭარაძე, მიხეილ ალექსანდრეს ძე სანეკოსი, ალექსანდრე იაგორის ძე ხერხეულიძე, დავით მიხეილის ძე ციხელაშვილი, აკაკი იდორეს ძე კაჭახიძე, ვასილ კონსტანტინეს ძე ანთიძე, მუშეგ კამაზის ძე ალაგარიძი, ალექსანდრე იოსების ძე დოდოჩავა, ალექსანდრე ალექსის ძე გოჩიდაროვი, ალექსანდრე გიორგის ძე ჯაფარიძე, ვლადიმერ მოსეს ძე ამბარცუმიანი იოსებ ივანეს ძე ესაკია, ვარლამ ერ. ერქომაიშვილი, ვარლამ ი. ლეჟავა; შალვა სოლომონის ძე ჩხეიძე, აკაკი მაქსიმეს ძე ჭყონია, ალიოზ ალიოზის ძე როზენანი, ათანასე ნიკოლოზის ძე ბუკრეევი, ვაგან ნიკოლოზის ძე მუსელიანი; ბრაგიმ მამედ-ტაბი-ოღლი შახიევი, მოსე ექვთიმეს ძე მარკმანი, დავით ივანეს ძე ვაშაკიძე, გიორგი ართაკის ძე არუთინოვი; რუბენ ანტონის ძე პეტროსიანი, მიხეილ გიორგის ძე მეგრელიძე, იასონ კვ. ხურცილავა; გრამიტონ გიორგის ძე მოწონელიძე, შალვა პავლეს ძე კილურაძე, ნიკოლოზ მაკარის ძე სტეფანოვი, ივანე გიორგის ძე ლატუნოვი; არტემ თადეოსის ძე დუდაევი, ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე ათოევი, გაიკ აკოპის ძე გალუსტოვი; სერგო არტემის ძე ვარემანოვი, პოანეს პლატონის ძე სარიევი, იოსებ პოლიკარპეს ძე ელენტი, ალექსი პეტრეს ძე სკირიოვი; აშოთ გერასიმეს ძე სარქისოვი, ზაქარია აბრამის ძე არდიშვილი, სილიბისტრო გიორგის ძე სიხარულიძე; ვასილ დიმიტრის ძე ბურდულ[illegible], გიორგი იოსების ძე გულიაშვილი, სიმონ ალექსის ძე გოგიაშვილი, ივანე მათეს ძე ბიჩიულინი, იროდიონ პავლეს ძე კეშელავა, ვასილ პეტრეს ძე კისლუხინი; გაბრიელ გიორგის ძე ხუციშვილი, მიხეილ ნიკიტას ძე ინდიკოვი, ადამ ლეონტის ძე მარხვაიძე, ვასილ ექვთიმეს ძე დუმბაძე, ათანასე გაბრიელის ძე კოსტოვი; მიხეილ მ. პოპოვი, დავით იოსების ძე მამაშვილი, იაკობ ზოსიმეს ძე მონიავა; გაიკ პოლოსის ძე ადამიანი, სოლომონ გიორგის ძე დიმიტრიშვილი, იოსებ ტიმოთეს ძე სტუპნიკოვი, სერგო პავლეს ძე კალანდაძე, გრიგოლ იაგორის ძე ჩანტლაძე, ალექსი ივანეს ძე ჩაჩენკოვი, ლეონიდ ანტონის ძე ნადარეიშვილი; ბაგრატ ტაპგიანი, ერმოლოზ ტარიელის ძე რუვიდი; კონდრატი ელისეს ძე გაგუა, შალვა პეტრეს ძე სალაძე, მიხეილ ვასილის ძე ჩუკაევი, სიმონ ნიკოლოზის ძე კაკაბაძე; ვასილ პავლეს ძე შმირევი, ფარუნავაზ ისატურის ძე ავეტისიანი, გაიკ თადეოსის ძე გასპარიანი; გიორგი ივანეს ძე სობარი, სიმონ ბესარიონის ძე გულვანი, ნიკიფორე ვლასის ძე უირიაკოვი, კონსტანტინე არტემის ძე მატნიდი, ბაგრატ სარქისის ძე გრიქუროვი, ალექსანდრე კონსტანტინეს ძე სმირნიცკი, სერგო ლეონტის ძე ფერაძე, შალვა ანდრიას ძე ცერაძე, პავლე არტემის ძე დანჩენკო; მიხეილ ექვთიმეს ძე პარიშინსკი, აქსენტი სიკოს ძე კაპანაძე, კალისტრატე კირილეს ძე გველესიანი და აბას კულის ძე ხაჩინიანი.

საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს პრეზიდიუმი მწუხარებით იუწყება, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ ქალ. თბილისში გარდაიცვალა საქპროფსაბჭოს წევრი და რაჭის სამაზრო პროფბიუროს თავმჯდომარე

ამხ. ალექსანდრე ვლადიმერის ძე ნადირაძე

გამოსვენება ქალაქის მე-2 საავადმყოფოდან კვირას ნაშუადღევის 3 საათზე. 2405

საბჭოთა და სავაჭრო მუშაკების პროფკავშირის საქართველოს ცენტრალური გამგეობა ღრმა მწუხარებით იუწყება ამავე პროფკავშირის რაჭის სამაზრო განყოფილების გამგეობის თავმჯდომარე

ამხ. ალექსანდრე ვლადიმერის-ძე ნადირაძის

უდროოდ გარდაცვალებას ნ. 1121

საბჭოთა მუშაკების პროფკავშირის რაჭის სამაზრო გამგეობა უღრმესი მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას მისი თავმჯდომარის და საუკეთესო ხელმძღვანელის

ამხ. ალექსანდრე ვლადიმერის ძე ნადირაძის

უდროოდ დაკარგვას. დაკრძალვა მოხდება სოფ. კაჩეთში (რაჭ. მაზრა) 21

განათლების მუშაკთა კავშირის რაჭის სამაზრო განყოფილება მწუხარებით აუწყებს კავშირის წევრთ ენერგიული ახალგაზრდა მუშაკის, პროფბიუროს თავმჯდომარის

ამხ. ალექსანდრე ვლადიმერის ძე ნადირაძის

გარდაცვალებას 20

თბ. პოლიტექნიკური სასწ. მექ. დარგის კურსდამთავრებულნი: მ. ჯღარკნაძე, გ. მხეიძე, ნ. შანიძე, პ. ჯიქიძე, გ. ვაშაკიძე, აკ. ფირცხელავა, დ. თურქია, მელ. ხართიშვილი, მ. კაკაბაძე, ს. კონიაშვილი, ნ. მინაშვილი, გრ. ქოლოკავა, შ. ნიკოლაიშვილი, ლ. შავიძე და ილ. რონინიშვილი აუწყებენ ნაცნობ-მეგობრებს ახალგაზრდა ტექნიკოსის

ალექსანდრე (ალიოშა) ვლადიმერის-ძე ნადირაძის

ამა წლის 17 მაისს, უდროოდ გარდაცვალებას. 2407

კომკავშირის რაჭის სამკომი ღრმა მწუხარებით აუწყებს კომკავშირის ორგანიზაციებს, რომ 17 მაისს უდროოდ გარდაიცვალა სამკომის ყოფილი მდივანი, სამპროფბიუროს თავმჯდომარე

ამხ. ალექსანდრე ვლადიმერის ძე ნადირაძე

28

რაჭის მაზრის მიწა-ტყის მუშაკთა კავშირის გამგეობა ღრმა მწუხარებით აუწყებს ამავე კავშირის წევრთ ჩვენი მაზრის პროფბიუროს თავმჯდომარის

ამხ. ალექსანდრე ნადირაძის

უდროოდ გარდაცვალებას. დაკრძალვის დღე გამოცხადებული იქნება ცალკე.

რაჭის მაზრის პარტიული კომიტეტი ღრმა მწუხარებით აუწყებს პარტორგანიზაციებს, რომ 17 მაისს უდროოდ გარდაიცვალა კომუნისტური პარტიის წევრი

ამხ. ალექსანდრე ვლადიმერის ძე ნადირაძე

26

რაჭის მაზრის პროფბიურო მწუხარებით იუწყება პროფორგანიზაციის წევრის, პროფბიუროს თავმჯდომარე დაუღალავი მუშაკის ამხანაგ

ალექსანდრე ვლადიმერის ძე ნადირაძის

გარდაცვალებას. 27

რაჭის სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტი ღრმა მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას, რომ, 17 მაისს მძიმე ოპერაციის შემდეგ ქალაქ თბილისში გარდაიცვალა სამაღმასკომის პრეზიდიუმის წევრი, დაუღალავი მუშაკი

ამხ. ალექსანდრე ვლადიმერის ძე ნადირაძე

24

რაჭის მაზრაში მომუშავენი პარმენ წულუკიძე, სამსონ შალაძე, ილიკო კრუაშვილი, გრიშა ჭელიძე, პროკოფი ვაჩაძე, გრიშა კობახიძე, გრიშა ენუქიძე, ლადო ენუქიძე, გიორგი გვახაძე, ალექსანდრე ჭელიძე, ტიმოთე კობახიძე, შალიკო ჭელიძე, სიმონ ჭელიძე, გაბო აბუტიძე უღრმესი მწუხარებით აუწყებენ ამხანაგებს და ნაცნობებს, რომ 17 მაისს, თბილისში გარდაიცვალა მათთვის დაუვიწყარი

ამხ. ალექსანდრე ვლადიმერის ძე ნადირ'ძე

22

რაჭის მაზრაში მომუშავენი: ლონგინოზ მასხარაშვილი, პოპოლა გურგენიძე, გრიშა ჯაფარიძე, ამბროსი გამყრელიძე, ნინა ლეთოდიანი, სანდრო გოცირიძე, ნინა ჯაფარიძე, ლავრენტი გეგეშიძე, ვასილ კობერიძე, პროკოფი თავდგირიძე, ამბაკო ბურდილაძე. ილიკო კბილაძე, ილიკო ჩიკვილაძე და ყორყიკა ქართველიშვილი უღრმესი მწუხარებით აუწყებენ ამხანაგებს და ნაცნობებს, რომ 17 მაისს, თბილისში გარდაიცვალა მათთვის დაუვიწყარი ამხანაგი

ალექსანდრე ვლადიმერის ძე ნადირაძე 23

გულდათუთქულნი მშობლები: ვლადიმერ და ანნა, თავზარდაცემული ცოლი ანიჩკა პატარა ციალათი, ძმა შალვა, რძალი მარო, დები: ბაბო ქმარ-შვილით, თამარა, ხონია, ნადია ნადირაშვილები აუწყებენ ნაცნობებს მათთვის უსაყვარლესი

ალექსანდრე ვლადიმერის ძე ნადირაძის

(ნადირაშვილის)

გარდაცვალებას, 17 მაისს ყოფ. ალექსანდრეს საავადმყოფოში (კამოს ქ.) გამოსვენება კლინიკიდან კვირას, 3 საათზე, დაკრძალვა სოფ. კაჩეთში (რაჭის მაზრა). სამოქალაქო პანაშვიდი დღეს,—საღამოს ხუთ საათზე, ქალაქის მეორე საავადმყოფოში (კამოს ქუჩაზე). 2408

ღრმად დამწუხრებული ეკატერინე და სერგო გიორგობიანები შვილებით: ლილი და მურმანი, და დონენტი კანდელაკი უსაზღვროდ ჰგლოვენ დაუვიწყარი სიძის და მეგობრის

ალექსანდრე ნადირაძის

დაკარგვას ა/წ. მაისის 17-ს გამოსვენება ქირურგიული კლინიკიდან კვირას მაისის 20-ს, დღის 3 საათზე 2404

გულდათუთქულნი მშობლები: დედა ვალიდა, მამა მაქსიმე, დები: ლენა და შურა, ძმა დათიკო აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ კვირას, 20 მაისს, 1-ლ საათზე, დანიშნულია დაუვიწყარ

ნადუშა მაქსიმეს ასული ხორავას

სამოქალაქო პანაშვიდი ქალ. ფოთში ნახუტურის სასაფლაოზე. ნ. 1120

ღრმად დამწუხრებულნი შვილები: ვარლამი, ივლიტა, ლიუბა, ეკატერინე, რძალი ვერა, ძმა ბესარიონი ცოლით და შვილებით: პეტრე, დათიკო, მარო, ელო, თამარა, ბაბუცა, ქეთო და რძალი ქეთო შვილებით: გივი და ბიძინა წივწივაძეები მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს და მეგობრებს, რომ 17 მაისს, მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის საყვარელი

ექვთიმე პეტრეს-ძე წივწივაძე

დასაფლავება მოხდება ქ. ხონში, კვირას, 20 მაისს. (ც)

სახკინმრეწვის კინოთეატრები

პალასი სოლეი მინიონი	საქართველოს სახკინმრეწვის გამოშვება მხატვრული ფილმი **ბოშური სისხლი** რეჟისორი ლევ პუშ ოპერატორები გალპერინი და კალატოზიშვილი პროგრამის გარდა ხანძარი ქუთაისში
აპოლო	უცხოეთის ახალი სურათი **დედის გული** ჟერმენ დერომის მონაწილეობით
არფასტო	სეზონის საუკეთესო სურათი **ღამის ექსპრესი** უცხოეთის ნაწარმოები
ოდეონი	გრანდიოზული ფილმი **ორი მსოფლიო** 2 სერიათ ორივე სერია ერთად
დარბაზი	ორიგინალური კომედია ოხლოპკოვის მონაწ. **მიტია**
პროლეტარი ავლაბარი	ამერიკული ტრიუკებიანი კინო-რომანი **ავანტიურისტი ჯი ი ბლ[illegible]**

ანონსი: მალე ორი ახალი სურათი მიწა ტყვეობაში, და სამი მუშკეტერი. 0—14

სახელმწიფო ოპერის თეატრი ნ. 1117

მოსკოვის სახელმწიფო აკადემიურ **მცირე თეატრის** გასტროლები შაბათს 19 მაისს **ერთი სისულელე ბრძენსაც მოუვა** ხვალ დღისით—მოხერხებულ ადგილას. საღამოთი რევიზორი

ბორჯომის კონტრაგენტს **დავით ტრიფონის-ძე ლომსაძეს** და ზუგდიდის კონტრაგენტს **კონსტანტინე კილასონიას** წინადადება ეძლევათ ერთი კვირის განმავლობაში გაასწორონ გაზეთ „კომუნისტი“-ს მთავარ კანტორასთან ანგარიში, წინააღმდეგ შემთხვევაში მიღებული იქნება სათანადო ზომები.
2—1 „კომუნისტი“-ს მთავარი კანტორა.

ექიმი ჯალალოვი

სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობანი, შემხაპუნება „914“. ტრიპერისა და მისი შედეგების წამლობა ავადმყოფ. მიღება: მამაკაცების დილით—7—8. საღამოთი—5—8 ქალების: დილით—8—9 საღ.—4—5 მისამართი კამოს ქუჩა, № 19 (ყოფ. დიდი მთავრის ქ.), ყოფ. ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. ტელეფ. № 1—90 25—11

მალე... მონოპოლურად კინო-თეატრ **პალასში** დუგლას ფერბენკსი, ადოლფ მენჟუ, ბარბარა ლა მარ საუკეთესო სურათში **3 მუშკეტერი** თვალყური ადევნეთ აფიშებს ნ. 1122

თბილისის აღმასრულებელ კომიტეტის **კომუნალური მეურნეობა** აცხადებს ქალ. თბილისის მოქალაქეთა საყურადღებოდ, რომ ქვემოდ დასახელებულ **სასაფლაოებზე აკრძალულია მიცვალებულის დასაფლავება**

1) დიდუბის სასაფლაო
2) ვერის (ყოფ. ნიკოლოზის) სასაფლაო
3) მამა-დავითის (მთაწმიდის) „
4) ლიუტერანთა სასაფლაო (საბჭოთა მოედანი ნიკო გოცირიძის ქუჩის კუთხე)

ამ სასაფლაოებზე დასაფლავების ნებართვები არ გაიცემა.
ნ. 1123 კომუნალურ განყოფ. გამგე სიხარულიძე.

მსუბუქ მეეტლეთა საზოგადოების **სალიკვიდაციო კომისია** აცხადებს ცნობათ, რომ აღნიშნული საზოგადოება თანახმად შინ. საქმ. სახ. კომის. და **საერთო კრების დადგენილებისა** ლიკვიდაცია ქმნილია. იმ პირებმა, ვისაც აქვთ პრეტენზიები, უნდა განაცხადონ ამის შესახებ სალიკვიდაციო კომისიაში პეტრიაცის მოედ. 4, ა.-წ 25 მაისამდე, რომლის შემდეგ არავითარი საჩივრები და პრეტენზიები მიღებული არ იქნება. მიღება სამშაბათობით და პარასკეობით დილის 10—1 საათამდე.
2402 სალიკვიდაციო კომისია.

ქ. თბილისის საზინ. სასამართლოს აღმასრულებელი პ. მ. ჭეიშვილი

ამით აცხადებს, რომ ის 25 მაისს, 1928 წ. დღის 1 საათზე, სახლში № 71, რიყის ქუჩაზედ **საჯარო ვაჭრობით** გაჰყიდის მოქ. ნიკოლოზ პატარკლიშვილის მოძრავ ქონებას: ერთი დიდი არღანი სისტემის „ნერადა“, ხუთი ვედრო არაყი, 14 ცალი სხვადასხვა მაგიდები, 36 ც. სკამები და 100 ცალი კვარტი ღვინო, შეფასებულს 336 მანეთად, მოქ. მანჯუხინას ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. ტფ. სახ. სახ. სასამართლოსაგან 20 აპრილი, 1928 წ. თარიღით, № 1518 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა. ნ. 1118

ქ. თბილისის გარეუბნის სასამართლოს აღმასრულებ.

ამით აცხადებს, რომ ის 22 მაისს, 1928 წ. დღის 10 საათზე, სოფ. ქვემო ლისში **საჯარო ვაჭრობით** გაჰყიდის პავლე სოლომონის-ძე მარღანიას მოძრავ ქონებას, სახელდობრ ორ ხარ-კამეჩს და ერთ მეწველ ძროხას. შეფასებულს 275 მანეთად მიხეილ იოსების-ძე გილა ურის ვალის დასაკმაყოფილებლად, თანახმად ქ. თბილისის გარეუბნის სახალხო სასამართლოსაგან 30 მარტს, 1928 წ. თარიღით № 548 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა. ვაჭრობა დაიწყება შეფასებიდან. 2398

ქ. თბილისის შრომის სასამართლოს აღმასრულებელი გრ. ა. დანელია

ამით აცხადებს, რომ ის 23 მაისს, 1928 წ. დღის 2 საათზე, სახლში № 20 (სახკვ.-კავშ. 1-ლი კომში) ბაზრის ქუჩაზედ **საჯარო ვაჭრობით** გაჰყიდის მოქალ. შარუმაშვილის მოძრავ ქონებას: როიალს ფირმა „ირარდ“, საყინულეს, სკამებს, მაგიდებს და სასადილოს სხვადასხვა ჭურჭელეულობას შეფასებულს 497 მანეთად, ცაგარეიშვილის და ჩაჩხიანის ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. ტფილისის შრომის სახალხო სასამართლოსაგან 21 მარტის 1928 წ. თარიღით, № 877 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა. ვაჭრობა დაიწყება შემოძლეულ ფასებიდან. 6.1119

ქ. თბილისის მე-2 უბნის სასამართლოს აღმასრულებელი თ. ზ. გოგია

ამით აცხადებს, რომ ის 23 მაისს, 1928 წ. დღის 1 საათზე, სახლში № 22 სომხის ბაზარი, ტფილისის ვაჭრობის საწყობში **საჯარო ვაჭრობით** გაჰყიდის საზოგადოება „კავშირთ-კავშირის“ მოძრავ ქონებას: კასრებს, ღვინის სარდაფის მანქანებს. 30 წლიან ღვინოებს ბოთლებში, ვენურ სკამებს და სხვა სარდაფის მოწყობილობას შეფასებულს 241 მანეთად, საქართველოს კომუნალური ბანკის ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად აღმოსავლეთ საქ. ოლქის სასამართლოს 14 მაისის, 1926 წ. თარიღით, № 24411, გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა. 2409

ექიმი **ი. ი. ბერიშვილი**

ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების სიფილისი და კანის ავადმყოფობა

დილით 9—1 საათ. საღამოს 5—8 ს. ქალებისთვის ცალკე შესავალი, სასტუმრო „ევროპას“ (ყოფ. „ნოეს“) პირდაპირ ჩოდრიშვილის შესახვევი პლეხანოვის შესახვევი № 8. 25—1

დაკარგვა: მეტრიკა № 240 ხარდიონ ილიასძე შილაკაძეს სახელზე, ჩ. გ. 2406

ექიმი **ი. ა. ტერ-ოვაკიმოვი**

ავადმყოფების მიღება **ფსიქოთერაპიის** დარგში; სქესობრივი აშლილობა, მავნებელი ჩვეულებანი, უძილობის ყველა სახეები. 5—8 საათამდე. სიფილისით დაავადებულთა მიღება დღის 11—1 საათამდე და საღამოთი დანიშვნით. საბჭოთა №48 (ყოფ. ჩერქეზიშვილის) ქორესის ქ. კუთხე.

დაკარგვა: პირადობის მოწმობა № 128 პლატონ მეტონიძეს სახელზე, ჩ. გ. 2392

გაზ. „კომუნისტი“-ს ხელისმომწერთა საყურადღებოთ

გაზ. „კომუნისტი“-ს მთავარი კანტორა **დაბეჯითებით სთხოვს** ხელისმომწერლებს, რომ იმ შემთხვევაში, როდესაც საჭიროა მისამართებში ცვლილებების შეტანა ან სრულიად გამოცვლა, პროვინციის ხელისმომწერლებმა გამოგზავნონ ის მისამართი, რომლითაც გაზეთს იღებენ, ხოლო თბილისელებმა აუცილებლად წარმოადგინონ ის **ქვითარი (ან ქვითარის №-რი),** რომელიც მიღებული აქვთ „კომუნისტი“-ს კანტორიდან ხელის მოწერის დროს.

წინააღმდეგ შემთხვევაში ყოველგვარი კორესპონდენცია, მისამართებთან დაკავშირებული, უყურადღებოთ იქნება დატოვებული.

ხარჯების დასაფარავად, მისამართების შეცვლის მსურველები მოვალენი არიან წარმოადგინონ კანტორაში 25 კაპ.

0—1 მთავარი კანტორა.

ექიმი **კ. ს. ფონ-იტელი**

პლეხანოვის პროსპ. № 10 სპეციალურად მკურნალობს **საშარდე, სქესობრივ** (სქესობრივი უძლურება, ნერვიული სისუსტე), **ვენერიულ** (ტრიპერი) ავადმყოფობას, **სიფილისს** და მის შედეგებს, **კანისა და ქირურგიულ ავადმყოფობის** (სიმსივნე, ბუსილი) ელექტრომკურნალობა და ოპერაციები. ავადმყოფების მიღება დილ. 8 ს. დღ 12 საათამდე და 4 ნახ. საათ.—საღ. 7 საათამდე. ქალების მიღება ცალკე, დილ. 11—12 საათამდე და საღამოს 7—8 საათამდე. 13—6

დაკარგვა: პირადობის მოწმობა გიორგი გოძელიძეს სახელზე, ჩ. გ.

ექიმი **ა. დ. კეკელია**

სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულება

პლეხანოვის პროს. № 116. სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ. მიღება დილის 9—12—საღ. 7 ნახ.—8 ნახ. საათ. 52—1 ტელ. 12—76

დაკარგვა: კავშირის წიგნაკი № 23088 კირილე ჭაჭიევის სახელზე, ჩ. გ. 2502

დაკარგვა: სადალაქოს პატენტი 1 ხარისხისა გაბო ა. ხუციშვილის სახელზე, ჩ. გ. 2403

დაკარგვა: დამზღვევ სალაროს უმუშევრობის წიგნაკი № 2572, ილია პორფილეს ძე ჩიქოვანის სახელზე, ჩ. გ. 240

მთავლიტი № 904. პოლიგრაფტრესტის მე-5-ე სტამბა, კამოს ქ. № 6